

K 17407
4



საქართველოს საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ბიბლიოთეკა



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ბიბლიოთეკა

I

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ



საქართველოს ისტორიის წყაროები

19



ქართული წარწერების კორპუსი

I

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო

(V—X სს.)

შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
ნ. შოშიაშვილმა

თბილისი
1980

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9(C 41)
63.3 (2Г)
9(47.922) (001)
ს 323

ძველი ქართული წარწერების კორპუსი მიზნად ისახავს V—XVIII სს. ქართული წარწერების სრული კრებულის (როგორც უკვე გამოცემულის, ისე გამოუცემელის) სათანადო, სპეციალური არქეოგრაფიული წესების მიხედვით გამოცემას.

კორპუსის პირველ წიგნში შედის აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V—X სს-ის ორასზე მეტი ლაპიდარული წარწერა. წარწერათა ტექსტებს დართული აქვთ არქეოგრაფიული აღწერილობა, ბიბლიოგრაფია, კიბხვა-სხვაობები, საძიებლები, ფოტოები და წარწერათა გრაფიკული მონახაზები.

Корпус древнегрузинских надписей предусматривает издание полного сборника грузинских эпиграфических памятников (как уже изданных ранее, так и неизданных).

В первую книгу Корпуса вошли свыше двухсот лапидарных надписей V—X вв. Восточной и Южной Грузии. Тексты надписей снабжены археографическим описанием, библиографией, разночтениями, указателями, фотокопиями и графическими прорисьями надписей.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გაშვრელიძე, კ. კრივოლია, ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთათიძე, მ. ლორთქიფანიძე, ვ. მელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. ხურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, შ. შიშიგური (თავმჯდომარე), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.

კომისიის მდივანი მ. აბაშიძე

КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолна, Н. С. Джанашиа, С. С. Джикиа, Ш. В. Дзидзигури (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метрели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошиашвили, Э. В. Хоштария.

Секретарь комиссии М. Д. Абашидзе

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის და ტომის რედაქტორი **ზ. ალექსიძე**

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикинадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария.

Редактор серии и тома **З. Н. АЛЕКСИДЗЕ**

რ ე ლ ა ქ ო რ ი ს ა გ ა ნ

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სრული, აკადემიური, ერთიანი პრინციპით შედგენილი მრავალტომეული კრებულის გამოცემის საჭიროებაზე ჯერ კიდევ ამ საუკუნის 20-იან წლებში მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი: „თავისთავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიდ საქმეს შესაფერისი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი“ (ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 22).

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. „შესაფერისი წინასწარი სამუშაო“ უკვე ჩატარებულია და მკითხველის წინ დევს „ქართული წარწერების კორპუსის“ პირველი ტომი. ამ ტომით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექცია იწყებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ დაცული ან მოპოვებული ყველა სახის წარწერის გეგმიურ პუბლიკაციას. „კორპუსში“ წარწერათა ტექსტები ქვეყნდება სრული მეცნიერული აპარატით, გრაფიკული მონახაზებითა და ფოტო-პირებით, იმ ვარაუდით, რომ დააკმაყოფილოს როგორც ისტორიკოსების, ისე ფილოლოგების, ენათმეცნიერებისა და სხვა ჰუმანიტარულ დისციპლინებში მომუშავე სპეციალისტთა ინტერესები.

„ქართული წარწერების კორპუსი“ რამდენიმე ქვესერიად იყოფა. ამჟამად, ლაპიდარულის გარდა, გამოსაცემად მზადდება ფრესკული, ქედური და ქსოვილებზე წარწერების პირველი ტომები.

სექციას გეგმაში აქვს, აგრეთვე, გამოსცეს წარწერები სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საომარ იარაღებზე, მონეტებსა და საბეჭდავებზე. „კორპუსის“ ბოლო ტომები უკვე დაეთმობა შემაჯამებელ გამოკვლევებს ქართული წარწერების პალეოგრაფიის, ენისა და ისტორიული ღირებულებების შესახებ, სიმფონია-ლექსიკონებს, ატლასს, ქარაგმების, ლიგატურებისა და კრიპტოგრაფების საძიებლებს.

„ქართული წარწერების კორპუსი“, რა თქმა უნდა, არ იქნება მხოლოდ უკვე არსებული პუბლიკაციის თავმოყრა და გამეორება. მკითხველი მასში ნახავს მრავალ ახლადმიკვლეულ წარწერას და კიდევ უფრო მეტს, ახლებურად წაკითხულს, დაზუსტებულსა თუ დათარიღებულს. ამის გარანტიას იძლევა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექციის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ხელნაწერთა, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ის-



ტორიული და ხელოვნების მუზეუმების მრავალრიცხოვანი ექსპედიციებით სპეციალისტთა ინდივიდუალური გასვლები ველზე, რომლებიც ხან პირდაპირ, ხან კი ირიბად უკავშირდებიან ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენისა და ფიქსაციის ფრიად საჭირო საქმეს.

სექცია მადლობას მოახსენებს ჩამოთვლილი დაწესებულებების ხელმძღვანელებს და მათ სპეციალისტ-თანამშრომლებს, რომელთა უანგარო და ხალისიანი დახმარება მნიშვნელოვნად ამდიდრებს „კორპუსს“ და ზრდის მისი გამოცემის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული წარწერების კორპუსის“ პირველი ტომი წინასწარ შემუშავებული პრინციპების მიხედვით არის შედგენილი, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შესვლის შემდეგ, ალბათ, მაინც უკეთ გამოჩნდება ამ პრინციპების ზოგადი ნაკლი ან გაუმჯობესების შესაძლებლობა. საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ეპიგრაფიკის სექცია მადლობით მიიღებს სპეციალისტი მკითხველის საქმიან შენიშვნებს.

შენსავალი

1. ძველი მკვლევარი მკვლევარი მკვლევარი მკვლევარი

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემა დაიწყო XIX ს-ის შუა წლებიდან.

მათი პირველი პუბლიკაციები განახორციელეს XIX ს-ის ფრანგმა მკვლევარებმა: ფ. დიუბუა დე მონპერემ¹ და მ. ბროსემ², აგრეთვე XIX—XX სს. ქართველმა ისტორიკოსებმა: დ. ბაქრაძემ³, ი. როსტომაშვილმა⁴ და ე. თაყაიშვილმა⁵. მრავალი წარწერის განმეორებითი გამოცემა განახორციელა თ. ჟორ-

¹ «Voyage autour du Caucase, cher les Tcherkesses et les abkhases, en Colchide en Géorgie, en Arménie et en Crimée», par Frédéric Dubois de Montpereux, t. I, II, III, Paris, 1839; t. IV, Paris, 1840; t. V. VI, Paris, 1849.

² «Rapports sur un voyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848» par M. Brosset, livr I. St. — Pb., 1849; livr. II SPb., 1850, livr. III. SPb., 1851. მ. ბროსემ გამოაქვეყნა ქართული წარწერები აგრეთვე თავის ცალკეულ წერილებში (იხ. III. Хантадзе, Академик Мари Броссе и русское и европейское грузиноведение, Тб., 1971).

³ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства: «Записки Общества любителей кавказской археологии», кн. I, Тифл., 1875; მისივე, Археологическое путешествие по Грузии и Адчаре, СПб., 1878; «Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии», составленная Н. Кондаковым. Грузинские надписи прочтены и истолкованы Д. Бакрадзе, СПб., 1890; Д. Бакрадзе, Разбор грузинской надписи на камне в Армази, с приложением рисунка надписи: «Известия Общества любителей кавказской археологии», вып. I, Тифлис, 1877; მისივე: О грузинских надписях: «Протоколы, подготовленные комитетом V Археологического съезда в Тифлисе», Тифлис, 1882, с. 38—60.

⁴ И. Ростомашвили, Ахалкалакский уезд в археологическом отношении (с ключом к чтению надписей древнейшей Джавахетии с картой): «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXV, Тифлис, 1898, с. 1—138.

⁵ 1905 წლიდან ე. თაყაიშვილი იწეებს «არქეოლოგიური ექსკურსიების» სერიის გამომცემის (კრებულში: «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» და «Известия Кавказского отделения имп. Московского археологического общества», ხოლო შემდეგ — ცალკე), სადაც აღწერილი და გამოცემულია ქართული საისტორიო წყაროები, ძირითადად წარწერები. სულ გამოვიდა 2 ნაკვეთი ქართულად და 5 — რუსულად. წარწერები, ცალკე ისტორიული თემების მიხედვით, გამოცემულ იქნა ე. თაყაიშვილის სხვა ნაშრომებშიც: «არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში», პარიზი, 1937; «არქეოლოგიური მოგზაურობა კოლა-ოლთისში და ჩანგლში», პარიზი, 1938; «1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში», თბ., 1960; იგივე რუსულად — თბ., 1952; «არქეოლოგიური ექსპედიცია რაჭაში, 1919 და 1920 წწ.», თბ., 1963. ე. თაყაიშვილის ღვაწლზე ეპიგრაფიკაში იხ.: И. В. Мегрелидзе, О жизни и эпиграфических работах Е. Такашвили, —



დანიამ⁶. ცალკეული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები გამოსცეს ვ. მარმა, პ. იოსელიანმა, გ. წერეთელმა, ა. ხახანაშვილმა, ა. მურავიოვმა, პ. უეაროვამ (ა. ხახანაშვილის წაკითხვით), ა. ქუთათელაძემ, ზ. ჭიჭინაძემ, მ. ჯანაშვილმა და სხვებმა.

ამ გამოცემებმა, მიუხედავად რიგი მეცნიერული და ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებებისა, რომლებიც მათ ახლდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული საკითხების კვლევაში, ქართული ისტორიოგრაფიის წყარომცოდნეობითი ბაზის განმტკიცებაში.



საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში კულტურის ძეგლების შეკრება, დაცვა და გამოცემა გახდა სახელმწიფოს ზრუნვის საგანი და ცალკეული ენთუზიასტების ნაცვლად ამ საქმეს სათავეში უდგებდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. 20-იან წლებში ქართველოლოგიის ორი ცენტრი არსებობდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 1936 წ. დაარსდა ქართული კულტურის კვლევის კიდევ ერთი ცენტრი — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მაკრის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკი), რომლის ბაზაზე შემდეგში შეიქმნა ქართველოლოგიური კვლევის სამი ინსტიტუტი: ისტორიის, ენისა და ქართული ხელოვნების ისტორიის. 1958 წ. შეიქმნა ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე). ეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წარმართავენ მუშაობას ქართველოლოგიის ყველა დარგში, მათ შორის ეპიგრაფიკაშიც. ქართული წარწერების შეკრება და შესწავლა-გამოცემა წარმოებს ძირითადად ამ დაწესებულებათა თანამშრომლების მიერ. წარწერების გამოსავლინებლად და მათ საკვლევად 60—70-იან წლებში დიდი მუშაობა ჩატარა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებამ.



1920-იანი წლების დასაწყისში ივ. ჯავახიშვილმა პალეოგრაფიულად გამოიკვლია ქართული დამწერლობის ძველი ძეგლები (მათ შორის: ბოლნისის საყდრის უთარაილო საამშენებლო წარწერა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დაათარიღა V ს-ის ბოლო წლებით; მცხეთის ჯვრის წარწერები და VI—XI სს-ის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი)⁷. მნიშვნელოვანი ღვაწლი

«Эпиграфика Востока», XIII, 1960, გვ. 3—10; ე. გრიგოლია, ე. თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა. კრებულში: „აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი“, თბ., 1966, გვ. 90—99.

⁶ თ. ქორდანი, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1893; წ. II, თბ., 1897.

⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 155—177.

დასდო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას საბჭოთა პერიოდში.
ა. შანიძემ: შეისწავლა ხან-მეტობა უძველეს წარწერებში, აღადგინა ბოლნისის საამშენებლო წარწერის დიდად ნაკლები ტექსტი, გამოსცა მაღალ მეცნიერულ დონეზე არაერთი წარწერა, მისი წაკითხვით გამოსცეს მკვლევრებში რიგი წარწერებისა, მიაკვლია და გამოაქვეყნა სომხეთში შემორჩენილი რამდენიმე ქართული წარწერა და სხვა⁸.

1923—1927 წწ. გ. ბოჭორიძემ გამოავლინა VII—XI სს-ის ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები: წარწერა ქვაჯვარის კვარცხლბეკზე სოფ. წყისედან (VII ს.)⁹, წარწერა გრიგოლ საკვირველთმოქმედის ხატზე სოფ. ჯვარისას ეკლესიიდან (X ს.)¹⁰, ორი ეპიგრაფიკული საბუთი „ჭელი“ და „დაწერილი“ მეჭუდას ხეობიდან (X ს.)¹¹, რიგი წარწერებისა რაჭიდან (X—XI სს.)¹².

1936 წლიდან ბოლნისში, ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით, მუშაობდა არქეოლოგიური ექსპედიცია. მან აღმოაჩინა V—VIII სს-ის ათზე მეტი ლაბიდარული წარწერა და მათ შორის ბოლნისის საყდრის თარიღიანი საამშენებლო წარწერა. ექსპედიციის მონაპოვარი, მათ შორის ეპიგრაფიკული მასალა, შეისწავლა და გამოაქვეყნა აქ მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა, ქართული ეპიგრაფიკის თვალსაჩინო სპეციალისტმა ლ. მუსხელიშვილმა¹³.

30-იან წლებში გამოვლენილ იქნა აგრეთვე V—VIII სს. სხვა ეპიგრაფიკული ძეგლებიც: მცხეთის ჯვრის სტელა ქტიტორული წარწერით (595/605 წწ.), ორი ქვაჯვარის კვარცხლბეკის წარწერა უკანგორიდან (V/VI სს-სა, ნაპოვნი დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, 1936 წწ.)¹⁴.

1936 წელს ენიშვის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით, აღმოაჩინა სოფ. გუნია-ყალაში (წალკის რაიონი) სტელა, XIII ს-ის

⁸ იხ. ა. შანიძის ნაშრომები: 1) ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნის წინ ქართულ ზმნებში: „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, I, 1957, გვ. 267—281; 2) არადღვის წარწერები: „მომოხილველი“, I, 1926; 3) ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, I, ქრესტომათია, 1935; 4) ხუნაშის წარწერის განმარტებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VII, № 4, 1946; 5) კოშის წარწერა, ხელნაწ. ინსტ. მ-ბე, I, 1959 (რუს.); 6) ბარანის წარწერა: თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 11, „საიუბილეო“, 1968, გვ. 17—26 და სხვ.

⁹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის ქრესტომათია, I, თბ., 1935, გვ. 25, 108; M. Tarchnischvili, Decouvertes en Georgie—«Le Museon», LXIII, 3—4, Louvain 1950, p. 253—254 და სხვა გამოცემები.

¹⁰ გ. ბოჭორიძე, ძველი ჯვარისიდან, კრებულში: „საქართველოს არქივი“, III, თბ., 1927, გვ. 206—208; სურ. I—III; იგივე ინგლ. ენაზე: „Georgica“, vol. I, № 1—2, London 1936, p. 50—52; მისივე: რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბ., 1930, გვ. 173—178; სურ. 6.

¹¹ გ. ბოჭორიძე, ორი უძველესი. კრებულში: „სასისტორიო მოამბე“, I, თბ., 1925, გვ. 98—102.

¹² გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები: „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. V, თბ., 1930, გვ. 163—222, ტაბ. VII; ტ. VII, თბ., 1933, გვ. 203—259, ტაბ. III—VIII; ტ. VIII, თბ., 1935, გვ. 289—338, ტაბ. XIII—XXI.

¹³ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი: ენიშვის მოამბე, ტ. III, თბ., 1933, გვ. 326—341.

¹⁴ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპურსიები მშავრის ხეობაში, თბ., 1941, გვ. 8—16, ტაბ. II, 3; III, 4.



წარწერით, ხელის გამოსახულებით (უფლების სიმბოლო) და ბაგრატიონთა სპეციალური ნიშნით. მომდევნო წლებში აღმოჩნდა კიდევ 15 სტელა — „კელი“, გამოქვეყნებული ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ¹⁵. მანვე გამოაქვეყნა ზოგიერთი სხვა ეპიგრაფიკული ძეგლი¹⁶.

წარწერები გამოაქვეყნეს აგრეთვე: ს. კაკაბაძემ¹⁷, ნ. ბერძენიშვილმა¹⁸, ლ. მუსხელიშვილმა¹⁹, თ. ბარნაველმა²⁰, ა. ბაქრაძემ²¹, ვ. ცისკარიშვილმა²², ნ. შოშიაშვილმა²³, ვ. სილოგავამ²⁴.

ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა გ. ჩუბინაშვილმა²⁵, ვ. ბერიძემ²⁶, ნ. ჩუბინაშვილმა²⁷ საქართველოს ცალკეული კუთხეების ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გამოაქვეყნეს აგრეთვე ამ ძეგლების წარწერებიც. გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ძველი ქართული ჰედეური ხელოვნების ძეგლები მათზე მოთავსებული წარწერებით²⁸. რ. ჭეცისაშვილმა და ვ. ცინცაძემ გამოაქვეყნეს შიდა ქართლის უმნიშვნელოვანესი წარწე-

¹⁵ Л. Меликсет-Бек. Рельефы руки на памятниках материальной культуры феодальной Грузии, კრებულში: „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, IX, თბ., 1957, გვ. 125, სურ. 28.

¹⁶ Л. Меликсет-Бек. Кабени и ее армянские и грузинские надписи: отл. მოაზრება, VII, თბ., 1927, გვ. 60—73; მისივე; Надписи Кабена, «Известия Кавказского историко-археологического института», т. III, Тфл., 1925, გვ. 31—36.

¹⁷ ს. კაკაბაძე, ზარზმის ფრესკების ისტორიული პირები, „საისტორიო მოამბე“, I, თბ., 1925; მისივე; ეპიგრაფიკული მასალა გეგუთიდან, „საისტორიო კრებული“, III, თბ., 1926; გვ. 114—115; მისივე; წინასწარი ცნობა დას. საქართველოს ზოგიერთ ეპიგრაფიკულ ძეგლზე, იქვე, IV, თბ., 1929, გვ. 102—111.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წ. I, თბ., 1964, გვ. 1—43; მისივე; ჯავახეთის 1933 წ. ექსპედიციის დღიური, იქვე, გვ. 45—173; მისივე; აძიკვის წარწერის გამო, იქვე, გვ. 272—282; მისივე; მიწათმფლობელობის ფორმების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, იქვე, წ. III, თბ., 1966, გვ. 135—249 და სხვ.

¹⁹ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მანავრის ხეობაში, თბ., 1941; მისივე; ისტორიული ძეგლები უკანაორიდან, „ენიმეის მოამბე“, ტ. X, თბ., 1941; მისივე; საშვილდის სიონის წარწერები და მისი აგების თარიღი, იქვე, ტ. XIII, თბ., 1942; მისივე; მცხეთის სვეტიცხოველის უძველესი წარწერები და მათი კავშირი მეღვინისეულ კათალიკოსის ანდერძთან: „ქართული ხელოვნება“, ტ. I, თბ., 1942.

²⁰ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957; მისივე; მანვლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1961; მისივე; კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.

²¹ ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც საისტორიო წყარო, „საქ. სახელმწიფო მუზ. მოამბე“, ტ. XX—B, თბ., 1959, გვ. 55—78 და სხვ.

²² ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

²³ ნ. შოშიაშვილი, ურბნისის ძველი ქართული წარწერები, კრებულში: „ბალეოგრაფიული ძეგლები“, წ. I, თბ., 1965, გვ. 131—156.

²⁴ ქართული წარწერების კორპუსი, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

²⁵ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959.

²⁶ ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI სს-ში, თბ., 1955.

²⁷ Н. Г. Чубинашвили, Хандиси (проблемы рельефа на примере одной группы грузинских стел последней четверти V века, VI и первой половины VII века), Тб., 1972.

²⁸ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство VIII—XVIII вв., Тб., 1959.

რები²⁹. წარწერები გამოაქვეყნეს ქართული ხელოვნების ისტორიის პერიოდულ ორგანოში („ქართული ხელოვნება“)³⁰ და თავიანთ მონოგრაფიებში ხელოვნებათმცოდნეებმა: გ. აბრამიშვილმა, ნ. ალადაშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ვ. ალექსიძემ, თ. ვირსალაძემ, პ. ზაქარაიამ, ლ. რჩეულიშვილმა, რ. შერლინგმა, ვ. ცინცაძემ, ალ. ჯავახიშვილმა. წარწერები გამოსცეს აგრეთვე ენათმეცნიერებმა: ტ. გუდავამ, ვ. თოფურიამ, ი. იმნაიშვილმა, ი. მეგრელიძემ, ა. ჩიქობავამ, ისტორიკოსებმა: დ. ბერძენიშვილმა, ს. გამსახურდიამ, გ. გაფრინდაშვილმა, ჯ. გვასალიამ, კ. გრიგოლიამ, დ. მუსხელიშვილმა.

1955 წ. იტალიელთა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვ. კობოს ხელმძღვანელობით პალესტინაში, იუდას უდაბნოში, აღმოაჩინა ქართული მონასტერი ქართული წარწერებით. ამათგან ორი წარწერა გ. წერეთელმა დაათარილა V ს. 30-იანი წლებით, ხოლო ერთი — 532—552 წწ.³¹

60—70-იან წლებში დიდი მუშაობა ჩატარეს ქვაჯვრების წარწერათა შესწავლად და გამოსაქვეყნებლად ვ. ჯაფარიძემ, ნ. ჩუბინაშვილმა, ჯ. ამირანაშვილმა და სხვა მკვლევრებმა (იხ. ქვემოთ: „ქვაჯვრების წარწერები“).

რევოლუციამდელ მკვლევართა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ფიგურად ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის საქმეში გვევლინება ე. თაყაიშვილი.

საბჭოთა პერიოდში ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ.

50—60-იან წლებში წარწერების შესწავლა-გამოცემას მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ამ საქმის დიდმა ენთუზიასტმა და მოამაგემ თ. ბარნაველმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული წარწერების გამოვლინებაში და შესწავლა-გამოცემაში ქართველი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეების დამსახურება.

უკანასკნელ წლებში ქართული წარწერების შესწავლა და გამოცემა დაიწყო სომეხმა მკვლევარმა პ. მურადიანმა. მან გამოსცა ცალკე წიგნად სომხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქართული წარწერები³².



ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის მნიშვნელოვანი მატერიალური ბაზაა ამ ძეგლების საცავები.

ქართული წარწერების ძირითადი საცავები ამჟამად ორ დაწესებულებაშია: 1) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში; 2) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ქართული კულტურის საგანძურთა ამ კერებში შექმნილია ეპი-

29 P. Мелисашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии—Шинда-Картли, Тб., 1975.

30 „ქართული ხელოვნება“, № 1—7. თბ., 1942—1971.

31 გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960 (ქართულ, რუსულ და ინგლ. ენებზე).

32 Պ. Մ ա ռ ա դ յ ա ն, Հայաստանի վրացիներն արձանագրությունները, եր., 1977.

გრაფიკული ძეგლების მდიდარი ფონდები, რომლებიც განსაკუთრებით გაიზარდა ამ დაწესებულებათა მიერ საბჭოთა პერიოდში წარმართული ინტენსიური მუშაობის შედეგად. საქ. მუზეუმის წარწერების კატალოგი გამოიცა 1953 წელს და მასში შევიდა 69 ძეგლი. კატალოგის გამოცემის შემდეგ ეს ფონდი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 100 ერთეულს გადააჭარბა.

მცირე რაოდენობით ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები დაცულია საქართველოს სხვა მუზეუმებშიც: ქუთაისის, ზუგდიდის, ახალციხის და სხვ., აგრეთვე სომხეთის მუზეუმებში.

ქართული წარწერების კვლევითი ბაზის შესაქმნელად უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ წარწერათა ფოტოთეკებს. ასეთი ფოტოთეკები შექმნილია ძირითადად ოთხ დაწესებულებაში: საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტში. ამჟამად წარწერების ფოტოთეკა იქმნება აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტში. ფოტოთეკებში დაცული უმდიდრესი მასალა, ძველი ქართული წარწერების ფოტონეგატივებისა და ფოტოანაბეჭდების სახით, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ წარწერების შესწავლა-პუბლიკაციის საქმეს.

II. V—X სს. ლაბიდარული ლაპიდარული წარწერების ისტორიულ-კალენდრული მიმოხილვა

V—X სს. ლაბიდარული წარწერები შემოგვრჩა: 1) საკულტო ძეგლებზე (ქვაჯვრები, ეკლესიები); 2) საფლავის ქვებზე და სარკოფაგებზე; 3) ცალკე ქვის ფილებზე (ეპიგრაფიკული აქტები).

ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი ქართული ლაბიდარული წარწერები ამ პერიოდის საერო ხასიათის ნაგებობებზე (საცხოვრებელი, სამეურნეო, საფორტიფიკაციო).

V—IX სს-ში ქარბობს ქვაჯვრების წარწერები, ხოლო X ს-ში — ეკლესიის კედლის (XI ს-დან ქვაჯვრების წარწერები თითქმის გაქრა. საერთოდ ქვაჯვრებმა ამ დროიდან იცვალეს გარეგნული სახეც და შინაარსიც).

1. ქვაჯვრების წარწერები

ქვაჯვრების კვლევაში, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელთა შედეგად გამოვლინდა ახალი მნიშვნელოვანი მასალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. მუსხელიშვილის მიერ 1936—1937 წწ. ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრები, რომლებმაც გამოავლინეს უკვარცხლბეკო ქვაჯვრები, ე. წ. „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებით. ბოლნისშივე, „ლამაზ გორაზე“, 1959 წ. ი. გელიშვილმა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოავლინა სამონასტრო კომპლექსი, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა დიდი რაოდენობით უკვარცხლბეკო ქვა-

33 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკულ ძეგლთა კატალოგი, შედგენილი ა. ბაჭრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ. თბ., 1953.

ჯვრები „ბოლნური ჯვრებით“ (ანალოგიური სიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილისა). 1964 წ. ვ. ჯაფარიძემ დმანისის რაიონში, დაბლუტის წყლის ხეობაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მიაკვლია ძველ დარბაზულ ეკლესიას. სტელის მრავალი (50-ზე მეტი) ფრაგმენტი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი წარწერიანი კვარცხლბეკი, რომელთაგან ერთი მთლიანი იყო, ხოლო მეორე — ფრაგმენტების სახით. ვ. ჯაფარიძემ გამოაქვეყნა წერილები ამ ძეგლებზე, სადაც მიმოიხილა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის ქვაჯვრები (1) [138], ვ. ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა; 2) [138 ა], ვ. ჯაფარიძე; 3) [139], ვ. ჯაფარიძე). 1964 წ. მ. სინაურიძემ კაზრეთიდან 2 კმ. დაშორებით, დარბაზული ეკლესიის ნანგრევებში, აღმოაჩინა სტელისა და ჯვრების ფრაგმენტები (მ. სინაურიძე, თ. ბერიძე, კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, ძმ, № 27—28). მანვე 1972 წ. ს. ხატისოფელში (დღ. წითელსოფელი, ბოლნისის რ-ნი), დარბაზული ეკლესიის კედელში, მიაკვლია ქვაჯვრის ფრაგმენტს, წარწერით ([98], მ. სინაურიძე).

ქვაჯვრებისა და სტელის გამოვლენაში, შეკრებაში და შესწავლაში, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსმ, სხმ და იაი-ს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებმა: ა. ბაქრაძემ, დ. ბერძენიშვილმა, ს. ბოლქვაძემ, პ. ზაქარაიამ, დ. მუსხელიშვილმა, თ. ქარუმიძემ, თ. ჩხეიძემ, ვ. ცისკარიშვილმა და სხვებმა.

ქვაჯვრების აღნუსხვის, შესწავლისა და გამოცემის საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ვ. თოფურია. მან საქართველოში აღნუსხა სხვადასხვა სახის 97 ქვაჯვარი, წარწერიანი თუ უწარწერო, და საგანგებო ნაშრომში განაზოგადა თავისი კვლევის შედეგები ამ საკითხზე ([60], ვ. თოფურია, 29—63). მისი დასკვნით, ქვაჯვრები საქართველოში გაქრიასტიანების პირველ ხანებშივე გავრცელდა და თავდაპირველად წარმოადგენდა სალოცვ ძეგლებს, გვიან შუასაუკუნეებში კი მათი მნიშვნელობა, როგორც საკულტო ძეგლებისა, შემცირდა და ზოგჯერ ისინი სამიჯნაო ნიშნად მიიჩნიეს (იქვე — 62—63).

ქვაჯვრებს არაერთხელ შეეხო თავის გამოკვლევებში გ. ჩუბინაშვილი (იხ. მისი: 1) Заметки о Манглисском храме, სმ, № 1, 1919-1920; 2) ქართული ხელოვნების ისტორია, 1936; 3) Болнисский Сион, ენმკმ, IX, 1940 და სხვ.). ბოლნისის კედლის ჯვრებთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: «Кресты вырезанные внутри Болнисского Сиона, очевидно, отмечают те места, где во время службы стояли вкладчики больших сумм на храм ([202], გვ. 187). მანგლისის ქვაჯვართან დაკავშირებით გ. ჩუბინაშვილი მიუთითებდა, რომ მას სამიჯნე ნიშნად მიიჩნევენ (დასახ. ნაშრ. მანგლისზე, გვ. 37).

ქვაჯვრები განიხილა ალ. ჯავახიშვილმა თავის სადისერტაციო ნაშრომში (რომელიც, სამწუხაროდ, მთლიანი სახით არ გამოქვეყნებულა): „საქართველოს ძველი ქრისტიანული მემორიალურ-საკულტო ძეგლები“ (1949). ამ საკითხს მიეძღვნა აგრეთვე მისი წერილი არემის სტელაზე ([131], 747—759). ალ. ჯავახიშვილი აღნიშნულ ნაშრომში განიხილავს V—X სს-ის კვარცხლბეკიან სტელა-ჯვრებს და მიიჩნევს მათ მემორიალურ საკულტო ძეგლებად. მკვლევრის აზრით, იურიდიულ ძეგლებად ქართული სტელები (ისევე როგორც საფლავის ხაჩკარებად—სომხური) იქცევიან თავიანთი განვითარების მომდევნო საფეხურზე ([157], А. И. Джавахишвили, 17—19).

ქვაჯვრებს შეეხო აგრეთვე ლ. მელიქსეთ-ბეგი თავის ნაშრომებში: „მწიგ-ლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით“ (ეურნ. „ახალი სკოლისაკენ“, 1924, № 2—3) და „მეგალითური კულტურა საქართველოში“ (1938). მან დაადგინა ქვის საკულტო ძეგლების განვითარების საფეხურები მენ-პირებიდან ქვაჯვრებამდე. მისი დასკვნით, „ბაზისიანი ჯვრები თაყვანსაცემი ჯვრებია, ხოლო უბაზისო ჯვრები — საზღვრების მაჩვენებელი ნიშნები“ (ეურნ. „ახალი სკოლისაკენ“, გვ. 80).

ბოლნისის „ლამაზ გორაზე“ აღმოჩენილი უკვარცხლბეკო ჯვრები მონო-გრაფიულად შეისწავლა ჯ. ამირანაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ ჯვრების ნაწი-ლი, ალბათ, „აღმართული იქნებოდა სამარხებზე, როგორც მემორიალური ძეგ-ლები და მათი სათანადო წარწერები კი, ალბათ, ეპიტაფიებს წარმოადგენდნენ“ ([14], ჯ. ამირანაშვილი, 36).

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სტელა-ჯვრების შესასწავლად ნ. ჩუბინაშვილმა. თავის ნაშრომებში მან გამოსცა და განიხილა დღემდე გამო-ვლენილი სტელა-ჯვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, მოგვცა მათი მხატვრულ-სტილისტური და ისტორიული ანალიზი (იხ. მისი ნაშრომები: 122, 209, 212).

ქვაჯვრების ძირითადი და უძველესი კერა საქართველოში ქართლის სამხ-რეთ-აღმოსავლეთი კუთხეა, რომელსაც გვიან შუასაუკუნეებში ქვემო ქართლი ეწოდა (ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონები).

ერთ-ერთი სახე ქვაჯვრებისა, რომელიც მხოლოდ ბოლნისის რაიონში გვხვდება (ძირითადად V—VI სს-ში), არის მცირე ზომის სწორკუთხედის ფორ-მის ბრტყელი ფილები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დამუშავებული აქვთ მხო-ლოდ წინა მხარე — ფასადი. მათზე ამოკვეთილია მედალიონში ჩასმული ტოლ-მკლავა ჯვარი, ზოგჯერ დადგმული ბუნზე („ძღვევის ჯვარი“). ასეთ ჯვარს ლიტე-რატურაში ბირობითად „ბოლნური ჯვარი“ ეწოდება, მისი გავრცელების ადგი-ლის მიხედვით. ჯვრის გამოსახულებას ზოგჯერ ახლავს მოკლე წარწერაც, სა-დაც ძველს ეწოდება „ჯვარი“. წარწერის ავტორი გვამცნობს, თუ ვისია ეს ჯვა-რი და ზოგჯერ ამომკითხველს შესთხოვს ლოცვაში მოხსენიებას. ასეთი ჯვრე-ბის ერთი ნაწილი ჩადგმულია ეკლესიის კედლებში და, ცხადია, ეკუთვნის მხა-რის უფალს, ან გამგებელს (მამასახლისი, ციხისთავი, ხევისუფალი), შესაძლოა — მაღალი რანგის შემწირველს. მისი წარწერა არის თავისებური მოსახსენებელი, რომელსაც გაიჩენს ჯვრის ჩამდგმელი თავისივე სიცოცხლეში.

ასეთივე ფილა-ჯვრები უკვარცხლბეკოდ გვხვდება აგრეთვე ეკლესიათა ტე-რიტორიაზე, ზოგჯერ სისაფლაოზე (მაგ. „ლამაზ გორაზე“, კვირიკეს ჯვარი — წარწ. № 62; სამწვერისში, ძალანდუხტის ჯვარი — წარწ. № 61). შესაძლოა მათი ნაწილი ისევ კედელში ჩასადგმელად იყო განკუთვნილი, მაგრამ ნაწილი აშუქრად საფლავის ქვებია. როცა ასეთ ფილებს საფლაოზე ვერტიკალურად დგამდნენ, წარწერებს ამოკვეთავდნენ ხოლმე ფილის თავზე, საიდანაც ის უკეთ გამოჩნდებოდა წასაკითხად. როდესაც საფლავის ქვაჯვრებს სიბრტყით დებ-დნენ, მაშინ წარწერასაც ბრტყელ წახნაგზე კვეთდნენ. ზოგჯერ საფლავის ქვა-

ჯერებს მეორედ გამოიყენებდნენ: გადმოაბრუნებდნენ ფილას და დააწერდნენ ახალ სახელს. ასეთი მეორადი გამოყენების მაგალითია „შუშანიკის ჯვარი“ (ბოლნისიდან). იოვანე ბოლნელის საფლავის ჯვარი წარწერით: „საფლავი იოვანე ბოლნელის“ გადააბრუნეს და ზურგზე დააწერეს: „ესე ჯუარი შუშანიკისი“ (თვით იოვანე ბოლნელის წარწერის ამოკვეთამდე, როგორც ჩანს, ჯვარი უწარწერო იყო და სხვისი საფლავის ქვა იყო, რადგან ჯვრის გამოსახლება უფრო ადრინდელი ჩანს — V—VI სს-სა, იოვანე ბოლნელის წარწერა კი გვიანდელი — IX სს-ის). ზოგჯერ ძველ წარწერას ქვაჯვარზე გადაფხვნიდნენ და ახალს კვეთდნენ (ასეთი ჩანს, მაგ. ბარნაბას ჯვარი — წარწ. № 18). ვერტიკალურად დასადგმელ საფლავის ქვაჯვარებზე ზოგჯერ ოთხივე წახნაგს დაამუშავებდნენ ხოლმე და წარწერებსაც კვეთდნენ არა მხოლოდ ერთ წახნაგზე (მაგ., ბოლნისის ჯვარი — წარწ. № 14). ქრისტიანულ საფლავებზე ქვაჯვარების (წარწერიანის თუ უწარწეროს) დადება ბუნებრივია.

მცირე ზომის წარწერიანი უკვარცხლბეკო ჯვრები (კედლის, ან საფლავის), „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებით, გვხვდება მხოლოდ ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში (სიონი, „ლამაზი გორა“, სამწვერისი). მათი დათარიღება უნდა დაეყაროს ლ. მუსხელიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის დასკვნებს ბოლნისის სიონის ჯვრებზე და მათ წარწერებზე, მიღებულს ამ ძეგლების მხატვრულ-სტილისტური, პალეოგრაფიული და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად. ამ დასკვნების მიხედვით, აღნიშნული ძეგლები ტაძრის აგების თანადროულია, ე. ი. V სს-ის II ნახევრის, აქედან გამომდინარე, ბოლნისის სიონის ანალოგიური რელიეფურ წარწერებიანი უკვარცხლბეკო ჯვრები თარიღდება V—VI სს-ის მიჯნით, ხოლო ამოღარულ წარწერებიანი — VII—VIII სს-ით. ზოგჯერ უკვარცხლბეკო ქვაჯვარებზე წარწერა ამოუკვეთიათ ჯვრის ამოკვეთაზე 1—2 საუკუნით გვიან — IX—X სს-ში.

ქვემო ქართლში უკვარცხლბეკო მცირე ქვაჯვრებთან ერთდროულად (V—VI სს-დან) ჩნდება აგრეთვე ქვაჯვრების მეორე სახე: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბაზისებში (სწორკუთხა კუბები, ან მრავალწახნაგა კვადრები) ჩადგმული სხვადასხვა ზომის (ზოგჯერ რამდენიმე მეტრის სიმაღლის) სტელები, რომლებიც ხშირად ბოლოვდება ჯვრის ქანდაკებებით. სტელის ბაზისზე, ან თვით სტელაზე V—VII სს-ში (და ზოგჯერ გვიანაც) კვეთდნენ „ბოლნურ ჯვარს“, რომელსაც გვიან ცვლის მოგარძო ჯვარი („მეწამული ჯვარი“), ან „ბოლნური ჯვრის“ გვიანდელი ვარიაცია. ჯერ ბაზისზე (V—VII სს-ში), ხოლო შემდეგ თვით სტელეზედაც ზოგჯერ კვეთდნენ წარწერებს, სადაც ამ ძეგლს ეწოდება „ჯვარი“, ან — „ძელი ცხორებისა“ (ჩვენამდე შემონახულ წარწერიან სტელაჯვრებს უმრავლეს შემთხვევაში აკლიათ ერთ-ერთი კომპონენტი: შემორჩენილია ან წარწერიანი ბაზისი უსტელოდ, ან წარწერიანი სტელა უბაზისოდ).

რელიეფური წარწერები გვხვდება მხოლოდ კვარცხლბეკებზე და არა სტელეებზე, ჩვეულებრივ ადრეულ პერიოდში — V—VI სს-ში (უკანგორის, დაბლუტის წყლის ხეობის, №№ 26, 27, 29), ზოგჯერ — მომდევნო საუკუნეებშიც (მაგ., აბასთუმნის, წარწ. № 34). ამოღარული წარწერები გვხვდება როგორც კვარცხლბეკებზე, ისე სტელეებზე VII სს-დან. პალეოგრაფიული ნიშნებისა და შინაარსობრივი მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილ გამოცემაში შეტანილია ზოგიერთი კორექტივი ქვაჯვრების წარწერების ადრინდელ დათარიღებაში (წარწ. №№ 33, 34, 39, 42, 44, 45, 47, 48, 50, 52).



„ბოლნური ჯვრის“ გამოსახულება (წარწერიან კვარცხლბეკებზე ზოგჯერ კი სტელეებზეც) გვხვდება მხოლოდ ქვემო ქართლში (უჯანგორის ლორდინი — V—VI სს., დაბლუტის წყლის ხეობის კვარცხლბეკი V—VI სს., პანტიანის კვარცხლბეკი — VII ს., ტბისის კვარცხლბეკი X ს.). აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებში გამოვლენილ ქვაჯვრების კვარცხლბეკებისა და სტელეების ერთ ნაწილზე ამოკვეთილია არა „ბოლნური ჯვარი“, არამედ — მისი გვიანდელი ნახესხვაობა, ან მოგობო, „მეწამული“ ჯვარი (უსანეთის სტელეა — VIII ს.; წრომის კვარცხლბეკი — IX ს.; არემის სტელის კვარცხლბეკი — X ს.; არადეთის კვარცხლბეკი — X ს.). კვარცხლბეკებისა და სტელეების მეორე ნაწილზე, რომლებიც მიკვლეულია ქვემო ქართლის ფარგლებს გარეთ, ჯვრის გამოსახულება საერთოდ არა გვხვდება (კვარცხლბეკები: მცხეთის ჯვრის — 595/605; წყისეს — VII ს.; ატენის ხეობის — VIII ს.; აბასთუმნის — VII—VIII სს.; ხუნამისის — 895. სტელეები: ნათლისმცემლის მონასტრის — VII ს.; კატაულას — VIII ს.; ყველის — IX ს.; უდეს — X ს.).

სტელა-ჯვარი თავისთავად საკულტო ძეგლია, სამლოცველო-სათაყვანო დანიშნულებისა გამოვლენება ჯვრის კულტისა ძველ საქართველოში. ის, როგორც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო, რომელსაც ზოგჯერ ახლდა აგრეთვე სხვადასხვა წმინდანების, ან რელიგიური სცენების გამოსახულებები, წარმოადგენდა დიდი საკულტო ნაგებობის — ტაძრის თანხლებ კომპონენტს. სტელა-ჯვრის ამართვის უფლება (ისევე როგორც ტაძრის აგებისა) ჰქონდა მხოლოდ ეკლესიის საერო ან სასულიერო უფალს (ფეოდალურ მესაკუთრეს), ან მხარის გამგებელ მოხელეს. ეს კარგად ჩანს სტელეებისა და მათი ბაზისების წარწერებიდან, სადაც მოხსენიებულნი არიან სწორედ აღნიშნული პირები. ეს წარწერები წარმოადგენენ მათი ავტორების მოსახსენიებელ წერილობით ძეგლებს: ავტორი ჩვეულებრივ აღნიშნავს წარწერაში, რომ ამართა ჯვარი თავის და თავისი სახლის წევრების (ცოლშვილის, ძმების, მშობელთა, სახლის მომავალთა და სხვა) სამლოცველოდ. ამასთან, შესთხოვს აღმოკითხველს ლოცვაში მოხსენიებას. ამავე დროს ამ წარწერებს იურიდიული შინაარსიც აქვთ: გამოხატავენ ამა თუ იმ პირის უფლებას ეკლესიაზე, მონასტრზე. შეწირულ, ან ნასყიდ მიწაზე ამართული სტელა-ჯვრების წარწერები წარმოადგენენ შეწირვის აქტებს (არემის სტელა-ჯვარი — წარწ. № 89);

სტელა-ჯვრის კვარცხლბეკის წარწერებში ხშირად აღნიშნული, რომ მას უნდა „თაყვანი სცენ“, ე. ი. ილოცონ მასზე (ისევე როგორც ეკლესიაში): „ვინ თაყვანი სცეთ...“ ამდენად, ეს სტელა-ჯვრები „სათაყვანოა“ (სამლოცველო), მაგრამ, რადგანაც ისინი ეკუთვნიან აუცილებლად რომელიმე უფალს (საეროს, ან სასულიეროს), ამიტომ შეიძლება მათ ვუწოდოთ „სათაყვანო-საუფლო სტელა-ჯვრები“.

ამ რ ი გ ა დ:

I. V—X სს. წარწერიანი ქვაჯვრები, გარეგნული ნიშნებისა და დანიშნულების მიხედვით, შეიძლება შემდგენიარად დავაჯგუფოთ:

1. უკვარცხლბეკო ჯვრები:

ა) ეკლესიის კედელში ჩადგმული (მოსახსენიებელი წარწერებით);

ბ) საფლავის ქვები (ეპიტაფიებით).

II. კვარცხლბეკიანი ჯვრები:

ა) სათაყვანო-საუფლო (სამლოცველო დანიშნულების, ამავე დროს უფ-

ლის ძალაუფლების დამადასტურებელი ამ ადგილზე, მისი სახელის აღ-
მნიშვნელი წარწერით).

ბ) ეპიგრაფიკული აქტები.

2. როგორც ქვაჯვრები, ისე მათზე გამოსახული „ბოლნური ჯვრები“ თავ-
დაპირველად (V ს-ში) გავრცელდა ქვემო ქართლში (ბოლნისის, ღმანისის, მარ-
ნეულის, თეთრი წყაროს რაიონები).

3. „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულება ქვემო ქართლიდან აღმოსავლეთ და
სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელდა უფრო ადრე (VI—VII სს-
ში), ვიდრე თვით სტელა-ჯვარი (VII—VIII სს-ში). დას. საქართველოში „ბოლ-
ნური ჯვრის“ გამოსახულება არ გავრცელებულა, ხოლო სტელა-ჯვრის სახე-
სხვაობა გვხვდება მცირე რაოდენობით XI ს-დან.

4. უკვარცხლბეკო მცირე ზომის ქვაჯვრები (კედლისა და საფლავის), რო-
მელთა აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა ზედ ამოკვეთილი „ბოლნური
ჯვარი“, ქვემო ქართლის ფარგლებს გარეთ არ გავრცელებულა, ხოლო კვარცხლ-
ბეკიანი დიდი ზომის ქვაჯვრები გავრცელდა ქვემო ქართლის ფარგლებს გარეთ,
ძირითადად „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულების გარეშე (როგორც ჩანს, ქვა-
ჯვრები მაშინ ვასცდა ქვემო ქართლის ფარგლებს, როცა „ბოლნური ჯვრის“
გამოსახულება გამოდიოდა უკვე ხმარებიდან, ან იცვლებოდა სხვა სახის
ჯვრით).

5. კედლის ჯვრების წარწერები წარმოადგენენ შემწირველთა ან ეკლე-
სიის უფალთა მოსახსენებლებს.

6. უკვარცხლბეკო მცირე ჯვრების (ბოლნისის სიონის, „ლამაზი გორის“,
სამწვერისის) წარწერები ეპიტაფიებია.

7. კვარცხლბეკიანი დიდი ჯვრები, პირველ რიგში, საკულტო ნაგებობე-
ბია — სათაყვანო ჯვრები. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ჯვრებზე, ან მის
კვარცხლბეკებზე ამოკვეთილია მათი აღმმართველის (ადგილობრივი უფლის —
მამფლის, ან მოხელე-გამგებლის) სახელი, სათაყვანო სტელა ამავე დროს იძენს
კიდევ ორ მნიშვნელობას: ა) იურიდიულს — აღნიშნავს სტელის დამდგმელის
უფლებას ამ ადგილზე, ე. ი. სათაყვანო სტელა ზდება ამავე დროს საუფლოც;
ბ) მოსახსენებელ-მემორიალურს — წარწერა წარმოადგენს სტელის დამდგმე-
ლის მოსახსენებელ ჩანაწერს (ისევე როგორც ალაპები და მოსახსენებლები
ხელნაწერ წიგნებში).

8. სტელა-ჯვრებს აღნიშნული იურიდიული შინაარსი აქვთ პოლიტიკური
დაქუცმაცებულობის ხანაში, როდესაც არსებობენ ცალკეული საუფლო-სამამ-
ფლოები და როცა ეს უფალი-მამფლები თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებ-
ლობას ასეთი სტელა-ჯვრებითაც გამოხატავენ. ერთიანი ფეოდალური მონარ-
ქიის წარმოქმნის შემდეგ სტელა-ჯვრები კარგავენ თავიანთ აღნიშნულ ში-
ნაარსს. მათ ადგილს იკავებს სამეფო სტელა — „ქელი“, სამიჯნე სტელა და
სამლოცველო ქვაჯვარი.

2. კედლის ლაპიდარული წარწერები

ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი ძველი ქართული ლაპიდარული წარ-
წერები, კუთვნილებისა და დანიშნულების მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად
დავაჯგუფოთ:

1) საამშენებლო წარწერები:

- ა) ქტიტორთა.
- ბ) ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა.

2) მოსახსენებლები:

- ა) ქტიტორთა.
- ბ) უფალთა და გამგებელთა.
- გ) შემწირველთა.
- დ) ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა.
- ე) მლოცველ-პილიგრიმთა.

3) იურიდიული აქტები:

- ა) აღაპის დაწესების.
- ბ) ფეოდალური საკუთრების (შეწირვის, ნასყიდობის, შეუვალობის და სხვ.).

წარწერების თითოეულ ამ ჯგუფს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული შედგენილობა (იხ. ქვემოთ).

ქტიტორებად გვევლინებიან წარჩინებული საერო და სასულიერო პირები: მეფე, დიდი ფეოდალი, ერისთავი, კათალიკოსი, ეპისკოპოსი. ეკლესიას ჩვეულებრივ აგებდა მისი უფალი — პატრონი (ფეოდალური მესაკუთრე). ამიტომაც, რომ, როგორც წესი, კათედრალური საყდრების ამშენებლები იყვნენ ეპისკოპოსები და კათალიკოსები, როგორც მათი უფლები (ურბნისის ბოლნისის, ნიქოზის, კუმურდოს, იშხნის, სამთავისის, სვეტიცხოვლის საყდრების)³⁴, ხოლო საფეოდალო, საერისთავო და სამეფო ეკლესია-მონასტრებისა — მეფეები, დიდი ფეოდალები და ერისთავები (მცხეთის ჯვრის, წრომის, ერედვის, დოდოთის, ტბეთის, ბიეთის, შეპიაკის, ატენის მცირე გუმბათიანი, ოშკის, ატენის სიონის, სავანის და სხვა ტაძრების). უძველესი საამშენებლო წარწერები შემოგვრჩა ურბნისის, ბოლნისის და ნიქოზის ტაძრებზე (თუ არ ჩავთვლით აკათრთას ეკლესიის წარწერის მცირე ფრაგმენტს). ეს წარწერები საერთოდ უძველესია ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში (ურბნისის — V ს. I ნახევრის, ბოლნისისა და ნიქოზის — V ს. II ნახევრის). სამივე ეს ტაძარი სავარაუდოდ საყდარი, რომლებიც ეპისკოპოსებს აუგიათ: ურბნისისა — მამა მიქაელს (როგორც ჩანს ურბნელ ეპისკოპოსს), კოსტანტის (ალბათ, ადგილობრივი დიდი ფეოდალის) დახმარებით, ბოლნისისა — დავით ბოლნელ ეპისკოპოსს, ნიქოზისა — ზაქარია ნიქოზელ ეპისკოპოსს³⁵.

ქტიტორების გარდა, საამშენებლო წარწერებს ეკლესიებზე კვეთდნენ აგრეთვე ხუროთმოძღვრები და ხელოსნები, რომლებიც ხან ასახელებდნენ ქტიტორსაც, ხან კი — არა.

ხელოსნები, გარდა ხელოსნის ნიშნისა, რომელსაც კვეთდნენ ცალკეულ ქვებზე (ერთ გრაფემას, ან ტექნიკურ ნიშანს), ზოგჯერ კვეთდნენ აგრეთვე წარწერას, თავიანთი მონაწილეობის შესახებ მშენებლობაში (ქვის დადება, კა-

³⁴ გვიან შუასაუკუნეებში, საქართველოში სავარაუდოდ უკვე მეფეები, მთავრები, დედოფლები, დიდი თავადები გვევლინებიან და ამ საყდრების ამშენებელ-განმანახლებლებიც ისინი ხდებიან (ურბნისის, ბოლნისის და სხვა საყდრების).

³⁵ ურბნისისა, ნიქოზისა და იშხნის საყდრები არა მარტო აუგიათ ეპისკოპოსებს V ს-ში, არამედ ეპისკოპოსებსვე აღუდგინათ X ს-ში, რაზეც გვაძნობს მათი ამ დროის წარწერები. X ს-შივე ნიქოზელ ეპისკოპოსს ძველი საყდრის ახლოს აუგია ახალი საყდარი.



რის შეგება, ბალავრის დადება და სხვა), თავიანთი სახელის აღნიშვნით. IX—X სს-დან ეკლესიის კედლებზე ჩნდება წარწერები მლოცველ-პილიგრიმების მათი ნაწილი საგანგებოდ ხელოსნის მიერ ამოკვეთილია, ხოლო ნაწილი — სახელდახლოდ ამოკაწრული (გრაფიტი).

X ს-დან ეკლესიის კედლებზე გვხვდება ამოკვეთილი იურიდიული აქტები: ა) აღაპები (რომლითაც აწესებდნენ განსაზღვრულ დღეს ეკლესიაში ჟამის წირვისა და აღაპის გადასახდელად, ამა თუ იმ წარჩინებულ საერო თუ სასულიერო პირისათვის, მის მიერ ეკლესიისათვის გაწეული რაიმე სამსახურის გამო); ბ) ფეოდალურ საკუთრებასთან დაკავშირებული აქტები. ზოგჯერ ისინი შერწყმულია საამშენებლო წარწერასთან. იურიდიული აქტების ამოკვეთა ეკლესიის კედლებზე (ისევე როგორც ქვაკვრების ბაზისებზე და ცალკე ფილებზე) შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ისინი თავდაპირველად მხოლოდ მაგარ მასალაზე იწერებოდნენ და არა — რბილზე (ეტრატი).

3. V—X სს. ლაპიდარული წარწერების შედგენილობა

როგორც უკვე აღინიშნა, საკულტო ძეგლებზე — ეკლესიებზე და ქვაკვრებზე ამოკვეთილი წარწერები წარმოადგენენ მათ ავტორთა მოსახსენებელ-მემორიალურ ძეგლებს, მაგრამ ამ წარწერებს იურიდიული შინაარსიც აქვთ: საამშენებლო-ქტიტორული წარწერები გამოხატავენ მისი ავტორების საკუთრების უფლებას ამ ძეგლზე. ხუროთმოძღვარ-ხელოსანთა, შემწირველთა და მლოცველ-პილიგრიმთა წარწერებიც გამოხატავენ მათი ავტორების უფლებას, გაწეული ღვაწლის საფასურად მოხსენიებული იქნენ წარწერაში. ამის გამო ეს წარწერები შედგენილია განსაზღვრული დიპლომატიკური ფორმით, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და კანონდებოდა.

უკვარცხლებეო ჯვრები (კედლის ან საფლავის) (V—VIII სს.)

უკვარცხლებეო მცირე ზომის ფილები, „ბოლნური ჯვრის“ გამოსახულებით და ზოგჯერ მოკლე წარწერით, როგორც აღვნიშნეთ, ორნაირი დანიშნულების იყო: 1) კედელში ჩასადგმელი ქვაჯვარი, რომლითაც ეკლესიის უფალი, ან წარჩინებული შემწირველი გაიხენდა საუკუნო მოსახსენებელს; 2) საფლავის ქვა.

ასეთი დანიშნულება V—VIII სს. უკვარცხლებეო ქვაჯვარებისა განსაზღვრავდა წარწერის შინაარსსა და აგებულებას. ამ მხრივ ეს წარწერები შეიძლება შემდეგ სახეებად დაავაჯუფოთ:

- 1) წარწერა შედგება ერთი სიტყვისაგან; ესაა იმის სახელი, ვისაც ეკუთვნის ჯვარი, მაგ.:
 „ძნელაჲ“ (ბოლნისის სიონის კედლის ჯვარი — წარწ. № 8);
 „კვიკე“ (საფლავის ქვაჯვარი „ლაძაზი გორიდან“ — წარწ. № 52) და სხვა.
- 2) წარწერაში განსაზღვრულია ძეგლის რაობა („ჯუარი“) და (იშვიათად) მისი პატრონის თანამდებობა, მაგ.:
 „ესე ჯუარი ვარდან ნახპეტისაჲ“ (ბოლნისის სიონის კედლის ჯვარი — წარწ. № 7);

„ესე ჯუარი წმიდაა ბოლნისის ნახპეტისა“ (საფლავის ქვა ბოლნისის სიფი-
ნიდან — წარწ. № 9).

3) ჯვრისა და სახელის აღნიშვნას ემატება ვედრება ამოკეთხველისადმი
ლოცვაში მოხსენიებისა მაგ.:

„ესე ჯუარი ბარნაბაისი. რომელმან აღმოიკითხოს, ლოცვასა მომიხსენეთ“
(საფლავის ქვა „ლამაზი გორიდან“ — წარწ. № 18).

4) წარწერის ავტორი ქრისტეს შესთხოვს შეწყალებას, მაგ.:

„ქრისტე... შეიწყალე და შეილნი მისნი ყოველნი“ (წარწ. № 14).

„მამასახლისი ქრისტე შეიწყალე“ (წარწ. № 16).

„სული... ქრისტე შეიწყალე“ (წარწ. № 17).

ს ტ ე ლ ა-ჯ ვ რ ი ს ბ ა ზ ი ს ე ბ ი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცირე საკულტო ნაგებობებზე — კვარცხლბეკ-
ში ჩადგმულ სტელა-ჯვრებზე, რომლებიც თანმხლები კომპონენტები იყვნენ
ეკლესიებისა (ან მის ტერიტორიაზე იყვნენ ამართულნი, ან — მისადმი კუთვ-
ნილ მიწაზე), ზოგჯერ ამოკვეთილი იყო ხოლმე წარწერა. წარწერებს თავდა-
პირველად კვეთდნენ ბაზისებზე, ხოლო შემდეგ (VII ს-დან) — თვით სტელე-
ზედაც.

ბაზისებზე ამოკვეთილი წარწერები შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1) ტ ე ქ ს ტ ი ს დ ა წ ყ ე ბ ი ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ნ ი შ ა ნ ი — ბ ა ტ ა რ ა
ჯ ვ ა რ ი (†) უკვარცხლბეკო ჯვრების წარწერებში ეს ნიშანი არ გვხვდება. სა-
ერთოდ V—VII სს-ის წარწერებში ის იშვიათად იხმარება, მომდევნო პერიოდში
კი უფრო ხშირად, მაგრამ — არა ყოველთვის (IX ს-დან ის გადადის ხელნაწერ
წიგნებში. მხედრულ დამწერლობაში ჯვარი აღქმული იქნა, როგორც „ქრის-
ტე“-ს დასაწყისი პირველი გრაფემა. ამიტომ, ამ გრაფემით იწყება მხედრუ-
ლით დაწერილი ქართული წერილობითი ძეგლები. ჯვარი, როგორც ტექსტის
დასაწყისის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანი, ისევე როგორც Բ — ე. წ. ქანწი-
ლი, ქართულში გადმოღებული ჩანს ბერძნულიდან³⁶).

2) ძ ე გ ლ ი ს რ ა ო ბ ა: „ესე ჯუარი“. ზოგჯერ ძეგლის რაობა აღ-
ნიშნულია არა წარწერის დასაწყისში, არამედ წმინდანის სახელდების შემდეგ.

3) წ მ ი ნ დ ა ნ ი ს ს ა ხ ე ლ დ ე ბ ა:

„ესე ჯუარი ქრისტესი“, ან:

„შეწვენითა ქრისტესითა (|| ღმრთისმშობლისაათა || ღმრთისაათა ||
წმიდისა სამებისაათა)“.

4) წმინდანის სახელდების ნაცვლად ზოგჯერ არის შეწყალებების
ვედრება ქრისტესადმი, ღმრთისადმი, ღმრთისმშობლისადმი, ან რომელიმე
წმინდანისადმი:

„ქრისტე (|| წმიდაო სამებაო || წმიდაო გიორგი || წმიდაო ღმრთისმშო-
ბელო) შეიწყალე (|| აღიდე || შეეწიე)“;

5) ჯ ვ რ ი ს ა ღ მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ა ხ ე ლ დ ე ბ ა (და ზოგჯერ პატივიც):

³⁶ ლ. ქაჯაია, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში: „პალეოგრაფი-
ული ძიებანი“, II, 1969, გვ. 103—106.

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან დავუდასმან აღჰუმართე“.

„ესე ჯუარი ქრისტესი მე, ვეჟან ატენელ მამასახლისმან აღემართე“.

6) თუ ჯვრის წარწერა ეკუთვნის არა ქტიტორს, არამედ ხელოსანს, მაშინ წარწერაში აღნიშნულია თუ ვისი ხელმწიფობის ან უფლობის დროს, ან ვისი ბრძანებით იქნა აღმართული ჯვარი: „მუსტინიანე მეფისა ზმ... ბრძანებითა ღმრთივ დაცულისა მამფლისა არსუშუშა პატრიკიოსისა და ნებითა ღმრთისაჲთა ქართველთა ერისთავისა... მოწუებულ ვიყავ და აღემართე პატიოსანი ჯუარი“ (აბასთუმნის ჯვრის კვარცხლბეკი, წარწ. № 34).

„ქბეტრ მს ხუცესობასა... აღხუმართე ესე ჯუარი“.

„ქესე ძელი ცხოვრებისაჲ აემართა... უფლებასა სულაჲსა ჯაფარის ძისასა“.

7) ჯვრის ამართვის მიზანი:

„სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა“.

„შესავედრებლად და საკსრად სულისა ჩემისა და ყოველთათვის თავყუანისმცემელთა ქრისტეჲსითა“.

8) ვედრება თავყანისმცემელთა (ე. ი. მლოცველთა) და აღმოკითხველთადმი ლოცვაში ჯვრის აღმმართველის მოხსენიების შესახებ:

„რომელმან თავყანი სხცეს, ლოცვასა მომიკსენეთ“

„ვინ აღმოიკითხოს ლოცვასა მომიკსენეთ“.

9) სიმტკიცის ფორმულა:

ა) { „იყავნ. იყავნ“ (დაქარაგმებულად: იი) } V—VI სს.

ბ) „ამ მ მ“

გ) „იყავნ. ამ მ მ“ { VII ს-დან.

სიმტკიცის ფორმულა წარწერაში ყოველთვის არაა. განსაკუთრებით იშვიათია ის V—VII სს-ის წარწერებში.

10) თარიღი:

IX ს-დან წარწერებში ზოგჯერ გვხვდება წელთაღრიცხვით დათარიღება: ა) ქრახიკონით; ბ) დასაბამითგან; გ) პიჯრით. თარიღი ჩვეულებრივ წარწერის ბოლოშია ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ — ტექსტის დასაწყისში ან შუაში.

ს ტ ე ლ ე ბ ი

თვით სტელებზე ამოკვეთილი წარწერები ზოგჯერ ისეთივე შედგენილობისაა, როგორც ბაზისებზე (ნათლისმცემლის მონასტრის, წრომის და სხვა სტელები), უფრო ხშირად კი — მოკლეა და შედგება ვედრებისა და მავედრებების სახელისაგან:

„ქრისტე შეიწყალე... (ან: ადიდე)...“ (№№ 45, 46 და სხვ.).

„ჩორაჩ ქრისტე შეიწყალე ცოლშვილითურთ“ (№ 47).

„უფალო დაიციენ ჯაფარ და შვილნი მისნი“ (№ 53).

სტელებზე ხშირად კვეთდნენ ქტიტორის, მისი სახლის წევრებისა და წმინდანთა გამოსახულებებს, მათი სახელების აღმნიშვნელი წარწერებით, ან ვედრე-



ს ტ ე ლ ა-ჯ ვ რ ე ბ ი ს კ ვ ა რ ც ხ ლ ბ ე კ ე ბ ზ ე ა მ ო კ ვ ე თ ი ლ ი ი უ რ ი დ ი უ ლ ი ა ქ ტ ე ბ ი

ზოგჯერ სტელების კვარცხლბეკებზე VII—X სს-ში კვეთდნენ იურიდიულ აქტებს (ნასყიდობის, შეწირულების, წყალობის).

ეს აქტები ორი სახის იყო:

1) სააქტო წარწერა ერთდროულად ჯვრის ამართვის ტრადიციული წარწერაცაა და იურიდიული აქტიც:

„ეე ჯ უ ა რ ი ქ რ ი ს ტ მ ს ი მ ე, კოსტანტი... აღ ჰ უ მ ა რ თ ე სახელ-სა მცხეთისა ჯუარისასა, ნ ა ს ყ ი დ ე ე ს ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა ზ ე და...“ (წყისეს სტელა-ჯვრის კვარცხლბეკი).

2) სააქტო წარწერა ეთიშება ჯვრის ამართვის წარწერას. იგი აღარაა დაკავშირებული ჯვართან. ჯვარი (მისი კვარცხლბეკი) გამოყენებული იყო მხოლოდ საწერ მასალად:

„ქემან გურგენ კურაბალატისამან შეწირა არეშტი საყდარსა კუმურ-დომსა...“ (არეშის სტელა-ჯვრის კვარცხლბეკი).

IX—X სს-ში სააქტო წარწერა ეთიშება არა მარტო ჯვრის ამართვის წარწერას, არამედ თვით ჯვარსაც, როგორც საწერ მასალას და ჩნდება ცალკე ფილაზე ამოკვეთილი იურიდიული აქტები (მათი სახეებია: „პელი“ და „დაწერილი“).

ე კ ლ ე ს ი ი ს ს ა ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო (ქ ტ ი ტ ო რ თ ა) წ ა რ წ ე რ ე ბ ი

ეკლესიის ქტიტორთა საამშენებლო წარწერები დაახლოებით ისეთი შედგენილობისა იყო, როგორც სტელა-ჯვრის ქტიტორთა (ჯვრის ამართველთა) მშენებელთა):

1) წმინდანის სახელდება,

2) ძეგლის რაობა (ეკლესია),

3) ქტიტორის სახელდება,

4) ვედრება, შეწყალებისა და მვედრებლის ღვაწლის აღნიშვნით (ეკლესიის აშენება, ბალავრის დადება და სხვ.).

„უფალო იესუ ქრისტე, კოსტანტი, მამა მიქაელ შეიწყალებენ ამის სიონისა მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი“ (ურბნისის სიონი).

5) ზოგჯერ თარიღი (IX ს-დან): ქრონიკონით, დასაბამითგან, ან ჰიჯრით.

6) ზოგჯერ ქტიტორი შესთხოვდა არა მარტო თავის შეწყალებას, არამედ — ცოლშვილის, ძმების, ეკლესიის კრებულის, ეკლესიის აგებაში მონაწილეების.

IX—X სს-დან საამშენებლო-ქტიტორული წარწერები უფრო ვრცელი ხდება. მათში იხსენიებიან უმაღლესი სიუზერენიც (მეფე), ადგილობრივი უფალიც, მღვდელმთავარიც. ზოგჯერ გადმოცემულია რაიმე ისტორიული ეპიზო-

დი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველის აგების დროს (ერედვის, ზარზმის, დიდგორის, გომარეთის და სხვა წარწერები).

ეკლესიის საამშენებლო (ხუროთმოძღვარ-
ხელოსანთა) წარწერები

როგორც უკვე აღინიშნა, საამშენებლო წარწერებს თავიანთი სახელით, ეკლესიებზე ზოგჯერ კვეთდნენ ხოლმე ხუროთმოძღვრები და ხელოსნები. ეს წარწერები თითქმის ისეთივე შედგენილობისაა, როგორც ქტიტორთა სახელით ამოკვეთილი საამშენებლო წარწერები, ოღონდ, მათში, როგორც წესი, აღნიშნულია, რომ წარწერის ავტორი მხოლოდ შემსრულებელია მშენებლობის და არა ინიციატორი (ე. ი. ქტიტორი); რომ ეკლესია აიგო მისი ქელით:

„აღეშენა ესე წმიდა ეკლესია ქელითა... არსუკისძისათა“ (სვეტიცხოველი);

„აეშენა წმიდა ესე ეკლესია ქელითა... ჰიჭაფორისძისათა (გუდარხი);

„სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკულითვე ყოვლითა ფერითა ქელითა ფარეზასძისათა“ (საფარის წმ. საბას ტაძარი).

ამრიგად, ტერმინი „ქელი“ დაკავშირებულია წარწერებში ხუროთმოძღვრისა და ხელოსნის საქმიანობასთან („ქელის“ პოლისემანტიკაზე იხ. [126], ვ. ცისკარიშვილი, 87—92). ზოგჯერ არა მარტო ტერმინი „ქელი“, არამედ ხელის გამოსახულებაც ვხვდებოდა ეკლესიის კედლებზე, როგორც მშენებელი-ხელოსნის ემბლემა (ატენის სიონი, სვეტიცხოველი, დიდმის წმ. გიორგის ეკლესია და სხვა). მაგრამ წარწერებში ზოგჯერ ეს ტერმინი ქტიტორსაც უკავშირდება. ქტიტორი ეკლესიას თავისი „ხელით აშენებულად“ აცხადებს:

„...აღეშენა წმიდა ესე ეკლესია... ქელითა ჩემ გლაზაკისა ილარიონ სამთავნელ ებისკოპოსისა...“ (სამთავისის ტაძარი).

ზნორად ხუროთმოძღვარი ასახელებს ქტიტორსაც, რომლის ხელოსანიც ისაა:

„იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისა ქელითა... საკოცრისაჲთა“ (კუმურდო).

„მე ბავრელი ღირს ვიქმენ შენებისა წმიდისა ამის ეკლესიისა... ქელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“ (ფოკა).

„...დამაყენა მე... ჰარაბაი აღსაშენებლად წმიდის ამის საყდრისა, აღიდენ ღმერთმან გიორგი ერისთავთ-ერისთავი“ (საგანე).

„განვაახლე და განვასრულე მე იშხნელი მთავარეპისკოპოსმან... ავაშენე ქელითა ივანე მორჩაჲსძისაჲთა“ (იშხანი).

ხუროთმოძღვარი ზოგჯერ იხსენიებს ქტიტორის სახელს, შესთხოვს ღმერთს მის დიდებას, ისე რომ პირდაპირ არ აღნიშნავს, რომ ის ქტიტორია, მაგრამ ეს თავისთავად იგულისხმება:

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაი ეკლესიაჲ ქელითა გლა-



ზაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა“ (სვეტიცხოველ) ... აეშენა წმიდა ესე ეკლესია ქელითა... ქიჭაფორისძისა... სალოცველად და სადიდებლად. დედოფალი დედოფლისათვის, რუსუდან დედოფლისა...“ (გუდარეხი).

„ქრისტე ღმერთო, ადიდე... მეჭურჭლეთუხუცესი შალვა... ვაშენეთ წმიდაი ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა (განძანი).“

ხუროთმოძღვრები აღნიშნებიან სხვადასხვა ტერმინებით: „საქმესა ზედამდგომელი“ (ოშკის წარწერა), „ხუროთმოძღვარი და ზედამდგომელი საქმისა“ (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება), „ხუცეს გალათოზი“ (დიდი გომარეთი), „გალათოზთა ზედა მომგე“ (რუისის საყდარი), „კელოსანი“ (ფოკა), „სარქალი| სარქარი“ (ატენის სიონი, ქვემო ქალა, ანანურის ტაძარი).

მოსახსენებლები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიის კედლებზე (ისევე როგორც ქვაჯვრებზე) მოსახსენებლებს კვეთდნენ სხვადასხვა პირები: ქტიტორები, ხუროთმოძღვარ-ხელოსნები, ეკლესიის უფლები (საერო თუ სასულიერო) და მხარის გამგებლები, შემწირველები, მლოცველ-პილიგრიმები. ეს მოსახსენებელი არ არის იურიდიული აქტი, ისე როგორც ალაპი: აქ არ არის დაწესებული მოსახსენებელი პირის უამის წირვა ეკლესიაში, ან ალაპი. მაგრამ ამ წარწერით მაინც საუკუნოდ გაჩენილია მისი ავტორის მოხსენიება წამკითხველის მიერ.

ზოგჯერ ქტიტორი ერთდროულად კვეთდა როგორც საამშენებლო წარწერას (სადაც გვამცნობდა თუ რა ააშენა და როდის), ისე თავის მოსახსენებელს (ბოლნისის სიონის ქტიტორ დავით ეპისკოპოსის ორი წარწერა). ზოგჯერ ხუროთმოძღვარი კვეთდა საამშენებლო წარწერას, ხოლო ქტიტორი მხოლოდ თავის მოსახსენებელს (კუმურდოს საამშენებლო წარწერა ხუროთმოძღვარ საკოცრისა და მოსახსენებელი ქტიტორ იოვანე ეპისკოპოსისა).

მოსახსენებლებს კვეთდნენ ეკლესიის კედლებზე ზოგჯერ ხუროთმოძღვრებიც და ხელოსნებიც. ეს მოსახსენებლები ძირითადად ორი სახისაა:

1) წარწერაში აღნიშნულია ხუროთმოძღვრის, თუ ხელოსნის სახელი და ევდრება ქრისტესადმი შეწყალების შესახებ:

„ქრისტე შეიწყალე მონამ შენი ქველი“ (შეპიაკი).

2) წარწერაში აღნიშნულია ხუროთმოძღვრის თუ ხელოსნის ღვაწლი მშენებლობაში:

„შეწვენითა ქრისტესითა მე ფარნავაზ და აზარუხტ შეხუბათ ესე კარი სალოცველად ჩუენ და შულთა ჩუენთა“ (ბოლნისის სიონი).

„სახელითა ღმრთისაათა... დაისუა ქვაი ესე ქველისაი.

ქრისტე შეიწყალე“ (შეპიაკი).

„ქ ესე კალაპოტი მე ბაგრატ შევქმენ“ (ატენის სიონი).

„ქრისტე შეიწყალე ატენის სარქალი. ესე ზღუდეა შექმნა ქრონიკონსა რდე“.

„ქ სახელითა ღმრთისაათა ესე ქვა მე ლომმან დავსუი, ჩემითა ფასითა“ (კოშკები).

ზოგჯერ რამდენიმე ხელოსნის მოსახსენებელი ერთადაა დაჯგუფებული:



„საყდარო დაბისაო, შეიწყალე თვედორე კალატოზი. სულსა გიორგისა ეგუა
ნუსუენე. წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე ივანე კალატოზი“ (სოხთა).

IX—X სს-დან, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის კედლებზე ჩნდება მლოც-
ველ-პილიგრიმთა მოსახსენებლებიც, რომლებიც ჩვეულებრივ მოკლეა და შედ-
გება სამი-ოთხი სიტყვისაგან, რომლითაც მლოცველი შესთხოვს შეწყალებას
ქრისტეს, უფალ ღმერთს, ან რომელიმე წმინდანს:

„ქრისტე შეიწყალე მიქაელ“ (ატენის სიონი).
„ქრისტე შეიწყალე იოვანე ძამელი და კვრიკე“ (ატენის სიონი).

4. V—X სს. ქართული ლაპიდარული წარწერების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული განლაგება

ქ ა რ თ უ ლ ი წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ძ ე გ ლ ე ბ ი ს
ქ ვ ე დ ა ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ზ ღ ვ ა რ ი .
უ რ ბ ნ ის ის ს ი ო ნ ის წ ა რ წ ე რ ა .

ქართული დამწერლობის გამოვლენილ ძეგლებში უძველესად ივ. ჯავახი-
შვილმა 20-იან წლებში ბოლნისის აღმოსავლეთის აფსიდის სარკმლის თავზე
შემონახული დავით ეპისკოპოსის წარწერა მიიჩნია და დაათარიღა ის V/VI სს.
მიჯნით (506 წ. ახლო დროით)³⁷. 1937 წელს აღმოჩნდა ბოლნისის სიონის საამ-
შენებლო წარწერა, რომელიც, ა. შანიძის წაკითხვის შემდეგ, დათარიღდა
493—494 წლებით³⁸.

ურბნისისა და პალესტინის წარწერების დათარიღება მათი უკანასკნელი
გამომცემლების მიერ (1950-იანი — 60-იანი წლების მიჯნაზე) იყო ცდა ქარ-
თული დამწერლობის ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური ზღვრის გადაწვისა
V სს-ის I ნახევრისაკენ³⁹.

ურბნისის სიონის საამშენებლო წარწერა — კოსტანტისა და მამა მიქაე-
ლისა — მოკლეა (3 სტრიქონი), მაგრამ მოიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობის
ასოებს: ის შედგება 16 ასოს აღმნიშვნელი 29 გრაფემისაგან: **ՇԿՂԻԶ
ԲԻՂՆԵԿԿԻԿԻ** (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, ს, ტ, ჯ, ჭ, შ, წ, ყ). ეს გრაფემები საესე-
ბით საქმარისია წარწერის პალეოგრაფიული დახასიათებისა და იმის გან-
საზღვრისათვის, თუ ქართული დამწერლობის რომელ ეტაპს ასახავენ ისინი
(მით უმეტეს, რომ მათში, თითქოს საგანგებოდ, შედიან სწორედ ის ასოები,
რომლებიც თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდიან მთავრული დამწერლობის
განვითარების უძველეს ეტაპზე). სრულიად აშკარაა, რომ ეს წარწერა, თავისი
პალეოგრაფიული ნიშნებით, უპირველესია დღემდე ცნობილ ქართული დამ-
წერლობის ძეგლებს შორის, რომ მისი დამწერლობა წინა საფეხურია ბოლ-
ნისის სიონის მთავრული დამწერლობისა (იხ. № 1 წარწერის აღწერილობა)⁴⁰.

³⁷ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 279—282.
³⁸ Г. Н. Ч у б н а ш в и л и, Болнисский сион, енискиоп., IX, 1940, გვ. 69, 81.
³⁹ ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი: „ცისკარი“, № 4, 1958, გვ. 137. მისივე:
ურბნისის ძველი ქართული წარწერები: პმ, I, 1965, გვ. 143.
გ. შ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 28—29. §
⁴⁰ ურბნისის სიონზე შემორჩა აგრეთვე წარწერა ტაძრის განაახლებლსა — დავით ეპისკოპო-
სისა, ამოკვეთილი ასევე რელიეფური დამწერლობით, (შესაძლოა ძველი საამშენებლო წარწერის



გარდა პალეოგრაფიული ნიშნებისა, ამას მოწმობს თვით წარწერის ^{გვერდული} ბაც — ლაკონიურობა. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეკლესიის ^{ქელის} წარწერები, ისევე როგორც ქვაჯვრებისა, მოკლე იყო (ასეთივეა, გარდა ურბნისის წარწერისა, ნიქოზისა და აკაურთას ეკლესიის წარწერები). შემდგომში ეს წარწერები უფრო ვრცელი ხდება. ბოლნისის შედარებით ვრცელი ქტიტორული წარწერები, როგორც ჩანს, ასახავენ სწორედ ამ მეორე საფეხურს ეკლესიის წარწერების შედგენილობისა. უკვარცხლბეკო ქვაჯვრების წარწერებიც ასევე მოკლეა, ხოლო კვარცხლბეკიანი ჯვრების წარწერები უკვე ვრცელი ხდება.

ურბნისის სიონი V—VI სს-ის ბაზილიკური ტიპის ნაგებობა⁴¹ და ამდენად, ხუროთმოძღვრული მონაცემებიც მხარს უჭერენ ურბნისის წარწერის ზემოაღნიშნულ დათარიღებას.

სწორედ ამიტომ წარმოდგენილ კრებულში № 1 წარწერად შეტანილია ურბნისის სიონის საამშენებლო წარწერა.

IX—X სს. — გარდატეხის ხანა ქართულ
და მწერლობაში და ეპიგრაფიკული
ძეგლების ხასიათში

ქართული დამწერლობის განვითარების I საფეხური, შემორჩენილი ძეგლების მიხედვით, მოიცავს V—VIII საუკუნეებს. ამ პერიოდში მთავრული ასოების მოხაზულობაში ხდება გარკვეული ცვლილებები (წრეების გახსნა, ბუნების დაგრძელება და ორხაზოვანი ბადის სისტემიდან გამოსვლა).

VIII ს-ში მწიფდება საჭიროება დამწერლობის რეფორმისა. ამ აუცილებლობას განსაზღვრავს რბილ მასალაზე წერა. ის მოითხოვს უფრო სწრაფი, გაკრული ხელით წერას, სიტყვების გამოყოფას ერთმანეთისაგან მანძილით და განკვეთილობის ნიშნებით, წერის ოთხხაზოვან სისტემას. ეს რეფორმა, როგორც ჩანს, მოხდა VIII, ან IX ს-ში — შეიქმნა ნუსხური დამწერლობა. ნუსხა-ხუცური დამწერლობა შეიქმნა ასომთავრული დამწერლობის ბაზაზე. მასში აისახა მთავრული დამწერლობის VIII ს-ის პალეოგრაფიული ნიშნები (წრე-გახსნილი გრაფემები, გრძელი ბუნები და სხვ.). ამის შემდეგ იწყება უკუ-

მიბაძვით). ეს უკანასკნელი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით X ს-ით თარიღდება (იხ. № 106 წარწერის აღწერილობა). შესაძლოა, ორივე აღნიშნული წარწერის რელიეფურობამ ერთი შეხედვით შექმნას ნაუცბათევი შთაბეჭდილება მათი ერთდროულობის შესახებ, მაგრამ ზერელე შედარებაც კი (როგორც პალეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი) ამკარას ხდის (არასპეციალისტთათვისაც კი), რომ საქმე გვაქვს საუკუნეებით დამორბეულ, ორი სხვადასხვა ეპოქის წარწერასთან.

1) პირველი წარწერა საამშენებლოა, მეორე — განახლების. პირველში ქტიტორია მამა მიქაელი (ალბათ ურბნელი ეპისკოპოსი), მეორეში — დავით ეპისკოპოსი; 2) პირველ წარწერაში გრაფემები;

ჟ.ყმქც (ბ, ო, შ, წ, ყ, ც) წრეშეკრულია, მეორეში — სრულიად წრეგახსნილი. პირველში **ზ** (ლ)-ს სრულიად არა აქვს მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზი, მეორეში — არა მარტო განივი ხაზი აქვს ამ გრაფემას (ისევე როგორც **ღ** (ე) გე-ს), არამედ ის ამ წარწერაში უკვე განუსხურების გზაზე დგას. 3) პირველ წარწერაში **ც** (კ) ქვედა ფეხი თითქმის არა აქვს, მეორეში ისეთივე სიმალისა აქვს, როგორც ზედა. 4) პირველ წარწერაში მინდა მრგვლოვანი ასომთავრულია, მეორე კი ვაკუუმოვანებული, განუსხურებული და ნაწილობრივ მხედრულის ტენდენციების მსახველია.

⁴¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1936, გვ. 50.



პროცესი: ასომთავრული დამწერლობა ითვისებს ნუსხურიდან ზოგიერთ პალეოგრაფიულ ნიშანს: 1) მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზები **ႵႶႷႸ** (გვვლ) ასოებზე; 2) **ႵႶႷ** (ი მ ნ)-ს ზედა განივი ხაზები ზემოთ იწევს, ხოლო **ႵႶ** (ტ ნ)-ს ქვედა განივი ხაზები — ქვემოთ; 3) **Ⴕ** (მ)-ს მუცლის შემკვერელი ხაზი აღარ გადადის მარჯვნივ: მთავრული მ დებულობს მხედრული მ-ს მოყვანილობას (IX—X სს-ის მთავრული მ-ს ეს მოყვანილობა განსაკუთრებით სხვა მთავრული ასოები: თ, ნ, და სხვა. ეს იმის მხარდამჭერი მოწმობაა, რომ მხედრული დამწერლობა შეიქმნა IX—X სს. და არა XI ს-ში, როდესაც მთავრულ ასოებს აღარ ჰქონდათ ასეთი მოყვანილობა); 4) **Ⴕ** (ლ)-ს შვეული ხაზი გრძელდება და ძირამდე დადის, ხოლო წრესთან დამაკავშირებელი ყელი მოკლდება. ერთი სიტყვით, მთავრული **ლ** ემსგავსება ნუსხურს; განუსხურება ხდება ზოგიერთი სხვა ასოებისაც (დ, ც, ო); 5) სიტყვები შორდება ერთმანეთს და შემოდის განკვეთილობის ნიშნები; 6) მრგოლვანი მთავრული, კუთხოვანი ხდება და სხვ.

ნუსხურის გავლენა მთავრულ დამწერლობაზე მნიშვნელოვანია IX და განსაკუთრებით X ს-ში. XI ს-დან ეს გავლენა რამდენადმე მცირდება. მთავრული დამწერლობა კვლავ მრგოლვანი ხდება, განუსხურებული ასოები: თ, ლ, ო, უ, დ, ც და სხვა კვლავ იბრუნებენ ასომთავრულის მოყვანილობას. ასომთავრულს ნუსხურიდან ნასესხები რჩება. დამატებითი განივი ხაზები **გვვლ** ასოებზე (ისიც ძირითადად წარწერების ასომთავრულში. წიგნურ ასომთავრულში ჩვეულებრივ ეს დამატებითი განივი ხაზები არ იხმარება), სიტყვების ერთმანეთისაგან დაცილება, განკვეთილობის ნიშნები და სხვ.

IX—X სს-ში ლაბიარული წარწერების დამწერლობაში შეიმჩნევა სხვა ცვლილებებიც: იწყება გრაფემების სტილიზაცია, ჩნდება კიდურ-წერტილოვნება და კიდურწაისრულება; გვხვდება ლიგატურა (შეწიალება).

ამავე პერიოდში გარდატეხა ხდება ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც: IX—X სს-ში და განსაკუთრებით X ს-ში მრავალრიცხოვანი ხდება ეკლესიის კედლის საამშენებლო წარწერები; ჩნდება მლოცველ-პილიგრიმთა წარწერები (როგორც გრაფიკების ისე საგანგებოდ ამოკვეთილი წარწერების სახით). ასე რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ V—IX სს-ში ჭარბობდა ქვაჯვრების წარწერები, X ს-ში ჭარბობს უკვე ეკლესიის კედლის წარწერები (ცხადია, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა და შედეგია საქართველოს ეკონომიურ-კულტურული აღორძინება-გაძლიერებისა, დიდი საეკლესიო საამშენებლო და სარესტავრაციო მშენებლობისა). ჩნდება აგრეთვე ქვის ცალკე ფილებზე ამოკვეთილი ეპიგრაფიკული აქტები: „ქელი“ და „დაწერილი“.

ამის გამო წარმოდგენილი კრებულის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად შერჩეულია X საუკუნე.

V—X სს. ქართული ლაბიარული წარწერების ქრონოლოგიურ-გეოგრაფიული განლაგება

V—X სს-ში ქართული ლაბიარული წარწერები, ძეგლების ხასიათის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება ქრონოლოგიურად:

I. ქვაჯვრების წარწერები: V—X სს.

- 1) უკარცხლბეკო ქვაჯვრების: V—VI (VIII) სს.
- 2) სტელა-ჯვრების კვარცხლბეკების: V—X სს.
- 3) თვით სტელების: VII—X სს.

II. ეკლესიის კედლის წარწერები: V—X სს.

- 1) სააშენებლო
- 2) მოსახსენებლები:
 - ა) ქტიტორთა
 - ბ) უფალ-გამგებელთა
 - გ) ხუროთმოძღვარ-ხელოსანთა
 - დ) მლოცველ-პილიგრიმთა: IX—X სს.
- 3) იურიდიული აქტები: X ს.

III. საფლავის ქვებისა და სარკოფაგების —
V—X სს.

IV. ცალკე ქვის ფილებზე: X ს. (იურიდიული აქტები: „ქელი“,
„დაწერილი“).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ სახეებიდან V—IX სს-ში ჭარბობს ქვაჯვრების წარწერები, ხოლო X ს-ში — ეკლესიის.

კუთვნილების მიხედვით V—X სს. ლაპიდარული წარწერები ასე ნაწილდება ქრონოლოგიურად:

- 1) ერისმთავართა ქვაჯვრების: VII ს. (მხოლოდ ერთი);
- 2) უფალ-მამფალთა (ე. ი. ფეოდალთა) ქვაჯვრების: V—X სს.;
- 3) გამგებელ-მამასახლისთა ქვაჯვრების: VIII—X სს.;
- 4) საერისმთავრო ტაძრების: VII ს.;
- 5) საეპარქიო საყდრების: V—X სს.;
- 6) საუფლო-სამამულო ტაძრების: IX—X სს.;
- 7) გამგებელ-მამასახლისთა ტაძრების: IX—X სს.
- 8) სამეფო (სამთავრო) ტაძრების: IX—X სს.

გეოგრაფიულად, კუთხეების მიხედვით, ეს წარწერები ასე ნაწილდება:

- 1) ქართლი (ქვემო და შიდა): V—X სს.

V—VI სს. წარწერები ჯერჯერობით მხოლოდ ქართლშია გამოვლენილი. განსაკუთრებით მდიდარია ქვემო ქართლი: ბოლნისისა და დმანისის რაიონები. ქვაჯვრები, რომლითაც წარმოდგენილია ძირითადად V—IX სს-ის ქართული ლაპიდარული წარწერები, ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ქვემო ქართლშია გამოვლენილი.

- 2) კახეთი: VII/VIII—X სს.

აქ წარწერები შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება.

3) სამცხე-ჯავახეთი და სამხრეთ-დას. საქართველო
სხვა თემები: VII/VIII—X სს.



X ს-მდე წარწერები აქ მცირე რაოდენობით გვხვდება. X ს-დან რიცხვი მატულობს.

4) დას. საქართველო: X ს.

ქართული წარწერების გაჩენა დას. საქართველოში, როგორც ჩანს, დაკავშირებულია საქართველოს გაერთიანების პროცესთან ამ პერიოდში.

ამრიგად, ეპიგრაფიკული დამწერლობის ყველაზე ადრინდელ კერად ჩანს ქართლი (ქვემო და შიდა ქართლი). აქედან ეპიგრაფიკული დამწერლობა ვრცელდება ჯერ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვა თემებში (შემორჩენილი ძეგლების მიხედვით VII ს-დან), ხოლო შემდეგ (X ს-დან) — დას. საქართველოში.

დამწერლობის ხასიათის მიხედვით V—X სს. ლაპიდარული დამწერლობის ქრონოლოგია ასეთია:

1) რელიეფური: V—X სს.

V—VI სს-ში ეპიგრაფიკული დამწერლობა რელიეფური ჩანს. შემდეგ საუკუნეებში რელიეფურად წარწერების ამოკვეთა თითქმის წყდება და გვხვდება, იშვიათად, საზეიმო, მონუმენტურ წარწერებში.

2) ჩაჭრილი (ამოღარული): VII—X სს.

3) კიდურწერტილოვანი: X ს.

4) კიდურწაისრული: X ს. II ნახ.

5. V—X სს. ლაპიდარული წარწერების ძირითადი პალეოგრაფიული ნიშნები

V—X სს-ის ლაპიდარული წარწერების დიდი ნაწილი უთარიღოა. მათი დათარიღება უნდა მოხდეს პალეოგრაფიული ნიშნებისა და შინაარსის მიხედვით. ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს პალეოგრაფიული ქრონოლოგიური საყრდენების დადგენას. ქართული პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის მკვლევართ ამ საკითხზე უკვე დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული. დადგენილია მრავალი პალეოგრაფიული ნიშანი ძველი ქართული დამწერლობის ქრონოლოგიური საფეხურების გამოსაყოფად. V—X სს-ის ლაპიდარული წარწერების ერთობლივი გამოცემა ავსებს და აზუსტებს ამ საკითხზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. კერძოდ, აღნიშნული პერიოდის ლაპიდარულ წარწერებში შეიმჩნევა შემდეგი პალეოგრაფიული ნიშნები, ქრონოლოგიის დასადგენად:

რელიეფურობა და ჩაჭრით ამოკვეთა (ამოღარვა)

V—VI სს-ის თითქმის ყველა წარწერა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რელიეფურია, როგორც ქვაჭვრების, ისე ეკლესიების (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ერთი უკვარცხლბეკო ჯვრის წარწერა ბარნაბასი — № 18, რომელიც ნახევრად რელიეფურია და ნახევრად ამოღარული. შესაძლოა ეს წარწერა ასახავს გარდამავალ საფეხურს რელიეფური კვეთიდან ჩაჭრით კვეთაზე).

VII—VIII სს-დან იწყება წარწერების ამოკვეთა ჩაპრით, მაგრამ ზოგჯერ მანც გვხვდება ამის შემდეგაც რელიეფური წარწერები (აბასთუმნის, ქვეჯვარი, უბნისის, კუმურდოს და სხვ. ტაძრების წარწერები).

გ. კ. ან. კ. ი. ე. ვ. დაქარაგმება V—X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. პქ, II, 1969

ტექსტის დაწყების ტექნიკური ნიშანი (+)

V—VII სს-ის ზოგ წარწერაში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება ტექსტის დაწყების ტექნიკური ნიშანი — ჯვარი (+), ამ ნიშნის ხმარება ხშირდება VIII—X და განსაკუთრებით X ს-ში.

განკვეთილობის ნიშნები; სიტყვების გამოყოფა; ქარაგმის ნიშანი

V—VIII სს-ის წარწერებში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება და სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული. IX ს-ში (შესაძლოა, წიგნური ნუსხურის გავლენით) იწყება სიტყვების ერთმანეთისაგან დაცილება და განკვეთილობის ნიშნების (ორწერტილის) ხმარება, თუმცა, ამ პერიოდში ზოგჯერ სიტყვები დაცილებულია განკვეთილობის ნიშნების გარეშე, ან, განკვეთილობის ნიშნები უზის ერთმანეთისაგან დაუცილებელ სიტყვებს. ხშირად, IX—X სს-ში, წარწერები გვხვდება ჯერ ისევ განკვეთილობის ნიშნების გარეშე და ერთმანეთისაგან დაუცილებელი სიტყვებით. საბოლოოდ, განკვეთილობის ნიშნები და სიტყვების ერთმანეთისაგან დაცილება მკვიდრდება წესად XI ს-დან.

ეპიგრაფიკულ ძეგლებში სიტყვების დაქარაგმება გვხვდება V საუკუნიდან-ვე⁴². ქარაგმის ნიშნად V—IX სს-ში გვხვდება სწორი, განივი ხაზი. X ს-ში, გარდა სწორი ხაზისა, გვხვდება ზოგჯერ კლაკნილი ან კიდურებგახრილი ხაზი. VIII ს-დან იწყება ქარაგმის ხაზის დაგრძელება და ზოგჯერ ის მთელი სიტყვის სიგრძეს გასდევს.

გ რ ა ფ ე მ ე ბ ი ს მ ო ხ ა ზ უ ლ ო ბ ა

1) წ რ ე ე ბ ი ს (თ ა ვ ი ს ა და მ უ ც ლ ი ს) შ ე კ რ უ ლ ო ბ ა
ასობს 4 (ბ), 4 (ვ), 4 (ყ), 5 (შ), 6 (წ) თავდაპირველად წრეები შეკრული ჰქონდათ. წრეები მათ ეხსნებათ შემდეგი თანმიმდევრობით:

5 (შ)-ს ქვედა წრე ეხსნება V ს-ის II ნახევარშივე, ხოლო ზედა წრე — VII ს-ში; 4 (ბ), 4 (ვ), 4 (ყ), 6 (წ) გახსნა იწყება VII ს-ში და სრულდება VIII ს-ში.

2) ასობი: 7 (გ), 7 (ე), 7 (ვ), 7 (ლ) V—VIII სს-ში იწერებოდა დამატებითი განივი ხაზის გარეშე. IX ს-დან კი მათ უჩნდებათ ასეთი ხაზები:

3) ასო 4 (კ)-ს ქვედა ფეხი V—VII სს-ში მოკლეა და ის თითქმის ხაზზე მდებარეობს. შემდეგ ეს ფეხი მაღლდება.

4) ასო 5 (დ) X ს-ში ზოგჯერ უყელია. ზედა განივი ხაზი წრეზე ზის;

5) ასო 7 (ლ)-ს ყელი X ს-ში ზოგჯერ უერთდება შუა წრეს.

6) ასო 8 (რ)-ს რკალები V—VIII სს-ში ძლიერ მოხრილია, IX—X სს-ში — გადახსნილი.

⁴² გ. კ. ან. კ. ი. ე. ვ. დაქარაგმება V—X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. პქ, II, 1969 გვ. 117—128.

7) ასო შ (შ)-ს მუცლის შემკვერელი ხაზი X ს-ში ზოგჯერ აღარ გადადის მარჯვნივ (განუსხურებისკენ მიდრეკილება).

8) ასოების Ⴀ (ი), შ (შ), ნ (ნ)-ს ზედა განივი ხაზები ზემოთ იწევეს, ხოლო ლ (ლ), ლ (ლ) ქვედა განივი ხაზები — ქვემოთ (განუსხურებისაკენ მიდრეკილება).

9) ასო ფ (ფ)-ს ბუნი ზოგჯერ აღარ კვეთს წრეს IX—X სს-ში.

ლიგატურა (შეწიალება)

VII—VIII სს-დან იშვიათად იხმარება გრაფემების ლიგატურა. შემდგომ საუკუნეებში ლიგატურა უფრო ხშირდება.

კიღურწერტილოვნება, კიღურწაისრულობა

X ს-ში გვხვდება კიღურწერტილოვანი გრაფემები. X ს-ის II ნახევრიდან იწყება ოდნავ შესამჩნევი კიღურწაისრულობა, რაც XI ს-ში ტიპური ხდება.

განუსხურება, გაკუთხოვნება, ოთხხაზოვანი
ბადით წერაზე გადასვლა

X ს-ში იწყება მთავრული გრაფემების გაკუთხოვნება და განუსხურება. ასომთავრულში ურევნ ნუსხურ გრაფემებს: შ (ლ), უ (ც), შ (შ), ნ (ნ), ა (ო), ი (ი), ა (უ) და სხვა, განსაკუთრებით ხშირად შ (ლ)-ს. გვხვდება ასომთავრულიდან ნუსხურზე გარდამავალი გრაფემები. ბუნიანი გრაფემების დაგრძელება და ორხაზოვნებიდან გამოსვლა ჯერ კიდევ VII ს-ში იწყება, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია ეს IX—X სს-ის წარწერებისათვის.

გრაფემების წითლად შეღებვა

IX—X სს-ში გვხვდება წითლად შეღებილი ამოღარული გრაფემები.

6. V—X სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ასახვა ლაბიღარულ წარწერებში

V—X სს-ის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები თავისებურად არეკლავენ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და აღძრავენ ამ მიმართებით მრავალ საკითხს, რომელთა დეტალური განხილვა წარმოდგენილ გამოცემაში შეუძლებელია. შევხებით ამ საკითხების მხოლოდ ნაწილს, ზოგადად.

V—VIII სს-ის კედლის წარწერები

როგორც უკვე აღინიშნა, V—VIII სს-ის კედლის ლაბიღარული წარწერები მცირე რაოდენობით შემოგვრჩა. ამ პერიოდში ჰარბოზს ქვაჯვრების წარწერები.

აღნიშნულ ხანას მიეკუთვნება მხოლოდ ხუთი ტაძრის წარწერები: მთავან ოთხია V ს-ის, ერთი VI—VII ს-ის მიჯნის. ესენია: 1. V ს-ში აგებული საეპარქიო საყდრები—ურბნისი, ბოლნისი, ნიქოზი; 2. ამავე პერიოდში აგებული მცირე საფეოდალო ეკლესია — აკაურთა. მასზეა წარწერის მხოლოდ კვალი, რამ-

დენიმე გრაფემის სახით; 3. VI—VII სს. მიჯნაზე აგებული საერისმთავრო ტაძარი — მცხეთის ჯვარი. ესაა და ეს. ამრიგად, მთელი VI—VIII სს-ის პერიოდის დიდი კედლის ლაბიდარული წარწერები შემოგვრჩა მხოლოდ მცხეთის ჯვარზე. რით შეიძლება აიხსნას ეს?

რა თქმა უნდა ამ დროის კედლის წარწერათა ნაწილი ალბათ დაიღუპა. მაგრამ საერთოდ, როგორც ჩანს, ეს წარწერები შედარებით მცირე რაოდენობის იყო. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ ქვეყნის საგარეო და საშინაო ვითარებაში: 1) საგარეო მტრების (ბიზანტია, არაბები, ჩაზარები) მუდმივი თავდასხმები ამცირებდა დიდ საკულტო ნაგებობათა მშენებლობას; 2) ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პერიოდში შემცირებული იყო სამეფო (საერისმთავრო) ტაძრების მშენებლობა; 3) VI—IX სს-ში, წყაროების მიხედვით, არ ჩანს ახალი ქართული ეპარქიების წარმოქმნა, რაც გამოიწვევდა საეპარქიო საყდრების აგებას (ქართული ეპარქიების წარმოქმნის პირველი პერიოდი IV—V საუკუნეები იყო, ხოლო მეორე — X—XI სს.); 4) VI—VII სს-ში საქართველოში თითქმის არ იყო დიდი სენიორიები, რის გამოც ნაკლებად შენდებოდა დიდი საფეოდალო (საუფლო) ტაძრები.

ამრიგად, VI—VIII სს-ში ეკლესიებს აგებდნენ უმთავრესად წვრილი ფეოდალები და სასულიერო პირები, რის გამოც ამ პერიოდში მონუმენტური საკულტო ძეგლების მშენებლობა შემცირდა. ქტიტორები, ეკლესიებთან ან სხვაგან, აღმართავდნენ ხოლმე სტელა-ჯვრებს წარწერით, ან უწარწეროდ. ამ პერიოდში საკულტო ნაგებობებში წამყვანია სწორედ სტელა-ჯვარი (თვით ეკლესიებშიც ის მათი განუყოფელი კომპონენტი ჩანს). წარწერებსაც ქტიტორები უფრო ხშირად სტელა-ჯვარზე კვეთდნენ, ვიდრე ეკლესიაზე.


უ რ ბ ნ ი ს ი ს, ბ ო ლ ნ ი ს ი ს და ნ ი ქ ო ზ ი ს საამშენებლო წარწერები მოწმობენ, რომ პირველი საეპარქიო საყდრები საქართველოში შენდებოდა IV—V სს-ში. აგებდნენ მათ ამ ეპარქიების მეთაურები — ეპისკოპოსები, დიდი ფეოდალების დახმარებით.

ბოლნისის წარწერა მიუთითებს, როგორც ეს შენიშნულია მკვლევართა მიერ⁴³, რომ ამ პერიოდში ქვემო ქართლში ძლიერი იყო ირანის ბატონობა (ირანის შაჰის პეროზის მოხსენიება ამ წარწერაში). ურბნისისა და ნიქოზის წარწერებში ირანის შაჰი არაა მოხსენიებული, რაც თითქოს მიუთითებს შიდა ქართლის ამ ნაწილში განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაზე (ან განსხვავებულ ეპოქაზე). მაგრამ ამ უკანასკნელ წარწერებში არც ქართლის მეფე იხსენიება. რით აიხსნება ეს? როგორც ჩანს, ქართულ წარწერებში ქვეყნის ადგილობრივი მეთაურის მოხსენიება გვიან შემოვიდა წესად (X ს-ში). ადრე კი გვხვდება მხოლოდ უცხო მეფეების მოხსენიება (როგორც დათარიღებისა და მოხსენიებული მეფის სიუზერენობის აღიარების ფორმა): ირანის, ბიზანტიის (აბასთუმნის სტელა-ჯვარი). ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ეს იყო ერთადერთი ფორმა დათარიღებისა IX ს-მდე (და ამ ფორმასაც იშვიათად მიმართავდნენ). IX ს-დან კი იწყება დათარიღება ქრონიკონით, ხოლო ზოგჯერ — ჰიჭრითა და „დასაბამითგან“. საერთოდ, IX ს-ის შემდეგაც წარწერების უმრავლესობა უთარიღოა.

⁴³ ლ. ჯანაშია, ქართლი V ს. მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 93.

მ ც ხ ე თ ის ჯ ვ რ ი ს წ არ წ ე რ ე ბ ი ძვირფასი წყაროა VI—VII სს-ის მიჯ-
ნის აღმ. საქართველოს ისტორიისა. ისინი დოკუმენტურ ცნობებს გვაწვდიან
სხვადასხვა საკითხებზე:

1) ადგენენ ქართლის ერისმთავართა სამ თაობას:



2) გვაძინობენ, რომ ქართლის ერისმთავრები VI ს-ის ბოლოს და VII ს-ში ატარებდნენ ბიზანტიურ ტიტულს — „პატრიკიოსი“ (და არა „კურაპალატი“), ხოლო მისი სახლის წევრები — „უპატოსის“ ტიტულს.

3) ცხადყოფენ, რომ მცხეთის ჯვრის მშენებლობა დაიწყო და დასრულდა სტეფანოს I-ის ერისმთავრობის დროს: ა) ტაძრის მშენებლობა რომ დაწყებულ იყო სტეფანოს I-მდე, მაშინ ტაძრის კედლებზე იქნებოდა სტეფანოსის წინამორბედი ერისმთავრის რელიეფი და მისი სახელიც მოხსენიებული წარწერებში; ბ) წარწერების ამოკვეთის დროს (რაც მოხდა ტაძრის დასრულების შემდეგ) ერისმთავარია სტეფანოს I — მხოლოდ მას აქვს პატრიკიოსის ტიტული, რაც ერისმთავარს ენიჭებოდა, ხოლო მის ძმას და შვილს — უფრო დაბალი ტიტული — „უპატოსი“, რაც ერისმთავრის სახლის წევრებს ენიჭებოდა.

4) მოწმობენ, რომ ქართლის პოლიტიკური ცენტრი VI—VII სს-ის მიჯნაზე ჯერ კიდევ მცხეთა იყო. ამ დროს მას უკვე სერიოზულ მეტოქეობას უწევდა თბილისი: „მცხეთაა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არამზნი შემცირდებოდეს და კალაი განდიდებოდა“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). მაგრამ ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული (აქი წყაროც ამ პროცესს უწყვეტი ზმნის ფორმით გადმოსცემს). სტეფანოსის მიერ საერისმთავრო ტაძრის აგება მცხეთაში აშკარად მოწმობს რომ მცხეთა ჯერ კიდევ ცენტრია. წყაროს ცნობით ამავე პერიოდში თბილისშიც დაიწყო ტაძრის აგება, მაგრამ ეს არ იყო საერისმთავრო ტაძარი. ერისმთავრის სახლი მას თბილისის „მკვიდრებთან“ სანახევროდ აშენებდა: „ტფილისის მკვდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს; ნახევარსა იქმონდა ყოველი ერი და ნახევარსა — ერისთავნი“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

ქ ე ვ მ ო ქ ა რ თ ლ ი ს ქ ვ ა ჯ ვ რ ე ბ ი

V—VI სს-ის ქვაჯვრები გვხვდება მხოლოდ ქვემო ქართლში: უკვარცხლბეკო ჯვრებისა და კვარცხლბეკიანი სტელა-ჯვრების სახით. ეს ქვაჯვრები, ცხადია, ეკუთვნოდა გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს. უკვარცხლბეკო ჯვრები გვხვდება ეკლესიების ტერიტორიაზე: ბოლნისის სიონის, „ლამაზი გორის“, სამწვერისის და სხვა. ეს მოწმობს, რომ ამ ეკლესიებში ამ მხარის ფეოდალებს ჰქონდათ თავიანთი სამარხი სასაფლაოები. სასაფლაო ეკლესიაში ფეოდალის წარჩინების ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. ვის ეკუთვნოდა ეს სამარხები თითოეულ ამ ეკლესიაში: ერთ ფეოდალურ საგვარეულოს, თუ რამდენიმეს? რა შეიძლება ითქვას ამ საგვარეულოებზე, წარწერათა იმ ფრაგმენტების მიხედვით, რაც

შემოგვრჩა ქვაჯვრებზე? — ამ საკითხების გარკვევა მათი მომავალი კვლევის ამოცანაა.

V—IX სს-ის კვარცხლბეკიანი სტელა-ჯვრების სიმრავლე ქვემო ქართლში (ბოლნისის, უკანგორის, დაბლუტის წყლის, პანტიანის, ტბისის, ბაშკიჩეთის, ხატისოფლის და სხვა) მოწმობს საფეოდალოების სიმრავლეს ამ მხარეში. მათი საშუალებით შესაძლოა გამოკვლეულ იქნას საფეოდალო ცენტრები და ფეოდალურ საგვარეულოებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი.

ქართლის ერისმთავრების სტელა-ჯვრები

ქართლის ერისმთავრებთან და მათ ტაძართან — მცხეთის ჯვართან დაკავშირებულია სამი სტელა-ჯვრის კვარცხლბეკების წარწერა: 1) მცხეთის ჯვრის (წარწ. № 31); 2) წყისეს (წარწ. № 32) და 3) აბასთუმნის (წარწ. № 34).

მცხეთის ჯვრის ქვაჯვარი ამართულია მცხეთის ჯვრის ტაძრის ქტიტორის ქართლის ერისმთავრის სტეფანოს I პატრიკიოსის და მისი სახლის წევრების (ძმის—დემეტრე უპატოსის და შვილის — აღანერსე უპატოსის) სახელით. ეს სტელა-ჯვარი დაკავშირებულია მცხეთის ჯვრის ტაძართან, მისი კომპონენტია.

მეორე ქვაჯვარი, რომელიც დაკავშირებულია აგრეთვე მცხეთის ჯვრის ტაძართან არის წყისეს სტელა, რომლის შემორჩენილი კვარცხლბეკის წარწერა გვამცნობს, რომ ის აღმართა ვინმე კოსტანტიმ „სახელსა მცხეთისა ჭუარისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არის მცხეთის ჯვრისათვის ნასყიდი მიწის შეწირვის აქტი⁴⁴. ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ ვინ შესწირა ეს მიწა მცხეთის ჯვარს: კოსტანტიმ — ჯვრის ამმართველმა, თუ ქართლის ერისმთავარმა (კოსტანტი კი მხოლოდ ხელოსანი იყო, რომელმაც ერისმთავრის ბრძანებით შეასრულა ტექნოლოგიური სამუშაო — ამართა ჯვარი ერისმთავრის მიერ ნასყიდ და ჯვრის ტაძრისათვის შეწირულ მიწაზე)? პირველ შემთხვევაში უცნაური ჩანს, რატომ შესწირა ერისმთავრის ტაძარს მიწა კოსტანტიმ; მეორე შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა: რატომ არ მოიხსენია კოსტანტიმ ერისმთავარი, ვისი ბრძანებითაც ამართა ჯვარი. როგორც ჩანს წყისეს სტელის კვარცხლბეკის წარწერა არაა შეწირულების აქტი, არამედ — მხოლოდ ნასყიდობის⁴⁵. კოსტანტი იყიდა ქვეყანა (მიწა) და ამართა მასზე სტელა-ჯვარი „მცხეთის ჯვრის სახელზე“, ე. ი. თვით სტელა მცხეთის ჯვრის სახელობის. როგორც ჩანს ქვაჯვარი, ისევე როგორც ყოველი ეკლესია, უნდა ამართულიყო რომელიმე წმინდანის, ან რომელიმე ჯვრის სახელზე. ასეა, მაგალითად ამართული აბასთუმანის ქვაჯვარი ღვთისმშობლის სახელზე: „აღვმართე პატროსანი ჭუარი წმიდისა ღმრთის მშობლისა სახელსა“. ამრიგად, სხვადასხვა კუთხეში დგამდნენ მცხეთის ჯვრის ხელობის ქვაჯვრებს და შესაძლოა აგებდნენ მცხეთის ჯვრის სახელობის ეკლესიებსაც: საქართველოში გავერცელდა მცხეთის ჯვრის ქულტი.

მესამე ქვაჯვარი, რომლის წარწერაც აყენებს საკითხს მისი ერისმთავრი-

⁴⁴ ნ. ბერძენიშვილი, „ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“. რეკენზია: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წ. III, 1966, გვ. 382.

⁴⁵ როგორც ამას მიუთითებს ს. ჯანაშია, იხ. მისი შრომები წ. I, 1949, გვ. 98—99.

სადმი კუთვნილების შესახებ, არის აბასთუმნის ქვაჯვარი. წარწერის ავტორი გვამცნობს, რომ ამართა ჯვარი „ბრძანებითა ღმრთივ დაცულისა მამულისა არშუშა პატრიკიოსისა და ნებითა ღმრთისაითა ქართველთა ერისთავისა, ქრისეპულის ციხესათა ბოძებითა“. ამრიგად ჯვარის აღმართვა წარწერის ავტორისათვის (მისი სახელი არ იკითხება) უბრძანებია მამვალ არშუშა პატრიკოსს, რომელიც ყოფილა ქართველთა ერისთავი. არშუშას წარწერის ავტორისათვის მიუცია ციხეში წერილობითი ბრძანება — ქრისეპული (ბიზანტ.). ამ ცნობაში ბევრი რამაა საყურადღებო: არშუშას ჰქონია ბიზანტიური ტიტული „პატრიკიოსი“ და ყოფილა „ნებითა ღმრთისაითა ქართველთა ერისთავი“. ეს სახელი გვხვდება თავდაპირველად ქვემო ქართლის პიტიახშებში (ვარსკენის მამა და, როგორც ჩანს, შვილიც — ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში პოხსენიებულში), შემდეგ ის შევიდა ქართლის ერისმთავრების სახლშიც (შესაძლოა, სწორედ ქვემო ქართლის პიტიახშების სახლის წევრთა გაერისმთავრების შედეგად, გარკვეულ პერიოდში). საყურადღებოა ტერმინი „ქართველთა ერისთავი“. როგორც ჩანს თავდაპირველად ერისთავი მიეკუთვნებოდა არა ტერიტორიულ ერთეულს, როგორც გვიან („ქართლის ერისთავი“, „პერეთის ერისთავი“ და სხვ.), არამედ ეთნიკურ ერთეულს — „ქართველთა ერისთავი“ (შეადარ. „ქართველთა მეფე“ — 888 წლიდან).

აბასთუმნის ჯვარის წარწერაში ბიზანტიის იმპერატორის სახელის მოხსენიება მოწმობს, რომ ამ პერიოდში (VII—VIII სს-ის მიჯნაზე) „ქართველთა ერისთავი“ არა მარტო ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა პატრიკიოსისას, არამედ სცნობდა იმპერატორის სიუზერენობას.

უფალ/მამფალთა და გამგებელთა სტელა-ჯვრები

V—X სს-ში, როგორც აღვნიშნეთ წარწერიანი სტელა-ჯვრები გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მათი წარწერების დიდი ნაწილი იხსენიებს წარჩინებულ საერო პირებს (ან როგორც ჯვარის აღმმართველებს, ან როგორც იმ მხარის უფლებს, სადაც ეს ჯვრებია ამართული). ხშირად სტელებზე ამოკვეთილია ქტიტორთა — წარჩინებულ საერო პირთა (უფალ/მამფალთა) გამოსახულებები (ისევე, როგორც დიდ საკულტო ნაგებობათა — ეკლესიათა ნაწილზე). ეკლესიის ქტიტორთა ქანდაკებებისაგან განსხვავებით ზოგჯერ სტელა-ჯვარის ქტიტორებს ზღვით უპყრიათ ძალაუფლების ინსიგნიები⁴⁶, რის გამოც მთლიანად სტელა იღებს ძალაუფლების მატერიალური ნიშნის სახეს (თუმცა, რა თქმა უნდა არ კარგავს სათაყვანო, ე. ი. საკულტო ძეგლის დანიშნულებას). სამწუხაროდ წარწერიანი პოსტამენტების მნიშვნელოვან ნაწილს არ შემორჩა სტელები, რის გამოც არ ვიცით, იყო თუ არა წარჩინებულთა რელიეფები ისეთი კვარცხლბეკების სტელებზე, როგორცაა მაგალითად: წყისეს, დაბლუტის წყლის ხეობის, პანტიანის, ტბისის, ხუნამისის და სხვა. წარჩინებულთა ქანდაკებები ამოკვეთილია: კატაულას (კავთისხევის), უსანეთის, უდეს, ბაშკიჩეთის, ბოლნისის და სხვა სტელებზე (ზოგიერთ მთავანზე, წარჩინებულისა და მისი სახლის წევრების რელიეფების გარდა, ამოკვე-

⁴⁶ იხ. Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 94—95.



თილია წმინდანთა გამოსახულებები და სხვადასხვა რელიგიური სიუჟეტები, ასეთებია, მაგ., ატენის, უსანეთის, უდეს, კატაულას და სხვა სტელები⁴⁷.

თითოეული ასეთი სტელა, აგრეთვე ზემოაღნიშნული უსტელო კვარცხლებების წარწერები, წარმოადგენენ წყაროს ადრეფეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს სამამფლო//საუფლოების (ე. ი. საფეოდალოების) დასადგენად.

IX—X სს-ის ზოგიერთი სტელის წარწერა ასახავს ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებას ამ პერიოდში:

ყველის ციხის (ისტორ. ჭავჭავთში) სტელის წარწერა (IX ს.) იხსენიებს იოვანე ერისთავს (წარწ. № 51), რაც მიუთითებს ამ მხარეში საერისთავოს არსებობაზე ამ პერიოდში. საერისთავოს ცენტრი შესაძლოა სწორედ ყველის ციხე იყო (შესაძლოა ამას მხარს უჭერდეს კოსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა X ს-ში იბერიაში შემავალი ყველის არხონტის არსებობაზე, რის საფუძველზეც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი აკეთებენ დასკვნას ყველის საერისთავოს არსებობის შესახებ⁴⁷). ამავე დროს სახელი—იოვანე გარკვეული მონაცემია ამ მხარის ერისთავთა საგვარეულო კუთვნილების საძიებლად.

ხუნაშისის (ისტორ. ჭავჭავთი) სტელის კვარცხლებების წარწერა (№ 37) მოწმობს ამ მხარეში სულა ჭაფარის-ძის საუფლოს არსებობას IX ს-ის ბოლოს (შესაძლოა ამავე საგვარეულოს ეკუთვნოდა ერთი გაურკვეველი საღაურობის სტელის წარწერაში მოხსენიებული ჭაფარი. — წარწ. № 53).

არემის ((ისტორ. ჭავჭავთი) სტელის წარწერა, რომელიც გვამცნობს რომ გურგენ კურაპალატის ძემ შეწირა არეშტი კუმურდოს საყდარს, მოწმობს ერთი მხრივ კუმურდოს საყდრის არსებობას IX ს-ის ბოლოს (ე. ი. დღემდე შემონახულ, 964 წლის ახლო აგებულ ტაძრამდე. ეს საგვებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა იხსენიება უკვე საქართველოს უძველეს საეპისკოპოსოთა სიაში, VI—VII სს-ში). მეორე მხრივ ეს წარწერა ადასტურებს ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს მფლობელობას ჭავჭავთში IX ს-ში (X ს-ის შუა წლებში აქ, კუმურდოს 964 წლის საამშენებლო წარწერის ცნობით, დროებით მყარდება აფხაზთა მეფის მფლობელობა, რომელიც ნიშნავს გამგებელ ერისთავად დას. საქართველოს დიდგვარიანს, მარუშინათა სახლის წარმომადგენელს ზვიადს).

ფტობანის (უდეს) სტელის წარწერა (№ 54) გვამცნობს რომ X ს-ში ფოცხოვის ხეობაში არსებობდა ფარსმანის საფეოდალო. ეს ფარსმანი გვახსენებს ბაგრატ IV-ის დროინდელ ფარსმან თმოგველს⁴⁸ და სათხის ეკლესიის (ჭავჭავთში) საამშენებლო წარწერის ფარსმან ერისთავთ-ერისთავს⁴⁹. სავარაუდოა, რომ უდეს სტელაზე თავის თანამეცხედრესთან (მანანთან) ერთად გამოსახული წარჩინებული ფარსმანი წინაპარი იყო (შესაძლოა პაპა) XI ს-ის ფარსმან თმოგველისა, ჭავჭავთის ერისთავთ-ერისთავისა.

⁴⁷ გორგჯია, ტ. IV, ნაკვ. II, ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, 1952 გვ. 291. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერისთ. II. 1966. გვ. 114.

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 298.

⁴⁹ ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1958, გვ. 38.



კატაულის (კავთისხევი, შიდა ქართლი) სტელაზე (VIII ს.) გამოსახულია გრიგოლ ვაპატოსი, თავისი სახლის წევრებით. ამ სტელის წარწერა (№ 48) გვამცნობს არა მარტო დიდი საფეოდალოს არსებობას შიდა ქართლის ამ ნაწილში, არამედ იმასაც, რომ ეს ფეოდალი ატარებდა ვაპატოსის ბიზანტიურ ტიტულს, რომელსაც VI—VII სს-ში ატარებდნენ ერისმთავრის სახლის წევრები. აქედან დასკვნა:

1) ან ერისმთავრის ხელისუფლება ამ პერიოდში აღარ ვრცელდებოდა შიდა ქართლის ამ ნაწილზე და ადგილობრივი ფეოდალი გრიგოლი გაუტოლდა თავისი რანგით ერისმთავრის სახლის წევრებს — მათსავით ვაპატოსი ვახდა.

2) ან ბიზანტიელებმა მიუმატეს რანგი ერისმთავარს და მისი სახლის წევრებს (სახლის წევრებს აძლევდნენ პატრიკიოსობას, ვაპატოსობის ნაცვლად და ერისმთავარს — კურაპალატობას, პატრიკიოსობის ნაცვლად. აშოტ ბაგრატიონი იცოდა ხომ კურაპალატი იყო უკვე და არა პატრიკიოსი). ასეთ შემთხვევაში დასაშვებია, რომ ბიზანტიელებს ერისმთავრის ქვეშევრდომი ფეოდალისათვის მიენიჭებინათ ვაპატოსობა. ყველა შემთხვევაში ეს მიუთითებს სახელმწიფოს, დეცენტრალიზაციას, ცალკეული ფეოდალების დამოუკიდებლობისა და ძლიერების ზრდაზე.

შიდა ქართლის მეორე დიდი საფეოდალოს არსებობაზე, იმავე პერიოდში, მიუთითებს უხანეთის სტელა (№ 49), რომელზეც, გარდა წმინდანთა რელიეფებისა და რელიგიური ხასიათის კომპოზიციებისა, გამოსახულია (ჩრდილოეთის ფასადის ქვემო რეგისტრში) წმ. კვირიკესა და ანგელოზის წინ მუხლმოდრეკილი და ხელბეჭაპრობილი წარჩინებული (თავისი შვილით), რომელსაც ანგელოზი გვირგვინს უწვდის. ასე რომ აქ თითქოს გამოსახულია წარჩინებულის კურთხევა (მთავრად? ერისთავად?). სამწუხაროდ, მამა-შვილის სახელები არ იკითხება.

IX—X სს-ის კედლის წარწერები

VIII—IX სს-ში საქართველოში წარმოიქმნა დიდი სენიორიები: საუფლო სამამფლოები (ქართლში, ტაშირში, სამცხე-ჯავახეთში), ქართველ ბაგრატიონთა სამეფოები, სახელმწიფოები, საერისთავოები და საერისთავთ-ერისთავოები (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — ტაო-კლარჯეთ-შავშეთი). დიდი სენიორიების წარმოქმნამ, არაბთა ბატონობის შესუსტებამ, ქვეყნის ეკონომიურმა აღორძინებამ გააცხოველა სამშენებლო საქმე. იზრდება დიდ საკულტო ნაგებობათა მშენებლობა. ცალკეული მამფლები|უფლები|მეფეები აგებენ ტაძრებს და კვეთენ მათზე წარწერებს.

საუფლო სამამფლო ტაძრებად ჩანან, წარწერების მიხედვით: 1. ატენის სიონი (IX ს-ში — სამამფლოდ; IX ს-ის ბოლოდან — კლარჯეთის ბაგრატიონთა საპატრონოდ; X ს-ის ბოლოდან — ბაღვაშთა საერისთავოდ; XI ს-ში — სამეფოდ). 2. ერედვის, ქართლის ტბეთის, დოდოთის ეკლესიები (ტბელეების საუფლო X ს-ში).

მამფლები იხსენიებიან ბოლნისის X ს-ის წარწერაშიც.

ბაღვაშთა საერისთავო კუთვნილებად ჩანან IX—X სს-ში თრიალეთისა და ატენის ხეობის ეკლესიები (იხ. შებაქის და ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესიების წარწერები).



ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო ტაძრები იყო: ოზიზა, ოწყი, ხახუ-
ლი და სხვა.

X—XI სს-ში არსდება ახალი ქართული ეპარქიები და შენდება საეპარქიო
საყდრები: კუმურდო, ბანა, იშხანი, შავშეთის ტბეთი, სამთავისი. ხდება ძველი
საეპარქიო საყდრების განახლება-აღდგენა: ურზნისის, ზოლნისის, ნიქოზის,
მანგლისის.

მშენებლობის გაცხოველების შედეგად IX ს-ში იწყება კედლის წარწერე-
ბის მომრავლება. X ს-ში ისინი უკვე ჰარბოზენ ქვაჭვრების წარწერებს, ხოლო
XI ს-დან თითქმის მთლიანად განდევნიან მათ.

ა) ატენისა და წრომის წარწერები

განსაკუთრებით მდიდარია წარწერებით ატენის სიონი. ეს ტაძარი ნამდვი-
ლი დიდი კრებულია წარწერებისა. ამ წარწერებმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევ-
ართა ყურადღება. ატენის ლაბიდარული და ფრესკული წარწერები გამოცე-
მულია როგორც ცალკეულად, ისე კრებულის სახით დიუბუა დე მონ-
ბერეს⁵⁰, მ. ბროსეს⁵¹, პ. უვაროვას⁵², ი. ჯავახიშვილის⁵³,
ს. ბარნაველის⁵⁴, გ. ჩუბინაშვილის⁵⁵, თ. ბარნაველის⁵⁶,
ა. ბაქრაძის⁵⁷ მიერ.

უკანასკნელ წლებში ატენის სიონში მუშაობს ორი სამეცნიერო ექსპედი-
ცია: საქ. ისტორიის წყაროების კომისიის ექსპედიცია ზ. ალექსიძის ხელ-
მძღვანელობით და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპედიცია გ. აბრა-
მიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციებმა ტაძრის კედლებზე გამო-
ავლინეს და გამოიკვლიეს არაერთი აქამდე უცნობი წარწერა. ხელოვნების მუ-
ზეუმის ექსპედიციის ხელმძღვანელმა გ. აბრაშიშვილმა ატენის სიონის წარწე-
რებზე გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი და ერთი წიგნი, სადაც გამოცემულია
ტაძრის ზოგიერთი, მანამდე უცნობი წარწერა, ახლებურადაა წაკითხული ერთ-
ერთი ვრცელი წარწერა (სტეფანოზ მამფლის), ახლებურადაა დასმული მისი
მშენებლობისა და განახლების საკითხები. ამ გამოცემებში წარწერებს ახლავს
ფოტოები, გრაფიკული მონახაზები და ისტორიულ-პალეოგრაფიული ანალი-

⁵⁰ Fr. Dubois de Montpereux. Voyage autour du Caucase, cher les Tcherkesses et les Abkazes, en Colhide en Géorgia, en Arménie et en Crimée, III, Paris, 1839—43, გვ. 210—214.

⁵¹ M. Brosset, Rapports... VI, S-pb., 1847—48, გვ. 21—25.

⁵² П. С. Уварова, Атени, МАК, IV, 1894, გვ. 152.

⁵³ И. Джавахов. К вопросу о времени построения грузинского храма в Атени по вновь обследованным эпиграфическим памятникам: «Христианский Восток», I, вып. III, СПб, 1912, გვ. 277—297.

⁵⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1949, გვ. 167.

⁵⁵ ს. ბარნაველი, ატენის სიონის ახალი წარწერები: საქ. სსრ ზეცნ. აკად. ზ-ბე, ტ. VII, № 1—2, 1946, გვ. 83—89.

⁵⁶ Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948, გვ. 156—178.

⁵⁷ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, 1957.

⁵⁸ ა. ბაქრაძე, თრალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო: სსმ-ბე, XX-B, 1959, გვ. 67—77.

ზი⁵⁸. ზ. ალექსიძემ გამოაქვეყნა ატენის სომხური წარწერები, ვრცელი გამოკვლევით⁵⁹ გამოავლინა უძველესი ქართული (მათ შორის მხედრული) წარწერები. ამ ექსპედიციების კვლევითი შედეგები, ცხადია, დიდად შეუწყობს ხელს ატენის სიონთან და მის წარწერებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების გადაჭრას.

ატენის სიონის წარწერები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ატენის ზეობის პოლიტიკური ისტორიის შესახებ. აშკარაა, რომ ამ მხარის ისტორიის კვლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ ვინ ააგო ატენის სიონი, ვინ იყო მისი უფალი|პატრონი სხვადასხვა პერიოდში: ცხადია, ამ დიდი ტაძრის უფალი მთელი ატენის ზეობის უფალიც იქნებოდა.

ატენის სიონის აგების დროზე და ამშენებლის ვინაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თეალსაზრისია გამოთქმული⁶⁰. ტაძრის აშენების დროზე ამჟერად დამკვიდრებულია თეალსაზრისი, გამოთქმული ჯერ კიდევ დ. ბაქრაძის მიერ და შემაგრებული გ. ჩუბინაშვილის მიერ, რომლის მიხედვით ატენის სიონი აგებულია VII ს-ში, მცხეთის ჯვრის მიბაძვით⁶¹. გ. ჩუბინაშვილმა, ტაძარზე შემორჩენილი სომხური წარწერების საფუძველზე დაასკვნა, რომ მისი ხუროთმოძღვარი იყო თოდოსაკი, ხოლო ხუროთმოძღვრის თანაშემწე — გრიგოლ დასს.

უკანასკნელ წლებში. გ. აბრამიშვილმა ნათელყო, რომ არც ქტიტორთა რელიეფები და არც ერთ-ერთ რელიეფზე ამოკვეთილი წარწერა („ნერსე სტეფანოზი“) არაა VII ს-ის. მკვლევარმა ყველა ისინი X ს-ით დაათარიღა და დაასკვნა, რომ ხუროთმოძღვარი თოდოსაკი და ფასადებზე გამოქანდაკებული ქტიტორები ტაძრის განმაახლებლები არიან და არა თავდაპირველი ამშენებლები⁶². მკვლევრის აზრით ტაძარი VII ს-ში აუგიათ, მაგრამ X ს-ში სიფთავილიანად განუახლებიათ, რომ VII ს-ისა ტაძარზე ძალიან ცოტა რამ შემორჩენილა⁶³. გ. აბრამიშვილის დასკვნებს მეტად მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვთ ატენის მშენებლობის დათარიღებაში. სრულიად აშკარაა, რომ ერთ-ერთი ქტიტორის ქანდაკების ქუსლებზე ამოკვეთილი წარწერა: „ნერსე სტეფანოზი“ არ არის VII ს-ის. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ის არ შეიძლება IX ს-ზე ადრინდელი იყოს. ამასვე უჭერს მხარს ფორმა „სტეფანოზი“ (VII ს-ში იქნებოდა: „სტეფანოზი“). ასევე, თოდოსაკის სომხური საამშენებლო წარწერა, როგორც ეს ნათელჰყვეს ილ. აბულაძემ და ზ. ალექსიძემ, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით და ენობრივად არ არის VII ს-ის⁶³.

⁵⁸ გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი (სიუჟეტი დავით გარეჯელის ცხოვრებინდან): „საბჭოთა ხელოვნება“, 9, 1965.

გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები: „მატენი“, ისტ. არქ. და ეთნოგრ. სერია, 2, 1976.

Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона: „მატენი“, ისტ. სერია, I, 1972.

გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, 1977.

⁵⁹ ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, 1978.

⁶⁰ იხ. იმის შესახებ: Г. Абрамишвили, Два строительных периода Атенского Сиона: „მატენი“, 1, 1972. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, 1977, გვ. 7—8. ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი.

⁶¹ Г. Чубинашвили. Памятники типа Джвари, 1948, გვ. 156—178.

⁶² Г. Абрамишвили, Два строительных периода... გვ. 45.

⁶³ იქვე, გვ. 35, შენიშვნ. 19. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, 1978, გვ. 8—34.



ატენის სიონში IX ს-ში მიმდინარე საამშენებლო სამუშაოებზე, მიუთითებს აგრეთვე ტაძრის სხვა წარწერებიც. კერძოდ, გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი მ ი ე რ გამოვლენილია, ატენის სიონის ინტერიერში, ჩრდილო-აღმოსავლეთის კამერის წინ, ნახევრადწრიული ნიშის ჩრდილოეთის ფრთაზე, ბათქაშზე ამოკაწრული სამსტრიქონიანი, ნუსხური წარწერა: „ორმა დასუა. ქრონიკონი ნე, დასაბამითგან წელნი ზულთ“⁶⁴. თარიღი უდრის 835 წელს (ესაა დღემდე ცნობილ ნუსხური დამწერლობის ძეგლებს შორის უძველესი). წარწერა, როგორც ჩანს, ხელოსნისაა და გულისხმობს „ქვის დასმას“ (ასეთი შინაარსის ხელოსნური წარწერები ხშირად გვხვდება), ე. ი. დაკავშირებულია მშენებლობის პროცესთან, რომელიც მიმდინარეობდა (ან დასრულდა) 835 წელს. IX ს-სა ჩანს აგრეთვე პალეოგრაფიულად გ. აბრამიშვილის მიერვე გამოვლენილი ლაბიდარული წარწერა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის შვერილზე, დაკავშირებული ისევ ტაძრის მშენებლობასთან: „ქ ესე კალაპოტი მე ბაგრატ შვექმენა“⁶⁵. ესეც ხელოსნის წარწერაა: „კალაპოტის შექმნა“ გულისხმობს თაღის ჩარჩოს გაკეთებას⁶⁶. 945 წელს ტაძრისათვის შემოუვლიათ ზღუდე, რასაც გვამცნობს მისი სამი წარწერა⁶⁷.

როგორც ვხედავთ, ატენის სიონის ქართული და სომხური წარწერები მიუთითებენ მის მშენებლობაზე IX—X სს-ში. VII ს-ის მშენებლობაზე ტაძრის არც ერთი წარწერა არ მიუთითებს.

ვფიქრობთ, ძალიან საეჭვოა რომ ასეთი დიდი ტაძრის არც ქტიტორს, არც ხუროთმოძღვარს, არც ხელოსნებს არ დაეტოვებინათ არავითარი კვალი არც მის ეპიგრაფიკაში და არც სკულპტურაში. ამავე დროს ტაძრის განმარტებელ ქტიტორსაც, ხუროთმოძღვარსაც და ხელოსნებსაც მოეთავსებინათ მასზე თავიანთი წარწერები და სკულპტურები (მათგან ერთ-ერთი — ტაძრის მოდელით ხელში). გ. ჩუბინაშვილის, დიდი ხელოვნებათმცოდნის თვალი კარგად ხედავს, რომ ეს სკულპტურებიცა და წარწერებიც ტაძრის თავდაპირველი ამშენებლებისაა (ქტიტორების, ხუროთმოძღვრის და ხელოსნების) და არა განმარტებლების⁶⁸. ამავე დროს, გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ც დამაჩერებლად ასაბუთებს, რომ აღნიშნული წარწერები და რელიეფები არ არიან VII ს-ის. ამ ორი მკვლევარის სწორი დასკვნების შეთანხმება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ ატენის სიონი არ არის აგებული VII ს-ში (არ იყო აუცილებელი რომ მცხეთის ჯვრის ტაძრის მიბაძვით სხვა ტაძარი აეგოთ მაინც-დამაინც ჯვრის აგების უშუალოდ მომდევნო ხანაში. ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ მომდევნო საუკუნეებშიც). ხუროთმოძღვრის (თოდოსაკის) და ერთ-ერთი ქტიტორის („ნერსე-სტეფანოზის“) წარწერებს, ისევე როგორც ქტიტორთა რელიეფებს, გ. აბრამიშვილი ათარიღებს X ს-ით. ატენის სიონის თავდაპირველ აგებას ვერ დავითარილებთ X ს-ით, რადგან მან შემოგვინახა უფრო აღრინდე-

⁶⁴ გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, „მაცნე“, ისტ. სერია, 2, 1976, გვ. 170—171.

⁶⁵ იქვე, გვ. 171—173.

⁶⁶ იქვე, გვ. 173.

⁶⁷ თ. ბ ა რ ნ ა ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, 1967, გვ. 36—37.

Г. А б р а м и ш в и л и, Два строительных периода... გვ. 54.

⁶⁸ Г. Ч у б и н а ш в и л и, Памятники типа Джвари, 1948, გვ. 178.

* ამ მოსაზრებას ვამოთქვამთ მხოლოდ საკითხის დაყენების სახით — 5. შ.



ლი წარწერები. ჩვენი აზრით, ატენის სიონის წარწერებიდან უადრესია მისი მშენებლობის მათემატიკური წარწერები: კალაპოტის შემქმნელი ხელოსნის (ბაგრატი), ქვის დამღები ხელოსნების (835 წ.), ქტიტორ ნერსე-სტეფანოზის. ყველა ეს წარწერა, ჩვენი აზრით, ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის, მისი აგების თანადროულია. მათი პალეოგრაფიული ნიშნები საგნებით შეესაბამება IX საუკუნეს. ალბათ ამავე დროისა ჩუროთმოდგარ თოდოსაკისა და გრიგოლ დამსის წარწერები⁶⁹. ქტიტორის რელიეფის წაღების ქუსლებზე ამოკვეთილი ორი სახელი — „ნერსე“ და „სტეფანოზი“, ჩვენი აზრით, ეკუთვნის ამ ქტიტორს. მისი ორმაგი სახელია: „ნერსე⁷⁰-სტეფანოზ“ (შეადარეთ: ქობულ-სტეფანოს, ვარაზ-ბაკურ, ვარაზ-ვაჩე და სხვ.)⁷¹.

IX—X სს-ში მიმდინარეობს ბრძოლა ჰეგემონობისათვის საქართველოს დიდ პოლიტიკურ ერთეულებს შორის. ქართლში გაბატონებას ერთმანეთს ეცილებიან აფხაზთა მეფე, ტაოს მეფე — კურაპალატი და კახთა მეფე — ქორეპისკოპოსი. ამ ბრძოლაში ისინი იყენებენ საგარეო ძალასაც. 853 წ. ბულა-თურქის საქართველოში ლაშქრობის დროს მის წინააღმდეგ გამოდიან აფხაზთა მეფე თეოდოსი და კონსტანტინე-კახა, (როგორც ჩანს—ატენის მფლობელი). ბულა-თურქს კი მხარი დაუჭირა აფხაზთა მეფის მეტოქემ — ტაოს კურაპალატმა ბაგრატმა. ბუღას სარდალმა ზირაქმა კონსტანტინე-კახა და მისი ძე თარხუჯი შეიპყრო (რახვეც გვამცნობს ატენის წარწერა 853 წლისა), აფხაზთა მეფეც დამარცხდა, რის შემდეგ, როგორც ჩანს, შიდა ქართლში ბატონდება ტაოს კურაპალატი. ატენი გადადის ბაგრატიონთა მფლობელობაში. როგორც ჩანს, ატენის მფლობელი ბაგრატიონი ადგილობრივი ტრადიციით მამფლის ტიტულს ატარებს. ერთ-ერთი მათგანის — მამფალ სუმბატ აშოტის ძის (ალბათ აშოტ კეკელას ძის) გარდაცვალების თარიღს (885 წ.) გვაუწყებს ატენის სიონის წარწერა⁷².

X სს-ში ქართლში მყარდება აფხაზთა მეფეების მფლობელობა. ქართლის ცხოვრების ცნობით აფხაზთა მეფე გიორგის ეკუთვნოდა ატენიც (ქართლის ცხოვრება, I, 268).

X სს-ის II ნახ. ატენის ხეობა თავის გამგებლობაში მოაქციეს კლდე-

⁶⁹ ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა, რომლის ახლებური წაკითხვა და ვრცელი, საგულსხმო ანალიზი მოგვცა გ. აბრამიშვილი მ. ა. თაყაიშვილის მიერ. აღნიშნულ გამოკვლევაში. ამ წარწერაში, როგორც მისი პირველი გამომცემელი თ. ბარნაველი ი, ისე გ. აბრამიშვილი კითხულობენ თარიღს 738/739 წელს. ჩვენი აზრით რადგან აღნიშნული წარწერა ასეთი დათარიღებით განმარტოებული რჩება ატენის სხვა წარწერებში, მათ შორის მისი მშენებლობის მათემატიკური წარწერებშიც, არ არის გამორიცხული რომ წარწერის აღნიშნულ დათარიღებაში ირაქმე შეცდომა იყოს დაშვებული (არც ისაა გამორიცხული, რომ წარწერის შემსრულებელ ხელოსანს დაეშვა ლამსუსი თარღის მათემატიკური პირველი გრაფემის დაწერაში და ს. გრაფემის ნაცვლად (სხვ.—221—839 წ.) დაეწეროს კ (სხვ.—121-739). შესაძლოა ს შეეცვალა კ-დ გვიანდელ გამკვლეველებს და სხვ.). ვფიქრობთ, წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები მხარს უჭერს მის დათარიღებას დაახლოებით ერთი საუკუნით.

⁷⁰ შესაძლოა ატენის მფლობელებს გულიხმობდა ჯუანშერი „ნერსიანეზი“, რომლებსაც, მისი ცნობით, არჩილმა, სიძე-ერთთავებისათვის ქვეყნის დანაწილების დროს, არგუნა „ზენა სოფლის“ ნახევარი (ქართ. ცხ., I, 1955, გვ. 241—242). „ზენა სოფელი“ აქ ჯგულისხმობს შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, სადაც მდებარეობს სწორედ ატენი.

⁷¹ შეადარეთ: გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა... გვ. 56—59.

⁷² თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, 1957, გვ. 19.



კარის ერისთავებმა ბაღვაშებმა, რომლებმაც IX ს-ის ბოლოს თრიალეთში შექმნეს თავიანთი სენიორია და საერისთავო. ატენის ხეობაზე მათი მფლობელობის გავრცელებაზე მიუთითებს ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესიის საამშენებლო წარწერა X ს-ის II ნახევრისა (ის ამოკვეთილია, როგორც ჩანს, იმავე ხელოსნის მიერ, რომელმაც ამოკვეთა შებაიკისა და დაღეთის ეკლესიების წარწერები ბაღვაშთა სენიორიაში — თრიალეთში). ცხადია, ატენის სიონიც ამ პერიოდში მოექცეოდა ბაღვაშთა გამგებლობაში, თუმცა ჯერ-ჯერობით ამის მიუწყებელი წარწერა მის კედლებზე გამოვლენილი არ არის.

X ს-ის ბოლოს ბაგრატ III-მ ბოლო მოუღო ბაღვაშთა ძლიერების ზრდას და დასაჯა რატი ერისთავთ-ერისთავი. ალბათ ამ დროიდან ატენის სიონი და ატენის ხეობა სამეფო ხდება. ამაზე გვამცნობს ატენის ერთ-ერთი სომხური წარწერა X ს-ის 80-იანი წლებისა, სადაც იხსენიება ბაგრატ III-ის დედა გურანდუხტ „ქართველთა დედოფალი“⁷³.

ამის შემდეგ ატენს განაგებენ სამეფო სახლის მოურავები — ტანუტერები, რომელთაგან ერთ-ერთს — მირიან თარხუნისძეს იხსენიებს ატენის სიონის ლაპიდარული წარწერა 1059/72 წლისა, იმავე პერიოდის⁷⁴ ვერეს ეკლესიისა და ატენის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერები.



ერისმთავრის (სტეფანოს II-ის) სახელს უკავშირებს გ. ჩუბინაშვილი წრომის ტაძრის აგებას, მასზე ამოკვეთილ წარწერის საფუძველზე (იხ. წარწ. № 75). მაგრამ, ეს წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, სრულიად აშკარად IX ს-საა (იხ. აღნიშნული წარწერის აღწერილობა) და მასში მოხსენიებული სტეფანოზი არც ვპატოსია (აქ წერია: **ՎԻՄ** — გ(ა)ბაი და არა **ՎԻՄ** — იბატოს) ი. ეს ბიზანტიური ტიტული არასდროს ასეთი ფორმით არ იწერებოდა, არამედ: **ՎԻՄԵՆ** ვპატოსი) და არც ერისმთავარი (VII ს-ის ერისმთავრის სახელი დაიწერებოდა: „სტეფანოსი“ და არა „სტეფანოზი“ — იხ. მცხეთის ჯვრის და ქართულ-სასაზღვრო მონეტების წარწერები). ასევე IX საუკუნისაა წრომის ეკლესიაში აღმოჩენილი სტელა-ჯვრის წარწერა (წარწ. № 50). თუ კი ამ სტელა-ჯვრისა და ეკლესიის კედლის წარწერები სინქრონულია წრომის ტაძრის აგებისა, მაშინ, ცხადია, უნდა გადაისინჯოს მისი აგების თარიღიც. ყოველ შემთხვევაში აშკარაა რომ წრომის ტაძრის ლაპიდარული წარწერა არ ეკუთვნის ქართლის ერისმთავარს და ამის საფუძველზე ტაძრის ქტიტორად ერისმთავარს ვერ მივიჩნევთ. წარწერაში მოხსენიებული ორი სახელი: სტეფანოზი და გ(ა)ბა შესაძლოა იყო ერთი პირის ორმაგი სახელი: სტეფანოზ-გაბა. ეს იყო ალბათ, ტაძრის ქტიტორი, ან ხუროთმოძღვარი, ხელოსანი, შემწირველი, თუ მლოცველი. შესაძლებელია აგრეთვე, რომ წრომის ამშენებლად გვეგულისხმა წრომის სტელის აღმმართველი გრიგოლ მამასახლისი, რამდენადაც, VII—IX სს-ში ქართლში ეკლესიების მშე-

⁷³ ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 50—51.

⁷⁴ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 37—39. ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 74.



ნებლებად და ჯვრის აღმმართველებად ხშირად გვევლინებიან მამასახლისები (არმაზი, ატენი, არადეთი, ხატისოფელი).

ამგვარად, ეპიგრაფიკული მასალა ახლებურად აყენებს მცხეთის ჯვრის მიბაძვით აგებული ტაძრების თარიღის საკითხს: შესაძლებელია მცხეთის ჯვრის მიბაძვით ტაძრების მშენებლობა გაიშალა არა VII ს-ში, არამედ მაშინ, როცა ქვეყანაში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები დიდი საკულტო ტაძრების ასაგებად — IX—X სს-ში⁷⁵.

ბ) ოშკის ტაძარი და მისი წარწერები

ოშკის დღემდე ცნობილ ოცზე მეტი წარწერიდან მხოლოდ ოთხია ლაბი-დარული, რომლებიც შევიდა წარმოდგენილ კრებულში, დანარჩენი ფრესკულია. ყველა ეს წარწერა, როგორც ფრესკული ისე ლაბიდარული, შინაარსობრივად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და შეეხება ოშკის აგებასა და განახლებას-შოხატვას. ამდენად, ლაბიდარული წარწერების გაგება შეუძლებელია ფრესკული საამშენებლო წარწერების გათვალისწინების გარეშე. ამის გამო, საჭიროდ ვცანით აღნიშნული წარწერების ერთობლივი განხილვა კრებულის შესავალში.

საქართველოს ისტორიულ თემში ტაოში (დღეს თურქეთშია), ერთმანეთის ახლოს, მდებარეობს ორი ქართული მონასტერი: ოშკი და ხახული (ოშკი მდებარეობს თორთუმის წყლის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო ხახული — თორთუმის წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულის წყლის ხეობაში). ორივე ტაძარი აგებულია X ს-ის II ნახევარში. ოშკის ქტიტორების სახელებს გვამცნობენ მისი წარწერები. ესენი ყოფილან ადარნასე კურაპალატის ძეები — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი. ხახულის წარწერებში არ შემონახულა მისი ქტიტორის სახელი, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ცნობით ის აუშენებია დავით კურაპალატს⁷⁶.

ოშკი სამონასტრო კომპლექსია. შედგება მთავარი ტაძრისა და ორი უფრო მომცრო ეკლესიისაგან. მთავარი ტაძარი გუმბათიანი ტრიკონქია. ეს არის ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საკულტო ნაგებობა.

მთავარი ტაძრის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით აუცილთ სამონასტრო კომპლექსში შემავალი კიდევ ორი ეკლესია. მათი მშენებლობა დაუწყიათ 963 წელს (როგორც გვამცნობს ვ. ჯობაძის მიერ ახლახან გამოვლენილი წარწერა) და დაუმთავრებიათ ბაგრატ-ერისთავთ ერისთავის გარდაცვალების (966 წ.) შემდეგ (დაუმთავრებია ისინი ბაგრატის ძმას — დავით მაგისტროსს).

ტაძრის ქტიტორის დავით კურაპალატის გარდაცვალების (1001 წ.) შემდეგ ოშკი, ისევე როგორც ტაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მიიტაცა ბიზანტიამ. XI ს-ში ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებიათ იმპერატორებს — ვასილ

⁷⁵ ამ ვარაუდს ვფიქრობთ მხარს უჭერს მარტვილისა და სამწევრის ტაძრების წარწერები, აგრეთვე სუმბატ დეთისძის ცნობა, ადარნასე ქართველთა მეფის (888—923) შემწეობით კვირიკე ეპისკოპოსის მიერ ბანას საყდრის აშენების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოსაზრებას გამოვთქვამთ მხოლოდ საკითხის დაყენების სახით. ცხადია, მისი ვადაჭრა ისტორიკოსთა და ხელოვნებათმცოდნეთ შემდგომ ერთობლივ კვლევას მოითხოვს.

⁷⁶ შატლანე ქართლისა: „ქართლის ცხოვრება“, I, ს. ყუხჩიშვილის გამოც., 1956, გვ. 259.

II-ს (976—1025) და კონსტანტინე VII-ს (1025—1028), 1036 წ. ტაძარი მოუხატავს ტაოელ დიდებულს, ბიზანტიის ქართველ მოხელეს პატრიკ ანტონის ძეს. ოშკისა და ხახულის მონასტრები საქართველომ, როგორც ჩანს, დაიბრუნა თურქი-სელჩუკების მიერ ბიზანტიის ძლიერების შერყევის პერიოდში (გიორგი II-ის, ან დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში). ვარაუდობენ, რომ ხახულის ღმრთისმშობლის ხატი დავით აღმაშენებელმა გადმოიტანა მის მიერ აგებულ გელათის მონასტერში⁷⁷. XII ს-ში, როგორც ჩანს, ეს მხარე მიიტაცეს თურქებმა, რომელთაგან ხახული და ოშკი გათავისუფლებულ იქნა ქართველების მიერ XIII ს-ის დასაწყისში⁷⁸. XIII—XIV სს. მიჯნაზე ტაოს დიდი ნაწილი, და მასთან ერთად ოშკი და ხახული, შევიდა ახლად წარმოქმნილ სამცხის სამთავროში⁷⁹. XVII ს-დან მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო შევიდა ოტომანთა იმპერიაში. თურქებმა ხახულისა და ოშკის მონასტრები ჯამედ (მიზგი-თად) გადააქციეს, რამაც რამდენიმე დაცივა ეს ტაძრები ხელყოფისაგან.

ძველ საქართველოში თითოეულ მონასტერს ჰყავდა თავისი მფლობელი — სენიორი (უფალი|პატრონი). ოშკის უფალი X ს-ში იყო მისი ქტიტორი დავით მაგისტროსი (შემდეგ კურაპალატი). საქართველოსთან ოშკის კვლავ შემოერთების შემდეგ მისი პატრონი გახდა ქართლის კათალიკოსი. XVI ს-ის ერთ დოკუმენტში ოშკი აღნიშნულია როგორც კათალიკოსის საყმო მონასტერი⁸⁰.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოშკი X—XI სს. საისტორიო ძეგლებში არ იხსენიება (თუ არ ჩავთვლით ხელნაწერი წიგნების მინაწერებს და ოშკელთა მოხსენიებას სხვადასხვა ანდერძ-მინაწერებში). ამავე დროს „ქართლის ცხოვრება“ („მატიანე ქართლისა“, თამარის მეორე ისტორიკოსი, „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“) კარგად იცნობს ოშკის მეზობლად მდებარე ხახულის მონასტერს და მის აშენებლად თვლის დავით კურაპალატს⁸¹. საკითხავია საიდან იცის „მატიანე ქართლისა“-ს ავტორმა რომ დავით კურაპალატმა ააგო ხახული, თუ კი ამ ტაძარზე არ მოიპოვება ქტიტორის წარწერა და რატომ არ იცის მან, რომ დავით კურაპალატმა ააგო ოშკი, რის შესახებაც გვაძნობს ამ ტაძრის რამდენიმე წარწერა? და თუ კი მან ეს იცის, რატომ არაფერს ამბობს ამაზე, როცა დავით კურაპალატის დამსახურებებზე მოგვითხრობს?

ოშკის ეს მოუხსენებლობა საისტორიო წყაროებში, ხოლო მეორე მხრივ — ხახულის მონასტრის, ხახულელის, ხახულარის (ხახულის მხარის ფეოდალ-მემამულის) მოხსენიება გვაფიქრებინებს: ხომ არ იგულისხმებოდა XV—XVI სს-მდე ხახულის სახელწოდებაში ოშკიც, ხომ არ იყო ოშკი და ხახული გაერთიანებული ერთ დიდ მონასტრად, ხახულის საერთო სახელწოდებით (ისევე, მაგალითად, როგორც გარეჯის სახელწოდებით გაერთიანებული იყო რამდენიმე მონასტერი, რომელთაგან თითოეულს ამავე დროს თავთავისი სახელწოდება ჰქონდა)?

ოშკის ტაძარზე X—XI სს-ში მოუთავსებიათ მრავალი წარწერა, მეტწილად

⁷⁷ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხახულის კარედი, 1972, გვ. 2.

⁷⁸ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე: ქართ. ცხოვრება, I, 1955, გვ. 366.

ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი: ქართლ. ცხოვრ., II 1959, გვ. 130.

⁷⁹ ქ ა მ თ ა ლ მ შ ე რ ე ლ ი: ქართლ. ცხოვრ., II, გვ. 304.

⁸⁰ ქართ. სამართლ. ძეგლ., III, 1970, გვ. 244.

⁸¹ მატიანე ქართლისა: ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 259—274.



საღებავით შესრულებული. მათი ნაწილი დაიღუპა საუკუნეთა მანძილზე⁸². ნაწილია მოადრწია ჩვენადღე. გამოცემების მიხედვით დღემდე ცნობილია ოშკის ოცზე მეტი წარწერა. მათ შორის — ოთხი ლაპიდარულია, ხოლო დანარჩენი — საღებავით შესრულებული. ოშკი და მისი წარწერები რამდენიმე მკვლევარმა ნახა ადგილზე, გამოიკვლია ისინი და გამოსცა.

ოშკის შესწავლა დაიწყო XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 1861 წ. მისი წარწერების გრაფიკული მონახაზები გადმოიღო (ნაწილობრივ კალკით, ნაწილობრივ ხელით), ნ ე რ ს ე ს ს ა რ გ ი ს ი ა ნ მ ა⁸³. ამ მონახაზების მიხედვით ოშკის წარწერები გამოაქვეყნა მ. ბ რ ო ს ე მ⁸⁴. 1872 წ. ფოტოგრაფმა დ. ე რ მ ა კ ო ვ მ ა გადაიღო ოშკისა და მისი ზოგიერთი წარწერის ფოტოები⁸⁵. 1917 წ. ტაძარი გამოიკვლია ექსპედიციამ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით (ექსპედიციის წევრები იყვნენ: ინჟინერი ა. კ ა ლ გ ი ნ ი, მხატვრები: ლ. გ უ ღ ი ა შ ვ ი ლ ი, დ. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, მ. ჭ ი ა უ რ ე ლ ი, ხუროთმოძღვარი ი. ზ დ ა ნ ე ვ ი ჩ ი, ვარძიის მონასტრის წინამძღვარი ი ბ ო ლ ი ტ ე) ამ ექსპედიციის შედეგები ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა გამოაქვეყნა 1952 წ. რუსულ და 1960 წ. — ქართულ ენაზე⁸⁶.

60—70-იან წლებში ოშკის ტაძარი და მისი წარწერები გამოიკვლია ვ. ჯ ო ბ ა ძ ე მ, რომელმაც გამოავლინა აქ მანამდე უცნობი სამი წარწერა (საღებავით შესრულებული) და რამდენიმე ქანდაკება, ხოლო შემდეგ გამოაქვეყნა თავისი კვლევის შედეგები⁸⁷.

ვ. ჯობაძის ნაშრომზე რეცენზია გამოაქვეყნა ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა მ, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება ტაძრის შენების ხანგრძლივობაზე⁸⁸.

ოშკის ტაძრის საამშენებლო წარწერა პალეოგრაფიულად განიხილა და დაათარიღა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა⁸⁹. ტაძრის აგების თარიღსა და მშენებლობის ხანგრძლივობას შეეხო გ. ჩ უ ბ ნ ი ა შ ვ ი ლ ი თავის რეცენზიაში ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს ნაშრომზე: „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“⁹⁰ ოშკის ტაძართან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებს შე-

⁸² ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960, გვ. 46.

⁸³ იქვე, გვ. 6.

⁸⁴ M. B r o s s e t, Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nersés Sargisian et expliquée par M. Brosset, MAIS, VIII^e—série, t. VIII, № 10.

⁸⁵ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

⁸⁶ E. T a k a i s h v i l i, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952.

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960.

⁸⁷ W. D j o b a d z e, The Donor Reliefs and the Date of The Church at Oški, «Byzantinische Zeitschrift», 69, 1976, გვ. 39—62, ტაბ. I—XIV.

⁸⁸ ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა მ, გამოკვლევა ოშკის ტაძრის ქტიტორთა რელიეფების და აშენების თარიღის შესახებ ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით: „მაცნე“, ისტ., არქ. ეთნ. სერია, I, 1977.

⁸⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დამპყრობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია; 1949, გვ. 169—171.

⁹⁰ Г. Ч у б и н а ш в и л и, «Е. С. Такашвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952: ქართული ხელოვნება, 5, 1959, გვ. 255—260.

* * *

ოშკის ტაძრის წარწერები შინაარსობრივად შეიძლება შემდეგნაირად დაეჯგუფოთ:

I. ტაძრის საამშენებლო:

1. ხუროთმოძღვრის („საქმესა ზედამდგომის“);
2. ქტიტორებისა და განმანახლებლების.

II. მოსახსენებლები (ე. ი. მემორიალურ-სამლოცველო):

1. ქტიტორების;
2. სულთა მათიანის ფრაგმენტი.

III. მცირე ეკლესიების საამშენებლო (ქტიტორის).

IV. ტაძრის მოხატვის.

V. წმინდანთა სახელები (ფრესკებზე და რელიეფებზე).

საამშენებლო წარწერები

ოშკში გამოვლენილი წარწერებიდან საამშენებლოა რვა (შვიდი შესრულებულია საღებავით, ერთი — ლაპიდარულია). აქედან ორი ხუროთმოძღვრისაა, ექვსი — ქტიტორის.

ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი ოშკის საამშენებლო წარწერებში არის ტაძრის სამხრეთი მკლავის კარის ტიმპანზე საღებავით შესრულებული 12-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა „გრიგოლ საქმესა ზედამდგომისა“ (ე. ი. ტაძრის მშენებლობის გამგებლისა)⁹¹. მკვლევრები ამ გრიგოლს ხშირად აიგივებენ ეფრემ მცირესთან მოხსენიებულ საღვთისმეტყველო წიგნების მთარგმნელ გრიგოლ ოშკელთან⁹². ჩვენი აზრით ეს სწორი არ არის. არავითარი საფუძველი ამ გაიგივებისათვის, გარდა სახელების (გრიგოლის) დამთხვევისა, არ არსებობს. ტაძრის მშენებელი, ცხადია, საამშენებლო საქმის სპეციალისტი უნდა ყოფილიყო და არა ღვთისმეტყველი და მწერალი. წარწერა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ტაოს ბაგრატიონებზე, ეკონომიკაზე და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე.

ხუროთმოძღვრის საამშენებლო წარწერა ყოფილა აგრეთვე ტაძრის აღ-

⁹¹ ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქ. ექსპედ. სამხრ. საქ., გვ. 46—51, სურ. 27, გრად. მონახ., ტაბ. 54, 1 ფოტო.

⁹² ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 51, შ. ამირანაშვილი, ქართ. ხელოვნ. ისტ., 1961, გვ. 189.

მოსავლეთის ფასადის შუა კამარის ზემოთ, ფრონტონის ქვეშ, ბარელიეფზე. ბარელიეფი, ე. თაყაიშვილის ცნობით, 1717 წ. ჩამოვარდნილი და დაზიანებული ყოფილა. მასზე აღმოჩნდა ლაბიდარული წარწერის ფრაგმენტი, სადაც აღნიშნული ყოფილა ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობა:

„...ათსა წელსა აშენებდა“ (აქვე: წარწ. № 171).

ბარელიეფი, ე. თაყაიშვილის აზრით, რომელსაც ვ. ბერიძე იზიარებს, ხუროთმოძღვარს გამოსახავდა⁹³. გ. ჩუბინაშვილის აზრით კი (რომელსაც ვ. ჯობაძეც ეთანხმება) ეს იყო მთავარანგელოზის ფიგურა⁹⁴.

ამ ორი წარწერის გარდა ექვსი საამშენებლო წარწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქტიტორებისაა.

ოშკის ქტიტორები, როგორც ეს ირკვევა გრიგოლის აღნიშნული საამშენებლო წარწერებიდან, იყვნენ აღარნასე კურაპალატის ძეები: ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი. მ. ბროსემ შეცდომით აღარნასეც ქტიტორად მიიჩნია, მაგრამ, ამ შეცდომაზე სწორად მიუთითა ე. თაყაიშვილმა. ექვსი ქტიტორული-საამშენებლო წარწერიდან ორში მოხსენიებულია ორივე ქტიტორი თითოეულში, ხოლო ოთხში — თითო-თითო ქტიტორი. ამ წარწერებიდან სამი შესრულებულია ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებული ხუთი რელიეფური ფიგურის ჩუქუხზე, საღებავით. მათგან ცენტრალური სამი ფიგურა გამოსახავს ვედრების კომპოზიციას, ხოლო კიდური ორი ფიგურა — ქტიტორებს, ეკლესიის მოდელვით ხელში: მარცხენა ფიგურა — დავით მაგისტროსს, მარჯვენა — ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს.

ვედრების კომპოზიციას ახლავს ქვემოთ ორივე ქტიტორის საამშენებლო წარწერა:

„წ(მი)დ(ა)ო ლ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო და წ(მიდა)ო ნ(ა)თ-
ლისმც(ე)მ(ე)ლო, ადიდენ მ(ე)ფ(ე)ნი ჩუენნი/
გლახ(ა)კნი შ(ე)ნნი, მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბელნი
ამის წმიდისა ეკლეს(ი)სა/. და კუალად წარ(უ)-
მ(ა)რთენ / მ(ე)ფ(ე)თა ჩ(უ)ენთა ბ(ა)გრატ [ს და] /
და ვ ი თ ს“⁹⁵.

მარცხენა რელიეფს ახლავს ქვემოთ დავით მაგისტროსის საამშენებლო წარწერა:

„წ. მონაჲ ლ(მრ)თისაჲ მ(ე)ფჲ ჩ(უ)ენი /
და ვ ი თ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ა/დიდენნი ლ(მერთმა)ნ
ორთავე ცხ(ორებათა, მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი
ამ(ი)ს წ(მიდი)სა / ეკლესიისაჲ. ა(მჲ)ნ“⁹⁶.

მარჯვენა რელიეფის ქვემოთ, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის საამშენებლო წარწერაა:

⁹³ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 36; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, 1967, გვ. 75.

⁹⁴ Г. Н. Чубиннашвили, ქართ. ხელოვნება, 5, 1959, გვ. 258; W. Djobadze, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

⁹⁵ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53, სურ. 29 (გრაფიკ. მონახ., მხედრ. ტრანსკრ.).

⁹⁶ იქვე, გვ. 59, სურ. 30 (გრაფიკ. მონახ., მხედრ. ტრანსკრ.).



„ჩ მონაჲ ღმრთისაჲ მეფეჲ ჩუენი / ბ ა გ რ ა ტ ე რ ი ს თ ა ვ ე რ ე ს თ ა ვ ი ა / დიდენინ ღმერთმან ორთავე ცხო/რებათა — მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისა, ამენ“⁹⁷.

მეოთხე საამშენებლო ქტიტორული ასომთავრული წარწერა საღებავით შესრულებულია ტაძრის სამხრეთის კარის თავზე. ეს წარწერა, ნ. ს ა რ გ ი ს ი ა ნ ი ს მიერ ვადმოღებული პირის მიხედვით, გამოსცა მ. ბ რ ო ს ე მ. 1917 წ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ცნობით, ეს წარწერა აღარ ჩანდა:

„ჩ ი (ეს) უ ქ (რისტ) ე, მეოხებითა / წ (მი) დისა ღ (მრ) თისმშო/ზელისაჲთა და / წ (მი) დისა იოვანე / ნათლისმცემე/ლისაჲთა და / წ (მი) დისა ძელისა ცხორებისაჲთა და ყ (ოვე) ლთა წ (მი) და / თა (ა) თა აღიდენ მეფენი ჩ (უენ) ნი წ (ინა) შ ე შ / ენსა — მაშენებელი ამის ე [კლ] / [ე] ს ი (ი) [ს] ა ნ ი ბ ა გ / რ ა ტ ე (რისთავთ) - ე (რისთავი) და დავით მაგისტროსი“⁹⁸.

ვ. ჯ ო ბ ა ძ ე მ 60—70-იან წლებში გამოიკვლია ოშკის ტაძარი და გამოავლინა მასზე ახალი ქანდაკებები, აგრეთვე 3 მანამდე უცნობი, საღებავით შესრულებული წარწერა. მათგან ქტიტორთა ორი საამშენებლო წარწერა მოთავსებულია ქტიტორთა წელზევითი სკულპტურების უკან, სინგურით (წითელი საღებავით).

დავით მაგისტროსის რელიეფთან:

„ღ (მრ) თ (ი) ს / მშო / ბელი / [ჩ მონა] / ღ (მრ) თისაჲ / დ (ა) - ვ (ი) თ მ (ა) გ ი ს / ტ რ ო ს ი, მა (შენე) / ბელი წ (მი) დი / ს ა ამის / ს (ა) ყ დ რ / ისა / ა (დი) / (ე) / ნ / (ღ (მერთ) მ) ა ნ. ა (მე) ნ“⁹⁹.

ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის რელიეფთან:

„წ (მი) და) ა ნათ / ლის მ / ცე / მე / ლი. / მ (ე) ფ შ ჩ (უენ) ი / ბ (ა) გ რ (ა) ტ ე რ ის / თავთა / ე რ ის თა - ვ ი მ ა შ ე ნ (ე) ბ (ე) ლ ი წ (მი) დისა / ამის ს (ა) ყ დ რ / ის / ქ (რისტ) ე / ა / დ (ი) / დ (ე) ნ. / ა (მე) ნ“¹⁰⁰.

ქტიტორთა მოხატვნილები

ქტიტორთა სახელები აღნიშნულია ტაძრის სხვა წარწერებშიც, სადაც ისინი არ იწოდებიან ამშენებლებად.

ტაძრის მარჯვენა აფსიდის ლავგარდანზე ამოკვეთილია (ჩაჭრის წესით) ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა — ბაგრატ ერისთავ-ერისთავის მოსახსენებელი:

„ჩ მეფესა ჩ (უენ) ს ა ბ ა გ რ ა ტ ე რ ის თ ა ვ თ - ე რ ის თ ა ვ ს ა { მე ო ხ ე ყ ა ვ }“¹⁰¹.

ტაძრის სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ კუთხეში ამოკვეთილია, ორსტრიქონად, დავით მაგისტროსის მოსახსენებელი:

⁹⁷ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53 (მხედრ. ტრანსკრ.).

⁹⁸ იქვე, გვ. 54—55, სურ. 32 (გრაფიკ. მონახ., მხედრ. ტრანსკრ.).

⁹⁹ K. D j o b a d z e, დასახ. ნაშრ., გვ. 54 (მხედრ. ტრანსკრ.).

¹⁰⁰ იქვე (მხედრ. ტრანსკრ.).

¹⁰¹ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 52 (მხედრ. ტრანსკრ.).

„ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე დ(ავი)თ.
ჩ ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო წ(მიდა)ო აღ(იდე)ნ“¹⁰².

განახლება-აღდგენის წარწერა

ტაძრის მარჯვენა მკლავის შუა კამარის ქვემოთ, სინგურით, შესრულებულია რეასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ბიზანტიის იმპერატორებმა ბასილიმ (ვასილი II: 976—1025) და კოსტანტინე (კოსტანტინე VIII: 1025—1028) ჩაატარეს სარესტავრაციო მუშაობა ტაძარში — მეორედ „დაბურეს“ ის:

„ჩ ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო წ(მიდა)ო,
აღ(იდე)ნ შ(ე)ნ მ(ი)ერ / გ(ვ)რგ(ვ)ნ(ო)ს(ა)ნნი
მ(ე)ფ(ე)ნი ბ(ა)ს(ი)ლი / და კ(ო)სტ(ან)ტი,
რ(ომე)ლთა მ(ი)ერ გ(ა)ნსრ(უ)ლ(ე)ბ(უ)ლ იქმნა,
მ(ე)ორ(ე)დ დ(ა)ბ(უ)რვი/თა, ტ(ა)ძ(ა)რი ესე
დ(მრთი)ს(ა)ჲ, მ(ო)ნ(ა)ზ(ონობას)ა / გრ(ი)გ(ო)-
ლისა და [დ(ა)ვ(ი)თ(ი)სა]. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე
მ(ო)ნ(ა)ჲ შ(ე)ნი გრ(ი)გ(ო)ლ / და წყ(ა)ლ(ო)-
ბ(ი)თ მ(ო)ხს(ე)ნე გ(ა)ლ(ა) ტ ო ზ ი იესე“¹⁰³.

სულთა ნატიანის ფრაგმენტები

ტაძრის დასავლეთი მკლავის კარის თავზე, დიდ ფართობზე, მოთავსებული ყოფილა წითელი საღებავით შესრულებული წარწერები, რომელთა დიდი ნაწილი დაღუპულია. ე. თაყაიშვილის ცნობით, 1917 წ. ქვის შუა ნაწილი ამოფშენილი ყოფილა, დარჩენილი სიტყვები შემკვარტლული ყოფილა ცეცხლისგან, რომელიც წარწერის ახლოს დაუნთიათ. ე. თაყაიშვილის აზრით ეს უნდა ყოფილიყო ტაოს ბაგრატიონთა ალაპების ტექსტი¹⁰⁴.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო სულთა მატიანე (ე. ი. ალაპების საფუძველზე შედგენილი სია მოსახსენებლებისა) არა მარტო ტაოს ბაგრატიონებისა, არამედ ტაძრის სხვა ქტიტორებისა და შემწირველებისაც, რადგანაც შემორჩენილ ფრაგმენტებში არის როგორც ბაგრატიონთა ერისთავთ-ერისთავის მოსახსენებელი, ისე — ბიზანტიის იმპერატორ ვასილ II-ისა.

პირველის ტექსტი ასეთია:

„... [კუ]ლად ქსენებამ არს ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ი ს ა ჲ.
[ოდეს აღესრულა¹⁰⁵ ს]ულითა კ უ რ თ ხ ე უ ლ ი ბ ა გ რ ა ტ
ქრონიკონი იყო რვე, დღესა სამშაბათსა. ლ(მერთმა)ნ ღირს
ყავ სასუფეველთა საუკუნოთათა. ა(მე)ნ“¹⁰⁶.

¹⁰² ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 52 (მხედრ. ტრანსკრ.).

¹⁰³ იქვე, გვ. 54.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 55.

¹⁰⁵ ე. თაყაიშვილი: „ამას დღესა ვარდაიცივალა“.

¹⁰⁶ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55 (მხედრ. ტრანსლიტ. და ტრანსკრ.).

იმავე სავარაუდო სულთა მატიანის ადგილზე ე. თაყაიშვილმა ნახა და გამო-
მოსცა ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის მოსახსენებელი: გ. ბიზანტიის

„[მიი]ცვალა¹⁰⁷ თვთმპყრობელი წ[*(მიღა)*] მეფე ბ[*(ერძ)*]ენ-
თ[*(ა)*] ბ[*(ა)*]ს[*(ი)*]ლი ქრ[*(ო)*]ნ[*(ი)*]კ[*(ო)*]ნსა სმე, [თთ[*(უ)*]სა] დ[*(ე)*]-
კ[*(ე)*]მ[*(ბ)*]ე[*(რ)*]სა იბ, დლ[*(ე)*]სა] კ[*(ვ)*]რ[*(ია)*]კ[*(ე)*]სა. ლ[*(მერთმ)*]ან
ს[*(უ)*]ლი მისი წ[*(მიღა)*]თა მეფ[*(ე)*]თა თ[*(ა)*]ნა დ[*(ა)*]წ[*(ე)*]სოს“¹⁰⁸.

სულთა მატიანეში ყოფილა სხვა მოსახსენებელთა ნაშთებიც, სადაც
მ. ბროსეს ნ. სარგისიანის გადმონახატის მიხედვით, ხოლო ე. თაყაიშვილს სა-
კუთარი დაკვირვების შედეგად, გაურჩევიათ და გამოუციათ ზოგიერთი სიტ-
ყვები: „ადრნესე“, „ერისთავთა“, „მაგისტროს“ და სხვ.¹⁰⁹

წარწერა პატრიკ ჯოჯიყისა ტაძრის მოხატვის შესახებ

ტაძრის ინტერიერში, საკურთხევლის კედელზე მიწერილია თარიღიანი
ფრესკული წარწერა, 1036 წლისა, რომელიც აღნიშნავს პატრიკ ჯოჯიყის სახს-
რებით ტაძრის მოხატვას:

„... ნ... გ[*(ა)*]ნ[*(ა)*]შ[*(უ)*]ენე და შ[*(ე)*]ვ[*(ა)*]მ[*(კ)*]ეე ტ[*(ა)*]ძ[*(ა)*]რი
წ[*(მი)*]დისა წ[*(ი)*]ნ[*(ა)*]მ[*(ო)*]რ[*(ბ)*]ე[*(ღ)*]ი[*(ს)*]ა[*(ა)*] ს[*(ა)*]ფ[*(ა)*]სათა
სულ[*(უ)*]რთხ[*(ე)*]ულისა ჯოჯიკ პ[*(ა)*]ტრ[*(ი)*]კ[*(ი)*]ს[*(ა)*]თა. ა[*(უ)*]რთ[*(ხ)*]ენ
ღ[*(მერთმ)*]ან და აღ[*(ი)*]დენ. ქრ[*(ო)*]ნ[*(ი)*]კ[*(ო)*]ნსა სნვ, ბ[*(ერძ)*]ენ[*(ე)*]თა...“¹¹⁰

მცირე ეკლესიების საამშენებლო წარწერა

ვ. ჯობაძემ 1973 წელს, გამოავლინა ტაძრის სამხრეთის კედელზე სა-
ღებავით შესრულებული 12-სტრიქონიანი წარწერა, რომლის ბოლო 3 სტრი-
ქონი დაზიანებული ყოფილა¹¹¹. წარწერაში ლაპარაკია ეკლესიათა დაწყებაზე
(ე. ი. აშენების დაწყებაზე). ვ. ჯობაძემ წარწერა მიიჩნია მთავარი ტაძრის საამ-
შენებლო წარწერად და ამის მიხედვით, დაათარიღა მისი მშენებლობა 963—
973 წლებით. ასეთი დათარიღება ეწინააღმდეგება ტაძრის სხვა საამშენებლო
წარწერების მონაცემებს და ამიტომ ვერ გავიზიარებთ. ვფიქრობთ, რომ წარ-
წერა გულისხმობს არა მთავარი ტაძრის აშენებას, არამედ იმ ორი მცირე ეკლე-
სიებისა, რომლებიც შედიან ოშკის სამონასტრო კომპლექსში. მათი აგება, ამ
წარწერის მიხედვით, დაუწყიათ 963 წელს და დაუმთავრებია ბაგრატ ერისთავთ-
ერისთავის გარდაცვალების (966) შემდეგ, მის ძმას დავით მაგისტროსს:

„წ დავეწყეთ ეკლესიათა ქრო/ნიკონსა რბვ, მარტსა კ[*(ე)*] /დღესა ხარებისა.
აღესრუ/ლა ბაგრატ ერისთავთა-ერი/სთავი, ეკლესიისა ამის
მა/შენებელი ქრონიკ[*(ო)*]ნსა რბვ, ოკლ[*(ო)*]ნბერსა ზ, დღესა
ს[*(ა)*]მ[*(ა)*]შ[*(ა)*]ბ[*(ა)*]თსა. ღიღებ[*(უ)*]ლიმცა არს /ს[*(უ)*]ლი მ[*(ა)*]თი

¹⁰⁷ გარდაიცვალა — ე. თ.

¹⁰⁸ ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 55 (მხედრ. ტრანსლიტ. და ტრანსკრ.).

¹⁰⁹ იქვე, გვ. 56.

¹¹⁰ იქვე, გვ. 56—57 (გრაფიკ. მონახ., მხედრ. ტრანსკრ.).

¹¹¹ იქვე, გვ. 58.

და აღიდენ ლ(მერთმა)ნ.

ღ(ავით)თ [ძმა]მ(ა)ნ მ(ა)თმან [განა/სრულა]. ბე დაგ
ბ/ ————— [დავი]თისა

„112

ტაძრის აგების თარიღი

ოშკის ტაძრის აგების დრო ჩანს მისი საამშენებლო წარწერებიდან და ემყარება ამ წარწერებში მოხსენიებულ ქტიტორთა იდენტიფიკაციას. ამის საფუძველზე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები:

1. მ. ბ რ ო ს ე გრიგოლის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებულ ადარნასეს მიიჩნევდა ადარნასე II-დ, თვლიდა მას ამშენებლად და ათარიღებდა ტაძრის აგებას 881—923 წლებით¹¹³. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა ნათელჰყვეს მ. ბროსეს იდენტიფიკაციის მცდარობა და სწორად განსაზღვრეს წარწერაში მოხსენიებულ ადარნასეს ვინაობა. მიიჩნიეს ის ადარნასე III-დ, რომელმაც 958 წ. მიიღო კურაპალატობა და 961 წ. გარდაიცვალა¹¹⁴.

2. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს ტაძრის აგება არ დაუთარიღებია, მაგრამ დაათარიღა გრიგოლის საამშენებლო წარწერა 958—966 წლებით¹¹⁵.

3. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა საამშენებლო წარწერა დაათარიღა 958—961 წლებით. ტაძრის მშენებლობა (რომლის ხანგრძლივობასაც, მისი აზრით, ხუროთმოძღვრის ერთ-ერთი წარწერა განსაზღვრავდა ათი წლით) მიმდინარეობდა მისი აზრით დაახლოებით 950—961 წლებში¹¹⁶.

4. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს აზრით საამშენებლო წარწერა გრიგოლისა გულისხმობს ტაძრის მშენებლობის მხოლოდ დაწყებას და არა დასრულებას. ეს მშენებლობა კი, მკვლევარის აზრით, როგორც ჩანს მიმდინარეობდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, დაახლოებით ნახევარი საუკუნე, დიდი შესვენებებით. ამას, პატივცემული მკვლევარის აზრით, მხარს უჭერს ის სხვადასხვაობა, რომელიც შეიმჩნევა, საილუსტრაციო მასალის მიხედვით, სარკმლის მორთულობებში და ტაძრის ფიგურულ რელიეფებში, აგრეთვე ბაგრატ III-ისა და ბასილა II-ის გარდაცვალების აღმნიშვნელი წარწერები (966 და 1025 წლების) და ტაძრის მოხატვა 1036 წელს¹¹⁷.

5. ვ. ჯ ო ბ ა ძ ე, ტაძრის აშენების დაწყებას, მის მიერ გამოვლენილი წარწერების მიხედვით, ვარაუდობს 963 წელს, ხოლო დამთავრებას — 973 წელს (იზიარებს ე. თაყაიშვილის მოსაზრებას, რომ ტაძარი ერთ-ერთი წარწერის ცნობის მიხედვით, შენდებოდა 10 წელი)¹¹⁸.

¹¹² K. Djobadze, დასახ. ნაშრ., გვ. 58. უკანასკნელ სამ სტრიქონში „ძმამან“ „განასრულა“ და „დავითისა“ ჩვენი აღდგენაა.

¹¹³ M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

¹¹⁴ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. პალეოგრაფია, 1949, გვ. 170; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქ. ექსპედიცია, გვ. 49—51.

¹¹⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

¹¹⁶ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 51.

¹¹⁷ Г. Чубинашвили, ქართ. ხელოვნ. 5, 1959, გვ. 258.

¹¹⁸ K. Djobadze, დასახ. ნაშრ. გვ. 60.

6. ვ. სილოგავა თავის რეცენზიაში ვ. ჯობაძის წიგნზე თელის, ისევე როგორც გ. ჩუბინაშვილი, რომ ტაძარი შენდებოდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე: ოცი, ან ოცდაათი წელიწადი — 955—956 წლებიდან 975-ის 986 წლამდე. ვ. სილოგავას აზრით, წარწერებიც კეთდებოდა მშენებლობის ეტაპების მიხედვით და ამდენად წარწერის ადგილი ტაძარზე მიუთითებს, თუ რა დონემდე იყო ამოყვანილი ტაძრის კედლები წარწერის შესრულების დროს. ავტორის აზრით, წარწერა ამოკვეთილი ხუროთმოძღვრის თუ ანგელოზის რელიეფზე: „ათსა წელსა აშენებდა“ (ვ. სილოგავას აზრით შეიძლება აქ იყო: „ოცსა წელსა აშენებდა“) ეკუთვნის არა ხუროთმოძღვარს, არამედ — ქტიტორს. ამასთან, რადგან აქ ზმნა მხოლოდით რიცხვშია, იგულისხმება ერთი ქტიტორი, ე. ი. დავით მაგისტროსი, რომელიც, ალბათ, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების (966 წ.) შემდეგ აგრძელებდა ტაძრის შენებას კიდევ ათი თუ ოცი წელი¹¹⁹.

ჩვენი აზრით, ტაძრის აგების თარიღზე მისაღებია ე. თაყაიშვილის თვალსაზრისი:

1. მ. ბროსეს თვალსაზრისი გაუგებრობაზეა დამყარებული და ეს ამკარად აჩვენებს ივ. ჯავახიშვილმა და ე. თაყაიშვილმა.

2. ვერ დავეთანხმებით საამშენებლო წარწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 966 წლის მიჩნევას (ივ. ჯავახიშვილი), რადგან წარწერაში ცოცხალი ჩანს ადარნასე კურაპალატი. ის კი გარდაიცვალა 961 წ. ასე რომ უნდა მივიღოთ ე. თაყაიშვილის დათარიღება ამ წარწერისა: 958—961 წწ.

3. ვერ გავიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ოშკის ტაძრის საამშენებლო წარწერა გულისხმობს მხოლოდ ტაძრის მშენებლობის დაწყებას და არა დამთავრებას (გ. ჩუბინაშვილი). ტაძრის საამშენებლო წარწერები მშენებლობის დაწყების დროს კი არ კეთდებოდა, არამედ დასრულებას შემდეგ. ზოგჯერ ამ წარწერებში აღნიშნული იყო მშენებლობის დაწყების, ან საფუძვლის დადების თარიღი (ბოლნისის სიონის, ერედვის ეკლესიის და სხვა წარწერები), მაგრამ თვით წარწერის ამოკვეთის დროს მშენებლობა დასრულებული იყო. ასე, რომ ოშკის საამშენებლო წარწერის თარიღი, რომელიც უდაოდ 958—961 წლებით უნდა განისაზღვროს (ადარნასეს მიერ კურაპალატობის მიღებასა და მის გარდაცვალებას შორის დროით), ამასთანავე არის ტაძრის მშენებლობის დასრულების თარიღი.

4. ვერ გავიზიარებთ აგრეთვე იმ თვალსაზრისს, რომ ოშკის წარწერები კეთდებოდა მხოლოდ ტაძრის მშენებლობის პერიოდში.

როგორც ცნობილია ეკლესიებზე წარწერებს აკეთებდნენ მისი მშენებლობის დასრულების შემდეგაც და ამდენად, წარწერების ქრონოლოგიის მიხედვით შეუძლებელია ვიმსჯელოთ ეკლესიის მშენებლობის ხანგრძლივობაზე.

ცხადია, ვერც იმის მიხედვით განესაზღვრავთ ოშკის მშენებლობის ეტაპებს, თუ რომელი წარწერა რა დონეზეა მოთავსებული კედელზე (ვ. სილოგავა).

5. ვ. ჯობაძის თვალსაზრისი, რომ ოშკის ტაძარი შენდებოდა 963—973 წლებში, ჩვენი აზრით გაუგებრობაზეა დამყარებული: რანაირად დაიწყებოდა ოშკის მშენებლობა 963 წ., როცა მისი მთავარი საამშენებლო წარწერა თა-

¹¹⁹ ვ. სილოგავა, დსაბ. რეცენზია, გვ. 136—142.

რიღდება 958—961 წწ.! ე. ჯობაძის მიერ გამოვლენილი ფრესკული წარწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალბათ გულისხმობს არა მთავარი ტაძრის მშენებლობის დაწყებას 963 წლიდან, არამედ — მცირე ეკლესიებისა.

ამრიგად ოშკის ტაძარი შენდებოდა დაახლოებით 950—960 წლებში, როგორც ამას ვარაუდობდა ე. თაყაიშვილი; XI ს-ის 20-იან წლებში, 1028 წლამდე, ტაძარში ჩაუტარებიათ სარესტავრაციო სამუშაო, ხოლო 1036 წელს ის მოუხატავთ.

ოშკის წარწერების ქრონოლოგიური ფენები

ოშკის ტაძრის წარწერები რამდენიმე ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა:

1) ტაძრის აგების თანადროული წარწერები — 958/961 წწ. (1. საამშენებლო: ქტიტორთა და ხუროთმოძღვრის; 2. მოსახსენებლები ქტიტორებისა).

2) 966/978 წწ. წარწერა მცირე ეკლესიების მშენებლობაზე, რაც დაწყებულია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სიკოცხლეში (963 წელს) და დაუსრულებია დავითს მისი სიკვდილის (966 წ.) შემდეგ (მშენებლობის ხანგრძლივობა შეიძლება ვიგულისხმოთ საშუალოდ 10 წელი).

3) 1020/1028 წლის წარწერა, ბიზანტიის იმპერატორების — დავით II-ისა (976—1025) და კოსტანტინე VIII-ის (1025—1028) მიერ ჩატარებული სარესტავრაციო მუშაობის შესახებ.

4) 1036 წლის თარიღიანი ფრესკული წარწერა პატრიკ ჯოჯიყის მიერ ტაძრის მოხატვის შესახებ.

5) 1025 წლის შემდგომი. სულთა მატეანის ფრაგმენტი, სადაც იხსენიება ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალება 966 წ. და ვასილი II-ის გარდაცვალება 1025 წ.

ცნობები ტაოს ბაგრატიონთა შესახებ

ოშკის წარწერებში მოხსენიებულია ბაგრატიონთა ტაოს შტოს 3 წარმომადგენელი: ადარნასე კურაპალატი და მისი ძეები ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი. ბაგრატიც და დავითიც ოშკის ქტიტორები არიან, ოშკი მათი საერთო საგვარეულო მონასტერია. ამრიგად აშკარაა: ბაგრატს და დავითს საერთო მამული, საერთო დომენი აქვთ — ესაა ტაოს ნაწილი (იმიერ ტაო). ტაოს მეორე ნაწილი შეადგენდა ალბათ ტაოელ ბაგრატიონთა მეორე შტოს დომენს. როგორც ცნობილია, ტაოს ბაგრატიონები ორ შტოდ გაიყვნენ ადარნარესე II ქართველთა მეფის (†923) შემდეგ: მისმა ერთმა ვაჟმა — ბაგრატ ქართველთა მეფემ (†945) საფუძველი დაუდო ერთ შტოს (ადარნასე III კურაპალატი (†961) და მისი შვილები: ბაგრატი და დავით — ოშკის მამშენებლები), ხოლო მეორე ვაჟმა — სუმბატ კურაპალატმა (†958) — მეორე შტოს (ბაგრატ II ქართველთა მეფე (†994) — გურგენ მეფეთა-მეფე (†1008) — ბაგრატ III აფხაზთა და ქართველთა მეფე)¹²⁰.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წევრებში დამკვიდრდა ორნაირი ტიტულატურა: ბიზანტიური (კურაპალატი, მაგისტროსი, ანთიპატოს-პატრიკი,

¹²⁰ ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითისძის ქრონიკა... ტაბ. II.

აბა-პატრიკიოსი და სხვ.) და ქართული (ქართველთა მეფე, ერისთავთ-ერისთავი, ერისთავი, მამფალი).




როგორი იყო ამ ტიტულებს შორის ურთიერთ-მიმართება? გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ანდერძში აღნიშნულია, თუ რომელი გამგებლების დროს დაიწერა ეს ძეგლი, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ტაო-კლარჯეთის გამგებელთა იერარქიაზე¹²¹. ამ ცნობის მიხედვით ეს იერარქია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. კურაპალატი (და ქართველთა მეფე).
2. ერისთავთ-ერისთავი.
3. მაგისტროსი.
4. ერისთავი.


ამავე დროს თითოეული ამ ტიტულის მატარებელი იყო „მეფე“, ე. ი. უმაღლესი სიუზერენი. ვისაც აღნიშნული ტიტული არ ჰქონდა ის იყო არა მეფე, არამედ — „მამფალი“ (ე. ი. უფრო დაბალი რანგის სიუზერენი, ვიდრე „მეფე“).

„ქართველთა მეფობა“ შემოღებულ იქნა 888 წლიდან (ე. თაყაიშვილის აზრით — 899 წლიდან) და პირველ „ქართველთა მეფედ“ ეკურთხა ადარნასე II. მანამდე უმაღლესი ქართული ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში იყო ერისთავთ-ერისთავი. 888 წლიდან ეროვნული ქართული იერარქია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში ასე წარმოგვიდგება:



ოშკის წარწერების მიხედვით 958—961 წლებში კურაპალატია ადარნასე (შესაძლოა იგივე ქართველთა მეფე, რადგან ამ დროს არ ჩანს სხვა ქართველთა მეფე). სუმბატ დავითის ძის ცნობით ის მონოზნად აღუკვეციათ იძულებით-შვილებს (შესაძლოა მათ მიერვე აშენებულ ოშკის ტაძარში). ამავე პერიოდში ადარნასე კურაპალატის ვაჟებს უპყრიათ მეორე და მესამე ადგილი უმაღლეს სახელმწიფო მმართველობის იერარქიულ სისტემაში: ერთი ერისთავთ-ერისთავია (მეორე რანგი) და მეორე — მაგისტროსი (მესამე რანგი). მოსალოდნელი იყო, რომ ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი გამხდარიყო კურაპალატი და ქართველთა მეფეც, ან დავით მაგისტროსი მიიღო, მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. ბაგრატს არ მიუღია არც კურაპალატობა და არც ქართველთა მეფობა: ოშკის ყველა წარწერაში ის მხოლოდ ერისთავთ-ერისთავად იხსენიება, მათ შორის მის მოსახსენებელშიც, რომელიც დაწერილია მისი გარდაცვალების შემდეგ. ოშკის წარწერებში არც დავითს მიემართება სხვა ტიტული, გარდა მაგისტროსისა. ეს მოწმობს იმას, რომ დავითის სახელის აღმნიშვნელი წარწერები ოშკზე (გარდა მცირე ეკლესიების საამშენებლო წარწერისა), არ შეიძლება სცილდებოდეს არა მარტო 976 წელს, როცა დავითმა კურაპალატობა მიიღო (994 წლიდან ის უკვე „ქართველთა მეფე“ გახდა), არამედ 966 წელსაც კი, რადგან ბაგრატის შემდეგ, როგორც ჩანს, ის ერისთავთ-

¹²¹ ცხორებაა გრიგოლ ხანცთელისა: „ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. 1, ილ. აბულაძის რედაქციით, 1963, გვ. 316.



ერისთავი გახდა. მცირე ეკლესიების საამშენებლო წარწერაში კი, ის აღბათ ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა (თუ მის ტიტულად ამ წარწერას დაზნაბულ ბოლოში ვიგულისხმებთ კურაპალატს, მაშინ აღნიშნული ეკლესიების მშენებლობაც უნდა გვეგულისხმა არა ნაკლებ 13—14 წლისა, 966 წლიდან 976/77 წლამდე). რატომ არ მიიღეს ბაგრატიანი ან დავითმა კურაპალატობა და ქართველთა მეფობა აღარნესეს შემდეგ? შესაძლოა სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული ის უთანხმოება მამასა და შვილებს შორის, რასაც აღარნესეს მონოზნად აღკვეცა მოჰყვა. კურაპალატობა და „ქართველთა მეფობა“ დროებით გადავიდა ტაოს ბაგრატიონთა მეორე შტოში. დავითმა მოგვიანებით დაიბრუნა ორივე ეს ტიტული, მაგრამ ოშკის წარწერებში ეს აღარ აისახა.

ტაოს ნაწილის დაპყრობა ბიზანტიის მიერ

დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ (1001 წ.) ბიზანტიამ საქართველოს მიმართ დაიწყო აგრესიული კურსის განხორციელება, რაც გრძელდებოდა XI ს-ის 50—60-იან წლებამდე, ვიდრე თურქ-სელჩუკების შემოტევამ არ შეანელა მისი ეს აგრესიული განწყობილება. ჯერ დაიწყო ბრძოლა ე. წ. „დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის“ (ე. ი. სამხრეთ ამიერკავკასიაში დავით კურაპალატის დროს შექმნილი მიწებისათვის), ხოლო შემდეგ ბიზანტიის აგრესია გავრცელდა მთელ საქართველოზე.

ნარატიული ძეგლებიდან არ ჩანს, თუ ტაოს რა ნაწილი მიიტაცა ბიზანტიამ XI ს-ის დასაწყისში. ჩანს ოღონდ, რომ ბანა, კალმახი, ოლთისი, იშხანი დარჩა საქართველოში²². ოშკის ტაძრის წარწერები რამდენადმე შუქსა ჰფენს ამ საკითხს: ირკვევა, რომ ვასილ II-ის დროს (†1025) ოშკი უკვე ბიზანტიის შემადგენლობაშია. ე. ი. საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის XI ს-ის დასაწყისში გადიოდა ოშკის ჩრდილოეთით, იშხნის, კალმახისა და ბანას სამხრეთით (შემდეგ ბანელი ეპისკოპოსიც მიემხრო ბიზანტიას და შესაძლოა ბანაც შევიდა ბიზანტიაში, თუმცა XIII ს-ის საქართველოს მღვდელმთავრთა სიაში ბანელიც შედის). ოშკი და ხახული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ შემდეგში დაიბრუნა, მაგრამ ოშკის წარწერებში ეს პერიოდი აღარ აისახლა.

ბიზანტიის სამსახურში მყოფი ქართველები

ოშკის 1036 წ. წარწერამ შემოგვინახა ერთ-ერთი ქართველი დიდებულის ჯოჯიკის სახელი, რომელიც, როგორც ჩანს, ბიზანტიის სამსახურში იყო პატრიკის ტიტულით, როცა (1036 წ.) გაიღო სახსრები ტაძრის მოსახატავად. სახელისა და მოღვაწეობის ადგილის (ტაო) მიხედვით უნდა ვფიქროთ, რომ ეს იყო

²²² მატანე ქართლისა: ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 284, 295, 301.

ტაოელი დიდებული. ერთ-ერთი ჯოჯიკი, როგორც X ს-ის ტაოელი დიდი ან-
ნაური, იხსენიება „მატიანე ქართლისა“-ში და სუმბატ დავითის-ძესთანაშვის
შვილს ფერისს მონაწილეობა მიუღია ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ
მოწყობილ შეთქმულებაში, რისთვისაც სიკვდილით დაუსჯიათ¹²³. შესაძლოა
ოშკის მომხატველი ჯოჯიკი ეკუთვნოდა იმავე ტაოელი ჯოჯიკის საგვარეულოს.
იქნებ ის იყო X ს-ის ჯოჯიკის შვილიშვილი, ფერისის შვილი. შესაძლოა ეს
ტაოელი ქართველი დანიშნა იმპერატორმა ტაოს იმ ნაწილის გამგებლად, რო-
მელიც წაართვა საქართველოს.

გ) ერედვის, ტბეთის, დოდოთის ეკლესიების წარწერები.
აფხაზთა მეფის ერისთავები აღმ. საქართველოში

მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქართლში X ს-ში არსებულ ერთ-ერთი
საუფლოს შესახებ ერედვის, ტბეთისა და დოდოთის ეკლესიების წარწერები.
ერედვის ეკლესია მისი საამშენებლო წარწერის ცნობით (№ 76) შენდებოდა
906 წლიდან დაახლოებით 914 წლამდე, „ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა
ივანესა“. ამრიგად, X ს-ის დასაწყისში ქართლის უფლობა უპყრია ტბელთა
სახლს (ამ დროს, როგორც ჩანს, ქართლის ცნება დავიწროვდა და გულისხმობ-
და მხოლოდ შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, ცენტრით უფლისციხეში).

იგივე ივანე ტბელი დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერაში (№ 81)
იხსენიება ერისთავად. ამრიგად, ივანე ტბელი ყოფილა არა მარტო უფალი (სე-
ნიორი), არამედ — ერისთავიც (მეფის მოხელე, მხარის გამგებელი). რომელი
მეფის ერისთავია ივანე ტბელი და რომელია მისი საერისთავო ქვეყანა? ცხა-
დია, ის ქართლის (თუ „ქართველთა“ შეადარეთ აბასთუმნის და ატენის სიო-
ნის სტეფანოზ მამულის წარწერები) ერისთავია, უფრო სწორად ქართლის იმ
კუთხის, რომელსაც აღნიშნავდა X ს-ში ეს ტერმინი. თუ გავიხსენებთ რომ
„ქართლსა ზედა ბრძოლაში“ (ე. ი. საქართველოს მეფე-მთავართა მიერ ქართ-
ლის დასაუფლებლად წარმოებულ ბრძოლაში) X ს-ში ჰეგემონობდა აფხაზთა
მეფე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ივანე ტბელი აფხაზთა მეფის ერისთავი იყო.

X ს-ში აფხაზთა მეფეები თავიანთ გამგებელ-მოხელეებს სვამენ აღმო-
სავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (ქართლი, ჯავახეთი, თრიალეთი)
და ამ გამგებლებს აღმოსავლურ-ქართული ტერმინი „ერისთავი“ ეწოდება.

აფხაზთა მეფეს სიუზერენად აღიარებს ერედვის აღნიშნული წარწერა
(„ქ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ა ს ა ლ მ რ თ ი ვ დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ის ა მე ფ ის ა წ მ ი დ ის ა, კ ო ს ტ ა ნ -
ტ ი ნ ე მე ფ ის ა ს ა“). ასევე სიუზერენად მიჩნეულია აფხაზთა მეფე კუმურდოს
(964 წ.) წარწერაში. იხსენიება ის სამშვილდის (X ს.) წარწერაშიც.


თავდაპირველად, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფე ქართლში თავის გამგებელ

¹²³ მატიანე ქართლისა: ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 287, სუმბატ დავითის-ძე იქვე,
გვ. 384.

მოხელედ — ერისთავად ნიშნავდა ადგილობრივ ფეოდალს (ასეთი იყო მაგალითად ივანე ტბელი). შემდეგში მან ქართლის გამგებლობა გადასცა თავის ძეს „ქართლის ცხოვრების“ ცნობით გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლის გამგებლად დანიშნა თავისი ვაჟი კოსტანტინე¹²⁴. ქართლის გამგებლად იხსენიებს კოსტანტინეს აგრეთვე ცხრაზმის ხევის ხევისუფალთა წარწერა (№ 57) („ოდეს კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო“). კოსტანტინე მამას განუდგა, რაშიც მას, „ქართლის ცხოვრების ცნობით“, მხარი დაუჭირეს ტბელებმა¹²⁵.

კოსტანტინეს დასჯის შემდეგ აფხაზთა მეფეს ქართლის ერისთავად დაუნიშნავს თავისი მეორე ვაჟი ლეონი. (გიორგი აფხაზთა მეფის საგამგებლოში „ქართლის ცხოვრების ცნობით“ შედიოდა ატენი¹²⁶). გამეფების შემდეგ ლეონს ქართლის ერისთავად დაუნიშნავს დას. საქართველოს წარჩინებულთა, მარუშიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი — ივანე მარუშისძე¹²⁷. ლეონს თავისი ძალაუფლება გაუვრცელებია ჯავახეთზეც და აქ ერისთავად დაუნიშნავს იმავე საგვარეულოს წარმომადგენელი — ზვიადი, რის შესახებაც გვამცნობს კუმურდოს საამშენებლო წარწერა. იგივე საგვარეულოს წარმომადგენლები ჩანან თრიალეთის ერისთავებიც XI ს-ის დასაწყისში (გომარეთის წარწერა).

ამრიგად, ტბელებს, ქართლის ერისთავობა ჰქონიათ მხოლოდ X ს-ის დასაწყისში (დაახლოებით პირველ ოცეულში), შემდეგ ისინი კარგავენ ამ სახელოს. მაგრამ, ქართლის ტბეთის წარწერები მოწმობენ, რომ ტბელების საუფლო არ მოშლილა. ამ წარწერებში ჩანს ტბელების კიდევ ორი თაობა, ერედვისა და დოდოთის წარწერების ტბელთა 2 თაობის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ტბეთის წარწერებში იხსენიება სახელი „აბაზ“, რაც საფუძველს იძლევა, ტბელების საგვარეულოსთან XI ს-ის ქართლის ერისთავთა აბაზასძეთა დაკავშირებისათვის¹²⁸. ტბელებს, ზოგიერთი მონაცემებით უკავშირდება ქართლის მეორე წარჩინებული საგვარეულო ფავნელებისა, რომელთა მემკვიდრეები სურამელები აგრეთვე ქართლის ერისთავები არიან. ამრიგად:



ტბელების გენეალოგია აღნიშნული წარწერების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:


¹²⁴ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 266.

¹²⁵ იქვე, გვ. 267.

¹²⁶ იქვე, გვ. 268.

¹²⁷ იქვე, გვ. 272.

¹²⁸ ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა: სსმ-მზე XIX-A და XXI-B 1957, გვ. 97, შენწმ. 1.



ქავთარ II ტბელი, როგორც ცნობილია ქართლის ცხოვრებიდან, მეთაურობს ქართლის აზნაურთა ბრძოლას ბაგრატ III-ის წინააღმდეგ, 980-იან წლებში. საყურადღებოა სახელი — პატრიკის დამოწმება ტბელებში. ეს სახელი შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ ტბელებს IX ან X სს-ში ჰქონდათ ბიზანტიური ტიტული „პატრიკი“ (VII ს-ში გამოითქმოდა: „პატრიკიოსი“), რაც შემდეგ საკუთარ სახელად იქცა ამ საგვარეულოში.

*
*
*

მამფალ-გამგებლებზე ცნობებს გვაწვდიან IX—X სს. ეკლესიების სხვა წარწერებიც.

ბოლნისის სიონზე ამოკვეთილ X ს-ის წარწერაში მოხსენიებული არიან დავით და აბულ მამფლები (წარწ. № 137), ხოლო სამშვილდის სიონის X ს-ის წარწერაში — პატიანშთა შთამომავალი. ამრიგად, აშკარაა, რომ ქვემო ქართლში, ბოლნისის მხარეში, IX—X სს-ში არსებობს დიდი სამამფლო, სადაც შედის თვით ბოლნისის საყდარიც. მეორე სამამფლო მდებარეობს სამშვილდის მხარეში (არ არის გამორიცხული რომ ორივე ეს მხარე ერთი სამამფლო იყო, ხოლო სამშვილდისა და ბოლნისის წარწერებში მოხსენიებული გამგებლები — ერთიდაიგივე საგვარეულოს ორი თაობა).

თბილისის ახლო მდებარე ეკლესიებზე ამოკვეთილი X ს-ის წარწერებზე მიუთითებენ აქ ამირათა გამგებლობაზე (მაჩხანის წარწ.).

ზარზმის წარწერა ივანე სულასძისა მოწმობს სამცხეში, X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ბაჰლაუნდების გვარის, ან მათი განშტოების მფლობელობას (ეს გვარი აქაურ მფლობელებად მოხსენიებულია ჯერ კიდევ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“)¹²⁹.

ქართველ ბაგრატიონთა მფლობელობაზე სამხრეთ-დას. საქართველოში IX—X სს-ში ცნობებს გვაწვდიან ოპიზის, იშხნის, ოშკის და სხვა ტაძრების წარწერები.

¹²⁹ ნ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, 1975, გვ. 30.

V საუკუნის წარწერები ეკლესიებზე

1. ურბნისის სიონი (1)
2. ბოლნისის სიონი (2—4)
3. ნიქოზის ღვთაების ტაძარი (5)
4. აკაურთას ეკლესია (6)

1. ურბნისის სიონი

ბაზილიკა. (ქარელის რ-ნი): ქ. გორიდან 12 კმ მანძილზე, სოფ. ურბნისში. საეპარქიო საყდარი შუა საუკუნეებში. თვით ურბნისი ანტიკური პერიოდის ქალაქი იყო, გარსშემოვლებული ალიზის ზღუდით. საქალაქო ცხოვრება მოიშალა VIII ს-ში, არაბი სარდლის მურვან-ყრუს მიერ მისი აოხრების შედეგად. ტაძრის ფასადზე შემორჩა V და X სს. ასომთავრული და 1668 წ. მხედრული წარწერები, ხოლო სამრეკლოზე — 1706 წ. მხედრული წარწერა. ისინი ასახავენ ტაძრისა და თვით ურბნისის ისტორიასაც: მათი ცნობით ტაძარი V ს-ში აუგიათ. X, XVII და XVIII სს-ში ის აღუდგენიათ დავით ეპისკოპოსს, მარიამ დედოფალს და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს. ტაძრის საამშენებლო წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ყველაზე ძველია დღემდე ცნობილ ქართული დამწერლობის ძეგლებს შორის. ([111], ნ. შოშიაშვილი).

1

V ს. I ნახ. საამშენებლო წარწერა კოსტანტისა და მამა მიქაელისა

ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის კედელში, სწორკუთხად გათლილი რუხი ფილის მთელ ფართობზე (ფილა, როგორც ჩანს, ადგილშენაცვლებულია ტაძრის რესტავრაციის დროს) გამოქანდაკებულია სამსტრიქონიანი რელიეფური ასომთავრული წარწერა, ჩასმული რელიეფურ ჩარჩოში. სსმ-ში დაცულია წარწერის ესტამპი. წარწერის ფართი — 59×40. გრაფემების სიმაღლე—7—9, განაკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან არ არის დაცილებული.

დაზიანება: ნაწილობრივ ატკეჩილია I სტრ. მე-3, 6 გრაფემები (I ო, 7 ე); III სტრ. 1, 6, 8, 10 გრაფემები (C ა, შ მ, ყ, ზ, ნ ნ). ყოველი ამ გრაფემის მოხაზულობა მაინც გარკვევით ჩანს. (ტაბ. I).



წარწერის დათარიღება სხვა მკვლევარებთან: 1) მ. ბ. ბ. (შ); 2) V—VI სს. მიჯნა (ჴ); 3) X ს. (ს).

წარმოგენილი დათარიღების საფუძველი: 1) პალეოგრაფიული ნიშნები: 4, 4, ს, 4, 4, 4 (ბ, ვ, ს, ყ, შ, წ) გრაფემების რკალშეკრულობა; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 4 შ-ს შეკრული აქვს როგორც ზედა, ისე ქვედა რკალი, რაც არც ერთ დღემდე ცნობილ უძველეს წარწერაში არ გვხვდება (მათ შორის არც ბოლნისის). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რკალშეკრულია ს, ხოლო 4 წ-ს შეკრული აქვს როგორც ზედა, ისე ქვედა რკალი; 2) ტაძრის ხუროთმოძღვრული ნიშნები: V—VI სს. ძველი ბაზილიკა ([87], გ. ჩუბინაშვილი, 50).

გამოცემები: 1) [77], M. Brosset, 15 (დედნ. შრიფ.; მხედრ. ტრანსკრ.; ფრანგ.); (ბ); 2) [36], ე. თაყაიშვილი, 46 (მხედრ. ტრანსლიტ. და ტრანსკრ.) (თ); 3) [110], ნ. შოშიაშვილი 136—137 (მხედრ. ტრანსლიტ. და ტრანსკრ.) (შ); 4) [111], ნ. შოშიაშვილი, 138, ტაბ. III (მხედრ. ტრანსკრ.; გრაფ. მონახ.; ფოტო) (შ¹); 5) [53], პ. ზაქარაია, 90, ტაბ. XXXVI (დედნ. შრიფ. მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო) (ჴ); 6) [38], ალ. გამყრელიძე, 16,22 (მხედრ. ტრანსკრ.; ნ. შოშიაშვილის წაკითხვით; ფოტო); 7) [95], ვ. სილოგავა, 92 (დედნ. შრიფ., მხედრ. ტრანსკრ.; ფოტო) (ს).

1. Q. Q. 17147
2. ხეშთთთთხეშთთ
3. ს, ს, ს, ს, ს, ს, ს, ს

2. ხეშთთთთხეშთთთ
- თთთთ...ზ ბრ. ყყყყთყყყ ბრ.

Q. Q. 17147
ხეშთთთთხეშთთ
ს, ს, ს, ს, ს, ს, ს, ს

სურ. 1.

უ(ფალ)ო ი(ეს)უ ქ(რისტ)ე,² კ(ოს)ტ(ანტი)ო, მ(ა)მ(ა)მ(ი)ქ(ა)ელ შ(ეი)წყ-(ალ)ენ,³ ა(მი)ს ს(ი)ონ(ის)ა მ(ა)შ(ენ)ებ(ე)ლნი.

1 თვალთ შ, შ¹, ჴ. თო წრწ. 1 იესო ბ, რ, თ, იესუ შ, შ¹, ჴ. 2 კოსტანტი კალატოზი ბ, რ, თ; 2 კონსტანტი შ, ჴ. მიქელ ბ, რ, თ, შ, შ¹, ჴ, ს. 3 ამის) ას ბრ. 3 მამშენებელნი ს.

2. ბოლნისის სიონი

ბაზილიკა (ბოლნისის რ-ნი): ისტორიულ ქვემო ქართლში, 9 კმ. მანძილზე ქ. ბოლნისიდან სამხრეთით, 1 კმ. მანძილზე სოფ. ბოლნისის-ხაჩინიდან, 3 კმ მანძილზე სოფ. ბოლნის-ქაფანაქიდან. საეპარქიო საყდარი შუა საუკუნეებში. ტაძრის კედლებზე (როგორც ფასადზე, ისე ინტერიერში) შემორჩა V, X და მომდევნო საუკუნეების ასომთავრული წარწერები, ხოლო სამრეკლოზე — XVII ს. მხედრული წარწერა. ტაძრის ტერიტორიაზე, 1936—1937 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და სარესტავრაციო სამუშაოების შედე-

გად, გამოვლინდა აგრეთვე ასომთავრულ წარწერებიანი ქვები, მათ შორის სტელა-ჯვრები, მთლიანი, ან ფრაგმენტების სახით.



ტაძრის ფასადზე ამოკვეთილი სამი წარწერა (№ 2, 3, 4) დაახლოებით ერთდროულია და შესაძლოა ერთ ხელოსანს ეკუთვნის.

1) [202], Г. Н. Чубинашвили; 2) [81], ლ. მუსხელიშვილი; 3) [14], ჯ. ამირანაშვილი.

494 წ. საამშენებლო წარწერა დავით ეპისკოპოსისა

სსმ—146. მომწვანო ფერის სწორკუთხოვანი ქვა, ზომით 156×47. ქვის შუაში გამოსახული ყოფილა მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი, რომლის მხოლოდ ქვემო ნაწილია შემორჩენილი. ჯვრის ქვეშ, ჩარჩოში გამოქანდაკებულია ასომთავრული, რელიეფური ოთხსტრიქონიანი წარწერა, რომლის ფართობია 156×21; გრაფემების სიმაღლე—4—4,5. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არაა. ქარაგმის ნიშანი — საშ. ზომის სწორი, განივი ხაზი (გვხვდება ორჯერ: მე-3 და მე-4 სტრიქონებში სიტყვაზე ღწ — ღ(მერთმან).

ძეგლი წარმოადგენს ბოლნისის სიონის ჩრდილო ფასადის აღმოსავლეთით მდებარე კარის ბალავრის ნაწილს. ის აღმოჩნდა 1937 წელს, კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ ბოლნისის სიონში ჩატარებული სარესტავრაციო მუშაობის დროს.

დაზიანება: 1) ქვის ორივე ბოლო მარჯვენა კუთხე მოტეხილია. მარჯვენა ზედა კუთხის ნატეხი შეწებებულია, ქვედა — არა. ამოტეხილია აგრეთვე ქვედა წიბოს ბოლო ნაწილი; მარცხენა მხარეს ქვას აკლია 87, მარჯვენა მხარეს — 109, ზემოთ — 20. ამრიგად, მთელი ქვის ზომა უნდა ყოფილიყო 352×67; 2) წარწერის თითოეულ სტრიქონს დასაწყისში აკლია 25—27 სმ სიგრძის ტექსტი, აქედან მთლიანად დაკარგულია 10—12 სმ. ბალავრის ნატეხზე, რომელიც დარჩა კარის თავზე, შემორჩენილია წარწერის დასაწყისის ნაკვალევი 15—20 სმ სიგრძეზე, სადაც ირჩევა რამდენიმე გრაფემა. ბოლოში წარწერის თითოეულ სტრიქონს აკლია 17—20 სმ. სიგრძის ტექსტი. მთელი წარწერის სიგრძე უნდა ყოფილიყო 2 მეტრამდე (როგორც ჩანს, ემთხვეოდა კარის სიგანეს); 3) ქვის მარჯვენა ბოლოში, პირველი სტრიქონის 23 სმ თითქმის სრულიად წაშლილია. ჩანს მთლიანად მხოლოდ ერთი გრაფემა ბოლოში (ფ); 4) ზოგ ადგილზე გრაფემები დიდათ დაცილებულია ერთმანეთისაგან: I სტრ. 10 და 11; II სტრ. 6 და 7; 13 და 14; III სტრ. 25 და 26; IV სტრ. 9 და 10; 23 და 24 გრაფემები. როგორც ჩანს, წარწერის ამომჭრელს შეცდომები მოსდიოდა, უკვე გამოქანდაკებულ გრაფემებს, ან მის ნაწილს გადაფხვდა და მის გვერდით აქანდაკებდა საჭირო გრაფემას; 5) ზოგ ადგილზე გრაფემა მთლიანად, ან ნაწილობრივ ატყეხილია: ა) ნაწილობრივ — I სტრ. 16 გრაფემა რომელიც ა. შანიძის მიერ აღდგენილია როგორც C — ც. ის საეარაულოდ შეიძლება აღდგეს აგრეთვე როგორც Q o, ან ო დ; ბ) მთლიანად — I სტრ. 17 გრაფემა, რომელიც აზრობრივად აღდგენილია როგორც



საქართველოს ენობრივი ინსტიტუტი
 ქართული ენის ინსტიტუტი
 საქართველოს ენობრივი ინსტიტუტი
 შინაგანობის და დიპლომატიის ინსტიტუტი

სურ. 2.

[შეწევნითა წმიდისა სამებისათა, ოც წლისა პეროზ მეფისა ზე]/² [ვიწყე შენებაჲ] ამის ეკლესიასაჲ და ათხუთმეტ წლისა შემდგომად]/³ [განვასრულე. ვინ აქა შინა თაყუანის სხეცს, ღმერთმაჲ შეიწყალებ. და ვინ ამის]/⁴ [მ(ა)შ(მნე)ბ(ე)ლსა დ(ავით) ე]პისკოპო[ს]სა ხულოცოს, იგიცა ღმერთმაჲ შეიწყა[ლ]ენ. [ი(ყავნ), ი(ყავნ)].

შ. [შეწევნითა წმიდისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე]/² [ხიქმნა დაწყე-
 ზაჲ] ამის ეკლესიასაჲ და ათხუთმეტ წლისა შემდგომად]/³ [განხეშორა. ვი]ნ აქა შინა
 თაყუანის სხეცს ღწ შეიწყალებ და ვინ ამის ეკლ]/⁴ [ესიასა ღწავით ე]პისკოპოსსა ხულო-
 ცოს იგიცა ღწ შეიწყალებ [ამჲნ].

შ: [შეწევნითა წწლისა სამებისათა ოც წლი(სა) პეროზ მეფისა ზე დახი]/² [ღვა* სა-
 ლუძქელი] ამის ეკლესიასაჲ და ათხუთმეტ წლი[სა შემდგომად]/³ [განხეშორა ვი]ნ აქა შინა
 თაყუანის სხეცს ღწ შეიწყალებ და ვინ ამის ეკლესიასა]/⁴ [მაშმნებელსა ღწ ე]პისკოპოსსა
 ხულოცოს იგიცა ღწ შეიწყალებ**.

შ: მე-2 სტრ. ბოლო და მ ე-3 სტრ. დასაწყისი:
 ... და ათხუთმეტ წლი[სა კავატ მეფისა ზე]/³ [განხეშორა ვი]ნ აქა შინა...

შ: [სახელითა წმიდისა სამებისათა ო*** ———[ლი]სა პერო[ზ მ] მეფ—/2—ამის ეკლესი-
 ასაჲ და ათხუთმეტ წლი[ს]—/3—ნ აქა შინა თაყუანის სხეცს (sic) ღწ შეიწყალებ და ვინა
 [ღ]—/4— ე[პ]ისკოპო[ს]სა ხულოცოს იგიცა ღწ შეიწყალებ.

შ: კარის წირთხლში დატული ნაწილებისაგან მარტენაზე აღარადფერი ჩანს, მარჯვენაზე კი
 გაირჩევა:

1. ————— აო? აჲ ხჲ?
2. — ა ————— ი — ა — ე?
3. — კლ —————
4. — — — — —

ა: მე-2 სტრ. დასაწყისი
 სრულ ხიქმნა შენებაჲ.

თ: ა. შანიძისაგან განსხვავებულად კითხულობს მხოლოდ მე-3 სტრ. ბოლოს და მე-4 სტრ.
 დასაწყისს:
ვინ ამის/4 აღმშენებელსა*.

* შ შანიძისაგან: „დახიღვა“-ს ნაცვლად შეიძლება ყოფილიყო „დავდევა“.
 ** შ1 შანიძისაგან: მეოთხე სტრიქონის ბოლოს საკმაო ადგილი იყო, რომ მოეთავსებინათ „იი“
 („იყავნ, იყავნ“) როგორც ეს არის საეკლესიო წიგნების წარწერაში.
 *** შ შანიძისაგან: „ო-ს შემდეგ შეიძლება იყოს ან „ო“, ან „ა“, ან „ც“. ა. შანიძის აზრით
 ეს ადგილი ისე უნდა აღვადგინოთ: „ო[ცწ]ლისა“ და შემდეგ: „პერო[ზ მ] მეფ[ისა]—“...სამ-
 ებელ ადგილას სხვაზე უფრო მოსალოდნელია პეროზ მეფის ეპითეტი „უღლებელისა“ ან რაიმე
 მაგადავარო. მოგვიანებით ლ. მუსხელიშვილიმა გაიზიარა ა. შანიძის წაკითხვა ამ ადგილისა, მა-
 გრამ მხოლოდ პ. ინგოროვას კორექტივით დათარგმნა: [81], ლ. მუსხელიშვილი, 12, შენ. 4.

494 წ. მოსახსენებელი ამშენებლისა და ხელოსნების

ტაძრის აღმოსავლეთის ფსადზე, აფსიდის სარკმლის თავზე, სწორკუთხოვნად გათლილ ფილაზე, გამოქანდაკებულია ასომთავრული რელიეფური რვასტრიქონიანი წარწერა, რომელიც ავსებს ფილის მთელ ზედაპირს. წარწერის ცენტრში, მე-3—6 სტრიქონებს შორის, მოთავსებულია მედალიონში ჩასმული „ბოლნური ვარი“. წარწერის ფართი—91×54; გრაფემების სიმაღლე—6. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული. ქარაგმის ნიშანი — მოკლე, სწორი, განივი ხაზი (მისი ნაშთი ჩანს მხოლოდ ტექსტის მეორე სიტყვაზე. პირველ სიტყვაზე ქარაგმის ადგილი დაზიანებულია).

დაზიანება: 1. წარწერის გრაფემების ნაწილი მთლიანად, ან ნაწილობრივ, ატყეჩილია; 2. ფილის ქვედა მარცხენა კუთხე მოტეხილია. მოტეხილი ნაწილი ფილისა ადგილზეა და არ ჩამოვარდნილა, მაგრამ მასზე ამოკვეთილი გრაფემები თითქმის მთლიანად ატყეჩილია. დაზიანებული, ან მთლიანად მოტეხილი გრაფემების აღდგენა ეპეს არ იწვევს.

I სტრ. დაზიანებულია პირველი, მე-2, 3, 5, 6, 10 და ბოლო გრაფემები. შესაბამისად: **ქ, ე, ე, ე, უ, უ, უ, უ, უ, უ, უ, უ**. მთლიანად მოტეხილია: მე-7, 8, 9, 13 გრაფემები. აღდგენილია, შესაბამისად: **ე, ს, ხ, ე, კ**.

II სტრ.: დაზიანებულია მე-4, 7 და ბოლოს წინა გრაფემები (**ტ, თ, ქ, რ, ე**).

IV სტრ.: მთლიანად მოტეხილია, მე-3 გრაფემა — **ე**.

V სტრ.: დაზიანებულია პირველი, მე-5, 6 გრაფემები: **ყ, ხ, შ, მ**.

VI სტრ.: პირველი გრაფემიდან (**ნ, ნ**) დარჩა მხოლოდ ზედა განივი ხაზი.

VII სტრ.: პირველი გრაფემიდან (**შ, მ**) დარჩა მხოლოდ ზედა განივი ხაზი. მე-2 გრაფემა (**ყ, შ**) მთლიანად მოტეხილია, ხოლო მე-3, 6 გრაფემებიდან (**ქ, რ, ე**) დარჩა ოდნავ შესამჩნევი კვალი.

VIII სტრ.: მთლიანად მოტეხილია პირველი, მე-2, 4 გრაფემები (**ს, ე, ი, ხ**), მე-3, 6 გრაფემების (**ტ, ა, ყ, შ**) მოხაზულობა თითქმის მთლიანად ჩანს, ხოლო მე-5 გრაფემიდან (**ტ, ა**) დარჩა მხოლოდ მარცხენა ნაწილი. დაზიანებულია აგრეთვე მე-10, 12, 13, 14 გრაფემები (**ყ, შ, ე, ხ, ე, ე, ე**) (ტაბ. 2, 2; 2 ბ);

წარწერის დათარიღება სხვა მკვლევარებთან: 1) 506 ახლოს ([202], Г. Чубинашвили, 66, შენ. 3); 2) V ს. ბოლო, ან VI ს. დასაწყ. (არა უგვიანეს VI ს. I მეოთხ.) (გ); 3) VI ს. I ნახ. (შ); 4) V ს. II ნახ. (შ); 5) 493—494 (ჩ); 6) V ს. მიწურული (აბ); 7) 462 (ა); 8) 478—492 (ჩ¹), (ვ. კობაძე: [232], W. Z. Djohadze, 14).

წარმოდგენილი დათარიღების საფუძველი: როგორც პალეოგრაფიული ნიშნებით, ისე შინაარსობრივად, წარწერა თანადროული ჩანს ტაძრის აგებისა.



წარწერის დათარიღების საფუძველი:

1) პალეოგრაფიული ნიშნები: **შ შ** გრაფემის ზედა რკალი შეკრულია, ქვედა რკალი — ოდნავ განხნილი; **ქ წ** გრაფემას შეკრული აქვს ორივე რკალი; 2) ტაძრის აგების თარიღი ([172], P. Меписашვილი, В. Цинцадзе, 11-12); 3) არქაული ფორმა: „პირველ-ეპისკოპოსი“.

გამოცემები:

1) [227], M. Brosset 55 d (დედნ. შრიფ.) (ბ); 2) [72], ი. მეგრელიძე, 291 (მხედრ. ტრანსლიტ. და ტრანსკრ.) (ბ); 3) [172], P. Меписашვილი, В. Цинцадзе, 12, სურ. 3 (ფოტო).

- 1. **†ქღსჟღხკ**
- 2. **სკხუჟსჟყ**

**†ქღსჟღხკ
სკხუჟსჟყ**

სურ. 5.

ბ: გადაღებული და გამოქვეყნებული აქვს სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ასლი:

- 1. **†ქღს...ღჯ**
- 2. **ზანს...ყჟ**
- 1. **†ქღ სღზჟ**
- 2. **ღსზჟ ჟყ**

- 1. **†ქღ ზჯღკ**
- 2. **სკ სჯჟყ**

მ: **ქ* წო სრეზრა პძ** ლ*** ეპი შე**

მს შენიშვ.: *ქ შეიძლება მცირე ჯერის გამოსახლება იყოს და არა შემოკლებული სიტყვა ქრისტე. ** ეს ძკ-საც ჩამოჰგავს. *** ლ. რჩეულიშვილის აზრით — ჰ.

† წ(მიდა)ოს(ა)მ(ება)ო, ზ(აქა)რ(ი)ა/ჰ პ(ი)რ(ვე)ლ-ე(პისკო)პ(ოსი) შ(იწყალ)ე.

მ: ქრისტე, წმიდაო სრეზრა, პძლ(?) ეპისკოპოსი შეიწყალე.

4. აბაურთას ეკლესია

ერთდარბაზიანი ეკლესია, სოფ. აკაურთაში (ბოლნისის რ-ნი): მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე, ქ. ბოლნისიდან დასავლეთით 7 კმ მანძილზე. ეკლესია, ზუროთმოძღვრული ნიშნებით, თანადროულია ბოლნისის სიონისა, მაგრამ განუცდია გვიან გადაკეთება ([90], ლ. რჩეულიშვილი, 43). ეკლესიის ფასადზე შემორჩენილია აშენების თანადროული წარწერის მცირე ფრაგმენტი და რამდენიმე გვიანდელი ასომთავრული წარწერა. ეკლესიას მიაკვლია და შეისწავლა ლ. რჩეულიშვილმა. მანვე გამოაქვეყნა პირველი ცნობა ძეგლის უძველესი რელიეფური წარწერის ფრაგმენტის შესახებ.

6

V ს. ფრაგმენტი საამშენებლო წარწერისა

ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადზე, ამოქოლილი კარის თავზე, გვიანდელი სარკმლის ქვემოთ, გრძელ ბლოკზე (კარის ბალავარი?) (სიგრძე — 233), გეო-

V—X სს. წარწერები სტელა-ჯვრებზე

A. V—VIII სს. მოსახსენებლები უკვარცხლბეკო
(საფლავის ან კედლის) ჯვრებზე

(2) ბოლნისის სიონი (7—14).

5. ბოლნისი. „ლამაზი გორა“ (15—25).

(2) ბოლნისის სიონი

ბოლნისის სიონის ტერიტორიაზე, 1936—1937 წწ., ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, ენიშისა და კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის ექსპედიციებმა ჩაატარეს გათხრები, რის შედეგადაც, სხვა მასალასთან ერთად, აღმოჩნდა ეპიგრაფიკული ძეგლები: კარის ბალაყარი საამშენებლო წარწერით და წარწერიანი ქვაჯვრები. ასეთი ორი ქვაჯვარი ჩატანებულია თვით ტაძრის კედელში, ინტერიერში. ამჟამად, რომ ისინი ჩადგეს კედელში ტაძრის მშენებლობის დროს, განსაკუთრებით საპატიო შემწირველთა პატივსაცემად, როგორც მათი მოსახსენებელი. ტაძრის გარეთ აღმოჩენილი წარწერიანი უკვარცხლბეკო ქვაჯვრების ნაწილი ემსაძღოა ასევე კედელში ჩასატანებლად იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე ნაწილი — საფლავის ქვებად.

